დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს საბოლოო ანგარიში – 2016-2018

ლაშა გოგიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი
თამარ გზირიშვილი, დამოუკიდებელი მკვლევარი
მარიამ სიხარულიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი

სარჩევი

რეზიუმე: საქართველო 3
შეფასების შესახებ 7
ვალდებულების შესრულება 9
ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა 9
1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება 13
2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა 16
ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. 18
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა 19
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა 23
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა 26
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული 30
7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება 33
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება 37
✪ 9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა 41
10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა 46
11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 49
12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე 53
13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით 56
✪ 14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა 59
15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის 64
✪ 16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება 69
17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა 75

18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების განვითარება 78
20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა 86
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 89
22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვა 92
23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა 97
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა 103
მეთოდოლოგია 109

Open Government Partnership

რეზიუმე: საქართველო

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) – საბოლოო ანგარიში (2016-2018)

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ძირითადი მიღწევებია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ახალი ვებპორტალის – „ბიუჯეტის მონიტორის“ დანერგვა, აგრეთვე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება, რომელიც ნებართვების გაცემის პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებასა და მონაწილეობას ისახავს მიზნად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის მიღება, რაც სამოქალაქო საზოგადოების მთავარი პრიორიტეტი იყო, ვერ მოხერდა.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) ამ ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს. ეს ანგარიში 2016 წლის ივლისიდან 2018 წლის ივლისამდე პერიოდში მიღებულ შედეგებს აჯამებს, აგრეთვე მოიცავს 2018 წლის ოქტომბრამდე პერიოდის ზოგიერთ მნიშვნელოვან სიახლეს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოში OGP-ის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს. OGP-ის ფორუმი არის მრავალმხრივი ორგანო, რომელიც OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულებას უწყობს ხელს. ფორუმი 40 წევრისგან შედგება. მათ შორის არიან:

ცხრილი I: მოკლედ		
	შუალედური	*საბოლოო*
ვალდებულებათა რაოდენობა	24	
შესრულების დონე		
შესრულებული	*5*	*10*
არსებითი	*7*	*6*
შეზღუდული	*12*	*8*
არ დაწყებულა	*0*	*0*
იმ ვალდებულებათა რაოდენობა:		
რომლებიც გარკვევით უკავშირდება OGP-ის ღირებულებებს	*17*	*17*
რომელთაც ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვთ	*4*	*4*
რომლებიც არსებითად ან სრულად შესრულდა	*12*	*16*
რომლებიც სამივე პირობას აკმაყოფილებს (✪)	*3*	*3*
გახსნა ამან მთავრობა?		
მნიშვნელოვნად	*4*	
გამორჩეულად	*0*	
გაგრძელდა სამომავლოდ?		
იმ ვალდებულებათა რაოდენობა, რომლებიც შემდეგ სამოქმედო გეგმაში შევიდა	*6*	

ეს ანგარიში მომზადებულია დამოუკიდებელი მკვლევრების, ლაშა გოგიძის, თამარ გზირიშვილისა და მარიამ სიხარულიძის მიერ

სხვადასხვა საჯარო უწყება, კერძოდ, სამინისტროები, დამოუკიდებელი უწყებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ), რამდენიმე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები. ვალდებულებებს საჯარო უწყებები ასრულებენ როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

მესამე სამოქმედო გეგმა საკითხების უფრო ფართო სპექტრს მოიცავდა, ვიდრე წინა სამოქმედო გეგმები, კერძოდ, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, პენიტენციური სისტემისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს. შუალედური შეფასების დროს IRM-მა მოახდინა 3 ვარსკვლავური ვალდებულების იდენტიფიცირება, რომლებიც თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ფორმალური სისტემის შემოღებას, საჯარო ფინანსების ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდასა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებას ითვალისწინებდა.

საქართველოს მთავრობამ 2018-2019 წლების მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა OGP-ის ოფიციალურად 2018 წლის 30 ნოემბერს წარუდგინა.

11 დაუსრულებელი ვალდებულებიდან (მესამე სამოქმედო გეგმაში სულ 24 ვალდებულება იყო) 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში[1] მხოლოდ 2 მოხვდა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვალდებულება, პროაქტიულად გამოაქვეყნოს სასამართლო გადაწყვეტილებები http://info.court.ge-ს ერთიან მონაცემთა ბაზაში (ვალდებულება №9), და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვალდებულება, მოახდინოს შემსყიდველი უწყებების შესყიდვების ყოველწლიური გეგმების აგრეგირებული სატენდერო მონაცემების ახალ ბაზასთან, http://opendata.spa.ge/#/, ინტეგრირება და ეს მონაცემები ღია მონაცემთა ფორმატში გამოაქვეყნოს (ვალდებულება №13). გარდა ამისა, არსებულ ვალდებულებებს უკავშირდება ახალი სამოქმედო გეგმის 3 ახალი ვალდებულება: იუსტიციის სახლის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმის შექმნა (ვალდებულება №2), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად უკუკავშირის მექანიზმის ამოქმედება (ვალდებულება №11) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება (ვალდებულება №5). ეს ვალდებულებები არსებული ინიციატივების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამ 3 ვალდებულებიდან მხოლოდ 1 არ იყო სრულად შესრულებული (მესამე სამოქმედო გეგმის ვალდებულება №16 – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება).

[1] ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა: https://bit.ly/2Kl87H1

კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში

OGP-ის მონაწილე ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების დროს სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციები აწარმოონ.

სამოქმედო გეგმის შესრულების დროს წარმართული კონსულტაციების პროცესი ცენტრალიზებული იყო. ყველა კონსულტაცია თბილისში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობაში ან კომენტარებისა და რეკომენდაციების წერილობითი გაცვლით წარმოებდა. მთავარი საკოორდინაციო მექანიზმი, OGP-ის ფორუმი, ორ-სამ თვეში ერთხელ იკრიბებოდა. შეხვედრების დღის წესრიგის თემები იყო: მესამე სამოქმედო გეგმის შესრულება, ახალი სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავება და საქართველოს მთავრობის მიერ თბილისში ორგანიზებული OGP-ის 2018 წლის ივლისის სამიტი. ამ ღონისძიების გამო სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე გამართული შეხვედრები უფრო მის დაგეგმვას ეხებოდა, ვიდრე სამოქმედო გეგმის შესრულებას.[1]

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ფოკუსირებულ შეხვედრებზე პასუხისმგებელი უწყებები საკუთარი ვალდებულებების შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ პრეზენტაციებს აკეთებდნენ, თუმცა ფორუმის წევრები ამ ვალდებულებებზე საკუთარ შენიშვნებსა და კომენტარებს წარმოადგენდნენ. ზოგ შემთხვევაში პასუხისმგებელი უწყებები ფორუმის წევრებს მათკომენტარებზე უკუკავშირს აწვდიდნენ.[2] თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდებოდა.[3] გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოება ძალიან გაწბილებული დარჩა საქართველოს მთავრობის ნების ნაკლებობით, სწრაფად შეემუშავებინა და საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონი.[4] რაც შეეხება უკუკავშირის ონლაინმექანიზმის შექმნას, რომელიც წინა წინსვლის ანგარიშებში მოცემული IRM-ის რეკომენდაცია იყო, აქ ერთადერთი ცვლილება ის არის, რომ იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა OGP-ის ბანერი, რომელიც მოქალაქეებს სამინისტროსთან დაკავშირებისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებას აძლევდა. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ეს მექანიზმი მოქალაქეებს საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად პრაქტიკაში არ გამოუყენებიათ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სამინისტროს ის ფართო საზოგადოებისთვის პროაქტიულად არ გაუცვნია.

ცხრილი 2: კონსულტაციები სამოქმედო გეგმის შესრულების დროს

რეგულარული მრავალმხრივი ფორუმი	შუალედური	საბოლოო
1. არსებობდა თუ არა ფორუმი?	**დიახ**	**დიახ**
2. იმართებოდა თუ არა ფორუმის შეხვედრები რეგულარულად?	**დიახ**	**დიახ**

ცხრილი 3: სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე

IRM-მა მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაციის (IAP2) მოქალაქეთა ჩართულობის სკალა მიიღო და იგი OGP-ის პროცესს მიუსადაგა.[5] ეს სკალა სამოქმედო გეგმის შინაარსზე გავლენის მოსახდენად მოქალაქეთა ჩართულობის პოტენციურ დონეს აჩვენებს. OGP-ის სულისკვეთების მიხედვით, ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ „თანამშრომლობის“ დონეს მიაღწიოს.

მოქალაქეთა ჩართულობის დონე		**სამოქმედო გეგმის შემუშავებისას**	**სამოქმედო გეგმის შესრულებისას**
გაძლიერება	მთავრობამ გადაწყვეტილების მიღების უფლება საზოგადოების წევრებს გადასცა.		
თანამშრომლობა	გაიმართა განმეორებითი დიალოგი და საზოგადოებამ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა.		
ჩართულობა	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა უკუკავშირი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაითვალისწინა მისი მოსაზრებები.		
კონსულტაცია	საზოგადოებას მიეცა მოსაზრებების წარდგენის საშუალება.	✔	✔
ინფორმირება	მთავრობამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესახებ.		
არანაირი კონსულტაცია	კონსულტაცია არ გამართულა.		

[1] ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, და საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 22 აგვისტო.
[2] ავალიშვილი და ბუაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 22 აგვისტო.
[3] გიორგი თოფურია, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 2018 წლის 23 აგვისტო.
[4] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კომენტარები, 2018 წლის აგვისტო.
[5] http://c.ymcdn.com/sites/www.iap2.org/resource/resmgr/foundations_course/IAP2_P2_Spectrum_FINAL.pdf

შეფასების შესახებ

IRM-ის შეფასების დროს გამოყენებული ინდიკატორები და მეთოდი IRM-ის სახელმძღვანელო პრინციპებშია მოცემული. ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია „ვარსკვლავური ვალდებულება“ (✪), რომელსაც სპეციალური განმარტება სჭირდება, რადგან ის მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, OGP-ის მონაწილე ქვეყნებს კი სტიმულს აძლევს, შეეჯიბრონ ერთმანეთს. „ვარსკვლავური ვალდებულება“ OGP-ის სამაგალითო ვალდებულებას ნიშნავს. ვარსკვლავის მისაღებად ვალდებულებამ რამდენიმე კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს:

- ვალდებულებას „საშუალო“ ან „მაღალი“ კონკრეტულობა უნდა ჰქონდეს. ვალდებულება ნათლად უნდა აღწერდეს ღონისძიებებს და მათ განსახორციელებლად გადასადგმელ ნაბიჯებს, რაც მისი პოტენციური შედეგის შეფასების საშუალებას იძლევა.
- ვალდებულების ტექსტში ღია მმართველობასთან შესაბამისობა უნდა ჩანდეს. ამისთვის ვალდებულებას კავშირი უნდა ჰქონდეს OGP-ის ერთ-ერთ შემდეგ ღირებულებასთან მაინც: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება.
- სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულებას „ტრანსფორმაციული“ პოტენციური შედეგი უნდა ჰქონდეს.[1]
- მთავრობამ ვალდებულება სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა შეასრულოს და იგი უნდა შეფასდეს, როგორც „არსებითად“ ან „სრულად“ შესრულებული.

ვარსკვლავურმა ვალდებულებამ შესაძლოა ვარსკვლავური სტატუსი დაკარგოს, თუ ის საბოლოო შეფასების დროს არსებითად ან სრულად არ არის შესრულებული.

შუალედური შეფასებისას საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმაში 3 ვარსკვლავური ვალდებულება იყო. საბოლოო შეფასების დროს მათი რაოდენობა არ შეცვლილა (ვარსკვლავური ვალდებულება ისევ სამია).

ამ განყოფილებაში მოცემული ცხრილები შეიცავს იმ ინფორმაციის ნაწილს, რომელსაც IRM ანგარიშგების პროცესში აგროვებს. საქართველოსა და OGP-ის მონაწილე სხვა ქვეყნების შესახებ სრული მონაცემებისთვის იხილეთ ვებგვერდი „OGP Explorer“: www.opengovpartnership.org/explorer.[2]

სექციის „გახსნა ამან მთავრობა?“ შესახებ

მთავრობის მმართველობის პრაქტიკაში ცვლილებების შესაფასებლად IRM-მა საბოლოო ანგარიშში ახალი ცვლადი – „გახსნა ამან მთავრობა?“ დაამატა. ეს ცვლადი ვალდებულების შედეგებისა და განხორციელებული ღონისძიებების მიღმა იმას აფასებს, თუ რამდენად შეიცვალა მთავრობის პრაქტიკა ვალდებულების შედეგად.

ხშირად OGP-ის ზოგიერთი ვალდებულება გაურკვევლად წერია ან ზუსტად არ შეესაბამება OGP-ის ღირებულებებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას ითვალისწინებს. სხვა შემთხვევებში ვალდებულების ტექსტი ღირებულებებს შეესაბამება და საკმაოდ ამბიციურია, თუმცა შესრულებისას ვალდებულება მთავრობის „გახსნას“ ვერ ახერხებს. ცვლადი „გახსნა ამან მთავრობა?“ სწორედ ამ ნიუანსებს აკვირდება.

მთავრობის პრაქტიკის ცვლილებას ცვლადი „გახსნა ამან მთავრობა?“ შემდეგი შეფასების სისტემით აფასებს:

- გააუარესა: ვალდებულების შედეგად მთავრობის ღიაობის ხარისხი გაუარესდა.
- არაფერი შეცვლილა: მთავრობის პრაქტიკაში არაფერი შეცვლილა.
- მცირედი ცვლილება: ღიაობის კუთხით მცირედი ცვლილება მოხდა.
- მნიშვნელოვანი ცვლილება: კონკრეტულ სფეროში მთავრობის ღიაობა გაიზარდა, თუმცა შედეგის მასშტაბი შეზღუდულია.
- გამორჩეული: რეფორმამ მთავრობის ღიაობა გაზარდა, რითაც კონკრეტულ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა.

ამ ცვლადის შესაფასებლად მკვლევრები სამოქმედო გეგმის დაწყებისთანავე სტატუსკვოს აღწერენ. შემდეგ ისინი აფასებენ, რამდენად გახსნა მთავრობა მიღწეულმა შედეგებმა.

მკითხველმა კვლევის შეზღუდვები უნდა გაითვალისწინოს. IRM-ის საბოლოო ანგარიში სამოქმედო გეგმის დასრულებიდან რამდენიმე თვეში იწერება. აღნიშნული ცვლადი მთავრობის ღიაობის პრაქტიკის ცვლილებას მისი შესრულების ორწლიანი პერიოდის ბოლოს აკვირდება. კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ანგარიშის ვადის გამო ეს ანგარიში და ცვლადი გრძელვადიან შედეგებს არ აფასებს.

---

[1] ეს კრიტერიუმი საერთაშორისო ექსპერტთა პანელმა 2015 წელს შეცვალა. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი: http://www.opengovpartnership.org/node/5919

[2] „OGP Explorer“-ისა და IRM-ის მონაცემებისთვის იხილეთ: https://bit.ly/2KWxbU8

ვალდებულების შესრულება

ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

OGP-ის მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან ვალდებულებები ორწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღონ. ქვემოთ მოცემული ცხრილი პროგრესს ვალდებულებების შესრულებისა და ცვლადის „გახსნა ამან მთავრობა?“ მიხედვით აფასებს. ისეთი ვალდებულებებისთვის, რომლებიც შუალედური შეფასების დროს შესრულებული იყო, ანგარიში პროგრესს აჯამებს, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას ცვლადს „გახსნა ამან მთავრობა?“ უთმობს. ვალდებულებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.

საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმა 3 ძირითად საკითხს მოიცავდა: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო სერვისების გაუმჯობესება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა.

მთავრობამ OGP-ის ხუთივე გამოწვევას უპასუხა: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა, კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა.

IRM-ს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა არ შეუცვლია. ვალდებულების შესრულების ეტაპების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, ეს ანგარიში შეფასებას ვალდებულების და არა ვალდებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დონეზე აკეთებს. შუალედური შეფასების შემდეგ შეფასების მეთოდოლოგია არ შეცვლილა.

ცხრილი 4: პროგრესის შეფასება ვალდებულებების მიხედვით

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა (ვალდებულების ტექსტის მიხედვით)				პოტენციუ-რი შედეგი				შესრულე-ბა				შუალე-დური				საბო-ლოო				გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისა-თვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული					გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
1. შეზღუდული შესაძლებლო-ბების მქონე პირების მოთხოვნებ-თან				✔	გაურკვეველი					✔						✓				✓		✔			

თბილისის იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება																				
2. ჯანმრთელო-ბის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმა-ციო პორტალი				✔	გაურკვეველი					✔				✓					✔	
														✓						
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონუ-ლი სისტემა			✔		✔					✔				✓					✔	
																✓				
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიუ-ლი) მონაცემების ვებპორტალი			✔		✔			✔		✔				✓				✔		
														✓						
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა			✔		გაურკვეველი						✔			✔				✔		
														✔						
6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ელექტრონუ-ლი პორტალი – მომხმარებ-ლის მოდული			✔		✔			✔		✔				✔				✔		
														✔						
7. ინფორმაციის თავისუფლე-ბის კანონის შემუშავება				✔	✔		✔					✔		✔				✔		
														✔						
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებ-ლო აქტების მონიტორინ-გისა და შეფასების სისტემა			✔		✔						✔			✔				✔		
														✔						
✪ 9. თანამდებო-ბის პირთა ქონებრივი მდგომარეო-ბის დეკლარაციე-ბის მონიტორინ-გის სისტემა			✔				✔					✔			✔					✔
															✔					
10. სასამართლო გადაწყვეტი-ლებების გამოქვეყნე-ბის ერთიანი წესი			✔		✔						✔			✔				✔		
														✔						

11. რეგიონული განვითარე-ბის და ინფრასტრუქ-ტურის დარგში გამჭვირვა-ლობის და კეთილსინ-დისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა			✔		✔						✔					✔			✔		
																✔					
12. მსჯავრდე-ბულთა მონაცემთა ბაზა				✔		გაურკვეველი				✔				✔				✔			
														✔							
13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება				✔	✔					✔						✔			✔		
																✔					
✪ 14. აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა (საჯარო აუდიტი)				✔	✔	✔	✔	✔				✔				✔				✔	
																✔					
15. ელექტრონუ-ლი ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვა-ლობისთვის				✔	✔						✔			✔					✔		
															✔						
✪ 16. გარემოსდაც-ვითი შეფასების კოდექსის მიღება				✔	✔	✔						✔		✔					✔		
															✔						
17. „112“-თან დაკავშირე-ბის ალტერნატი-ული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა			✔			გაურკვეველი				✔					✔			✔			
																✔					
18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრი-ვი საბჭოები			✔		✔	✔					✔				✔				✔		
																✔					
19. გზამკვლევი ეკონომიკური აგენტებისა-თვის			✔		✔					✔					✔				✔		
																✔					
20. კომერციული მომსახურე-ბის ხარისხის				✔		გაურკვეველი					✔				✔			✔			
																✔					

კონტროლის პროგრამა																					
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონუ-ლად წარმოდგენა				✔	გაურკვეველი						✔				✔			✔			
															✔						
22. პეტიციების ელექტრონუ-ლი პორტალი და „ზუგდიდი-INFO“			✔		✔	✔		✔		✔					✔				✔		
															✔						
23. ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვა-ლობა				✔	✔	✔		✔			✔				✔				✔		
															✔						
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონუ-ლი მექანიზმი			✔		✔	✔		✔			✔			✓					✔		
															✓						

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება

ვალდებულების ტექსტი:

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ - იუსტიციის სახლმა წარმატებით დანერგა მოქალაქეებთან ორმხრივი უკუკავშირის სისტემა - „მომხმარებლის ხმა“. პროგრამის მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ შეავსონ სპეციალური აპლიკაცია და თავიანთი შენიშვნები/რეკომენდაციები იუსტიციის სახლს მიაწოდონ. თავის მხრივ, იუსტიციის სახლი ვალდებულია 30 დღის ვადაში განიხილოს მიღებული წერილი, შესაძლებლობის შემთხვევაში გადადგას კონკრეტული ნაბიჯები და, ამის შემდეგ, დაუკავშირდეს მოქალაქეს, რათა მას საქმესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს.

2015 წლის ნოემბერში იუსტიციის სახლს, „მომხმარებლის ხმის“ გამოყენებით, წერილით მიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) მოქალაქემ. წერილის ავტორი აღწერდა სირთულეებს, რომლებიც შშმ პირებს იუსტიციის სახლში, საჯარო თუ კერძო მომსახურებების მიღებისას ექმნებათ. წერილში მოცემული იყო, აგრეთვე, კონკრეტული რეკომენდაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

იუსტიციის სახლმა წერილის ავტორ შშმ პირთან და ამ სფეროს სხვა კვალიფიციურ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც მოგვიანებით ღია მმართველობა საქართველოს მე-3 სამოქმედო გეგმის წინამდებარე ვალდებულებად ჩამოყალიბდა.

ვალდებულების მიზანია, იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურამ დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია შშმ პირების შეუფერხებლად გადაადგილებისა და მათ მიერ მომსახურების მიღებისათვის. საწყის ეტაპზე, იუსტიციის სახლმა მიიღო გადაწყვეტილება, შშმ პირთა საჭიროებებს შეუსაბამოს თბილისის ფილიალი.

- თბილისის იუსტიციის სახლის მომსახურების დარბაზში უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისთვის შეიქმნება სპეციალური ნავიგაციის სისტემა;
- თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების თანამშრომელთა დატრენინგება შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: UNDP; პოლონეთის საელჩო; კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანი“

დაწყების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებუ-ლების აღწერა	კონკრეტუ-ლობა		პოტენციუ-რი შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური	გახსნა ამან მთავრობა?

					OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა																
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულები-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
1. შეზღუდულ-ი შესაძლებ-ლობების მქონე პირების მოთხოვნებ-თან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება				✔	გაურკვეველი					✔						✔		✔			
																✔					

ვალდებულების მიზანი:

ვალდებულების ძირითადი მიზანი თბილისის იუსტიციის სახლის უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მოქალაქეებისთვის ადაპტირება იყო. ვალდებულება ითვალისწინებდა მისი ინფრასტრუქტურის ადაპტირებას სპეციალური ნავიგაციის სისტემის, ტაქტილური ბილიკებისა და ბრაილის რუკის დამატებით. იუსტიციის სახლმა ვალდებულება მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე აიღო.

სტატუსი

შუალედური: დასრულებული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება სრულად იყო შესრულებული. თბილისის იუსტიციის სახლმა უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მოქალაქეებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირება 2016 წლის შემოდგომაზე დაიწყო და ნავიგაციის სისტემის, ტაქტილური ბილიკებისა და ბრაილის რუკის ადაპტირება 2017 წლის თებერვალში დაასრულა. თბილისის იუსტიციის სახლის ვებგვერდს აუდიოწაკითხვის პროგრამაც დაემატა. ამასთანავე, იუსტიციის სახლმა თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში 400 თანამშრომელს ტრენინგი ჩაუტარა. იუსტიციის სახლის წარმომადგენლის თქმით, დაგეგმილია აგრეთვე ქუთაისისა და ბათუმის იუსტიციის სახლების ადაპტირება და მოქალაქეებისგან უკუკავშირის მისაღებად მათი ვებგვერდებისთვის მოდულის „მომხმარებლის ხმა“ დამატება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: დასრულებული

შუალედური შეფასების შემდეგ სსიპ იუსტიციის სახლმა მუშაობა ვალდებულების შესრულების მიღმა გააგრძელა. მან ქუთაისისა და ბათუმის იუსტიციის სახლების ადაპტირებისთვის მოამზადა საპროექტო განაცხადი, რომელიც საჭიროებების კვლევასა

და ხარჯების გათვლას მოიცავს. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, იუსტიციის სახლი პროექტის დასაფინანსებლად დონორებს ეძებდა. თუმცა, იუსტიციის სახლის წარმომადგენლის განცხადებით, თუ დონორების პოვნა ვერ მოხერხდა, იუსტიციის სახლი საჭირო სახსრების მობილიზებას თავად მოახდენს.[2] მოდულის „მომხმარებლის ხმა“ ონლაინვერსია შემუშავების პროცესშია.

გახსნა ამან მთავრობა?

არაფერი შეცვლილა.

თბილისის იუსტიციის სახლი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის ადაპტირებული არ იყო, რაც მათ საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად უზღუდავდა. ვალდებულება, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე შემუშავდა, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მოქალაქეებისთვის შენობის ადაპტირებას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულებით მოქალაქეებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად დიდი ნაბიჯი გადაიდგა, ვალდებულება არ გულისხმობდა ისეთი ახალი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას ან მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას შეუწყობდა ხელს.

გაგრძელდა სამომავლოდ?

2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მსგავს ვალდებულებას შეიცავს.[3] იუსტიციის სახლის ახალი ვალდებულება (ვალდებულება №1) განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის სერვისების მიწოდების სახელმძღვანელო სტანდარტების (მაგალითად, ეთიკის კოდექსის) შემუშავებას, ჟესტების ენის სახელმძღვანელოს შექმნას და სერვისების მიწოდების ხარისხის გასაუმჯობესებლად იუსტიციის სახლის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს. ამასთანავე, იუსტიციის სახლმა ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო მეორე ვალდებულება (ვალდებულება №2), რომელიც მომხმარებლებს მისთვის უკუკავშირის მიწოდებისა და მათთვის საინტერესო ინიციატივებისთვის ხმის მიცემის საშუალებას მისცემს. ვალდებულება გულისხმობს აგრეთვე იუსტიციის სახლებში განთავსებული მონიტორებისთვის სენსორების დამატებას, რომლებითაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები (მათ შორის, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული პირები) უკუკავშირის მიწოდებას შეძლებენ.

---

[1] „დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017,“ 2016-2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] ანი გიგინეიშვილი, მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების სამსახურის უფროსი, თბილისის იუსტიციის სახლი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 8 ოქტომბერი.

[3] ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა: https://bit.ly/2Kl87H1

2. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - ჯანდაცვის სამინისტრო), მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (E-Health) ფარგლებში საინფორმაციო პორტალის შექმნას გეგმავს.

ვალდებულება ემსახურება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ჯანდაცვის სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

ვალდებულების ფარგლებში, საერთაშორისო, არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით, საინფორმაციო პორტალის ძირითადი კონცეფცია შეიქმნება. საინფორმაციო პორტალის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სანდო და სრულყოფილი ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, სამედიცინო მომსახურების, მომსახურების მიმწოდებლების (პროფესიული კვალიფიკაცია და ა.შ), სამედიცინო აღჭურვილობის, სისხლის ბანკის, საწოლთა ფონდის, მომხმარებლების, სამედიცინო პერსონალის და მათი სამუშაო ადგილების შესახებ. პორტალის მეშვეობით მოქალაქეს შეეძლება გადაამოწმოს თავისი დაზღვევის სტატუსი, გაიგოს თუ რა მომსახურება ეკუთვნის მას ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში. საინფორმაციო პორტალზე ასევე განთავსდება უახლესი ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის მიმართულებით მიმდინარე რეფორმების და მათი მონიტორინგის შედეგების შესახებ.

საინფორმაციო პორტალის შექმნა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეების საჭიროებების მიმართ რეაგირების ზრდას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"; სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო", ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

დაწყების თარიღი: ნოემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციუ-რი შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
2. ჯანმრთელო-ბის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმა-ციო პორტალის დანერგვა				✔	გაურკვეველი								✔						✔		
														✔							

ვალდებულების მიზანი:

2013 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყველა მოქალაქეს ჯანმრთელობის დაზღვევას სთავაზობს. მიუხედავად ამისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მონაცემებით, მოქალაქეებს პროგრამით გათვალისწინებული უფლებებისა და მათთვის განკუთვნილი სერვისების თაობაზე მწირი ინფორმაცია ჰქონდათ.[1] სამინისტრომ აიღო ვალდებულება, შეექმნა ერთიანი ელექტრონული პორტალი, რომელიც მომხმარებელს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემებს და პაციენტის პირად ინფორმაციას მიაწვდიდა. პორტალზე მოქალაქეები სამედიცინო დაწესებულებების, საკუთარი სამედიცინო ისტორიისა და ელექტრონული დანიშნულების თაობაზე ინფორმაციის მოძიებას და სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტის დანიშვნას შეძლებდნენ.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. მისი შესრულების შუალედურ ეტაპზე სამინისტრომ კონსულტაციები გამართა პარტნიორებთან (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და სხვები). თუმცა, 2017 წლის მდგომარეობით, პორტალის კონცეფცია არ შექმნილა. ამასთანავე, სამინისტროს არ ჰქონდა მკაფიოდ განსაზღვრული, რომელი სერვისები და მოდულები იყო განთავსებული სამინისტროს ვებგვერდებზე და რომელი უნდა შექმნილიყო ახალი პორტალისთვის დასამატებლად. 2017 წლის აგვისტოში სამინისტრო პორტალის კონცეფციის შესაქმნელად GGI-ის მიერ აყვანილ კონსულტანტთან ერთად მუშაობდა.

ძირითად გამოწვევებს შორის, რომლებსაც სამინისტრო ვალდებულების შესრულებისას აწყდებოდა, არის: კოორდინაციისა და ერთიანი ხედვის არარსებობა, სახსრების ნაკლებობა და ზოგიერთი პერსონალური მონაცემის დელიკატურობიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან მიმდინარე მოლაპარაკებები.[2]

საბოლოო: შეზღუდული
შუალედური შეფასების შემდეგ სამინისტრომ პარტნიორთან – GGI-ისთან ერთად შეიმუშავა პაციენტის პორტალის კონცეფცია.[3] სამინისტრომ პორტალზე მუშაობა 2017 წლის შემოდგომაზე დაიწყო და პორტალი 2018 წლის აპრილში გაუშვა. ახალი პორტალი მოქალაქეებს ვალდებულების ტექსტში მითითებულ ინფორმაციას მხოლოდ ნაწილობრივ აწვდის. იგი არ მოიცავს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობის, სამედიცინო დაწესებულებების, ექიმების კვალიფიკაციის, სისხლის ბანკის, პაციენტის სამედიცინო ისტორიის და სხვა საკითხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულებით გათვალისწინებული შედეგები არ დამდგარა. სამინისტროს ერთ-ერთი პარტნიორის შეფასებით, განხორციელებული ღონისძიებები (ახალი პლატფორმა და სამინისტროს სხვადასხვა ვებგვერდზე წარმოდგენილი მოდულები) პორტალის კონცეფციას არ შეესაბამება.[4]

გახსნა ამან მთავრობა?
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

ახალშექმნილ ვებგვერდზე მოქალაქე ავტორიზაციას პირადობის ნომრით გადის. პორტალზე რეგისტრაცია საკმაოდ მარტივია. დარეგისტრირების შემდეგ მოქალაქე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო და სოციალური სერვისების გვერდზე გადადის. პორტალს აქვს კითხვა-პასუხის სექცია, სადაც მოქალაქეს მისი ადმინისტრაციისთვის კითხვის დასმა შეუძლია.[5] პორტალი მომხმარებელს გადაამისამართებს სოციალური სერვისების სააგენტოს ვებგვერდზე, რომელზედაც იგი შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, სოციალური პროგრამების და სხვა სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებს. საერთო ჯამში, ყველა შესაბამისი ბმულის ერთ სივრცეში თავმოყრით პორტალი მოქალაქისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას აუმჯობესებს. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებით გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის მონაცემები პორტალზე განთავსებული არ არის, ვებგვერდი ზრდის სამინისტროში არსებულ ინფორმაციაზე მოქალაქის ხელმისაწვდომობას.

გაგრძელდა სამომავლოდ?
ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა.

---

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] ქეთევან გოგინაშვილი, აპარატის უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 28 აგვისტო.

[3] გოგინაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 28 აგვისტო.

[4] მიხეილ დარჩიაშვილი, მმართველობის პროგრამის მენეჯერი, და ლევან სამადაშვილი, ხელმძღვანელი, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 17 ოქტომბერი.

[5] IRM-ის მკვლევარმა პორტალი (http://citizen.moh.gov.ge/CitizenPortal/Home/Main) 2018 წლის 5 ოქტომბერს 16:11 საათზე შეამოწმა. მან მოდულის მეშვეობით სამინისტროს შეკითხვა გაუგზავნა, თუმცა, 2019 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, პასუხი არ მიუღია.

3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

დღეის მდგომარეობით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის ლიცენზიების გაცემა მხოლოდ ნაწილობრივ არის ელექტრონიზებული. ლიცენზიანტს ელექტრონულად მხოლოდ აუქციონში მონაწილეობა შეუძლია. მოქალაქეს, რომელსაც ლიცენზიის ან/და სხვა ფასიანი მომსახურების მიღება სურს, აუქციონის მიღმა, აუქციონამდეც და მის შემდეგაც, არაერთი პროცესის (მაგალითად, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენა, მესაკუთრის თანხმობისა და დასკვნის წარდგენა, სტატისტიკური ფორმის წარდგენა და სხვ.) ქაღალდზე წარმართვა უხდება. ეს კი მოქალაქისა და სააგენტოს დამატებითი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვას იწვევს. გართულებულია არაელექტრონული სახით მიღებული ინფორმაციის დაჯგუფება და ანალიზიც, რაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად გაცემისთვის, ისე მონაცემთა ბაზების ფორმირებისათვის, რათა სხვადასხვა ტიპის მომსახურებები დროულად მიეწოდოთ ლიცენზიანტებს, ლიცენზიის მაძიებლებს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

აღნიშნული ვალდებულებით გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ლიცენზიების გაცემა და სხვა ფასიანი მომსახურების გაწევა სრულად ელექტრონიზებული გახდება. ელ. სისტემის მეშვეობით განხორციელდება ლიცენზირების სფეროში არსებული მასალის ავტომატური ელექტრონიზაცია. ამის შედეგად, სააგენტო შეძლებს ამ სფეროში არსებული ინფორმაციის დახარისხებას და ელექტრონული სტატისტიკის (ბაზის) წარმოებას. სისტემის საშუალებით გაიზრდება დამუშავებული ინფორმაციის გაცემის სისწრაფე და ხარისხი. გარდა ამისა, მომხმარებელს ექნება გამარტივებული წვდომა ლიცენზირების სფეროში არსებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციასთან (სტატისტიკა, რესურსების ონლაინ რუკა, გზამკვლევი და ა.შ) და შესაძლებელი გახდება ლიცენზიანტების ურთიერთდაკავშირება მათ შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2015

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულე-ბებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია		არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული		არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული		გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
3. ბუნებრივი რესურსებით სარგებლო-ბის სფეროში ლიცენზიე-ბის ელექტრონუ-ლი სისტემის დანერგვა			✔		✔						✔					✔						✔		
																		✔						

ვალდებულების მიზანი:

ვალდებულების მიზანი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვით ლიცენზირების დოკუმენტაციის წარმოების დაჩქარება იყო. ვალდებულების აღების დროს საქართველოში ინვესტორები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გარემოს ეროვნული სააგენტოსგან ლიცენზიების მიღებასთან დაკავშირებით სირთულეებს აწყდებოდნენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ოდენობის საკანცელარიო სამუშაო იყო შესასრულებელი და პროცესი ჭიანურდებოდა. უფრო კონკრეტულად, ვალდებულება მიზნად ისახავდა:

- ლიცენზიებისა და ყველა ფასიანი სერვისის სრულად ელექტრონულად მიწოდებას;
- ლიცენზირების სფეროს დოკუმენტების ელექტრონულად მიწოდებას;
- მომხმარებლისთვის ყველა სახის საჯარო ინფორმაციის, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების, რესურსების ონლაინრუკისა და გზამკვლევის, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. პირველი ეტაპი, რომელიც ახალი ელექტრონული სისტემის ბიზნესპროცესების ანალიზს მოიცავდა, 2017 წლის ივნისში წარმატებით დასრულდა. თუმცა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გადაწყვიტა, სისტემისთვის დაემატებინა ორი კომპონენტი, რომელთა განხორციელებაც რთული აღმოჩნდა: 1. ახალ სისტემაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინტეგრირება ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით; 2. მინერალური რესურსებით სარგებლობის სფეროში უფრო ძლიერი ელექტრონული მოდულების განვითარება. სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები აანალიზებდნენ, რამდენად იყო შესაძლებელი სისტემისთვის ამ კომპონენტების დამატება.

საბოლოო: შესრულებული
2017 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით ბუნებრივი რესურსების სფეროში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები გადაეცა ახალშექმნილ სააგენტოს – წიაღის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია.[1] 2018 წლის 20 თებერვალს სააგენტომ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე აამუშავა ახალი პორტალი – nam.rs.ge, რომელიც ლიცენზიის მაძიებლებს საშუალებას აძლევს, აუქციონში მონაწილეობაზე საკუთარი ინტერესი დაარეგისტრირონ და სააგენტოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, მათ შორის, ლიცენზიის შესრულების სამოქმედო გეგმები და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, ელექტრონულად წარუდგინონ. ამასთანავე, სააგენტოს პორტალის მეშვეობით ყველა რეგისტრირებული ლიცენზიის მაძიებლისა და ლიცენზიატისთვის სფეროს სიახლეების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა შეუძლია. პორტალი შეიცავს სრულ და განახლებულ მონაცემებს ლიცენზიატების, სალიცენზიო ობიექტების, სალიცენზიო ბუნებრივი რესურსების სიის, სალიცენზიო შეთანხმებების თარიღების, ღირებულებისა და დაფარვის ზონის შესახებ. პორტალზე დარეგისტრირებით დაინტერესებული პირი მომხმარებლის სახელისა და პაროლის მისაღებად წიაღის ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრს მიმართავს, რის შემდეგაც მას რეგისტრაციის უნიკალური ნომერი ენიჭება.[2] 2018 წლის აპრილში სააგენტომ აამოქმედა კიდევ ერთი პორტალი, რომელიც შეიცავს საქართველოში განხორციელებული ყველა გეოლოგიური პროექტის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, შესაბამის ანგარიშებს, საკადასტრო რუკებს, გეოლოგიური ობიექტების მახასიათებლებსა და ფოტოებს, ამ ობიექტების მდგომარეობაზე ექსპერტთა მოსაზრებებს და უწყებათაშორისი შეხვედრების ოქმებს.[3]

გახსნა ამან მთავრობა?
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

ლიცენზიების ახალი ელექტრონული სისტემა საჯარო მოხმარებისთვის არ არის განკუთვნილი, რადგან იგი რეგისტრაციისთვის ითხოვს მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანას, რომლებსაც წიაღის ეროვნული სააგენტო გასცემს. ეს სისტემა ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემის მომსახურებას აუმჯობესებს და სააგენტოსა და ლიცენზიის მაძიებლებს შორის დოკუმენტბრუნვასა და საქმისწარმოებას ამარტივებს. ზემოთ აღნიშნული ახალი გეოლოგიური პორტალი ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია. მასზე ამჟამად გამოქვეყნებული მონაცემების უმეტესობა არის ისტორიული, დაარქივებული მონაცემები რუსულ ენაზე, რომლებიც სკანირებული სახით, PDF ფორმატშია წარმოდგენილი, რის გამოც მკითხველისთვის არცთუ ისე სასარგებლოა. და ბოლოს, სააგენტოს თავისი ახალი პორტალების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია არ ჩაუტარებია. მას არც ამ პორტალების მომხმარებელთა რაოდენობა და კმაყოფილების დონე შეუსწავლია.

პოზიტიური ცვლილება ის არის, რომ 2018 წლის 19 ივნისს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ შექმნა საკუთარი ფეისბუკგვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების მახასიათებლების შესახებ, მათ ინფოგრაფიკებსა და რუკებს, აგრეთვე სააგენტოს საქმიანობის თაობაზე მონაცემებს და, ზოგადად, სფეროს სიახლეებს. ზოგიერთი ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის ახალი იყო. ფეისბუკპოსტების უმეტესობა გამოქვეყნდა 2018 წლის ივლისის შემდეგ, რომელიც ამ ანგარიშით გათვალისწინებული შეფასების პერიოდის მიღმაა. 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, სააგენტოს ახალი ფეისბუკგვერდი 1129-მა ადამიანმა მოიწონა, 1140 კი მისი

მიმდევარი გახდა.[4] ამ აღწერის მიხედვით, ვალდებულებამ ბუნებრივი რესურსების სფეროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით მხოლოდ მცირედი ცვლილება მოახდინა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის ხუთი ძირითადი რეკომენდაციიდან ერთ-ერთის მიხედვით, საქართველოს მთავრობას შეუძლია პრიორიტეტად აქციოს მთავრობის კონტრაქტების გამჭვირვალობა ბუნებრივი რესურსების სფეროში ლიცენზიების გაცემისას, პრივატიზებისას და ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციაა, მთავრობამ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით მიიღოს და გამოიყენოს ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტი.[5]

---

[1] საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2017 წლის 7 დეკემბერი, მუხლი 2: https://bit.ly/2xUs0fw

[2] ელენე ქემაშვილი, წიაღის ეროვნული სააგენტო, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 24 აგვისტო.

[3] წიაღის ეროვნული სააგენტო, გეოლოგიური ფონდის კატალოგი: https://bit.ly/2DB8lHk

[4] წიაღის ეროვნული სააგენტო, https://www.facebook.com/nationalagencyofmines/

[5] „დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017,“ http://bit.ly/30LHBvp

4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ენერგეტიკულ სექტორში გეოინფორმაციული სისტემები (GIS) სათანადოდ არ არის განვითარებული; არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; არ არსებობს ინტერნეტსივრცე, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ, რაც ხელს უშლის დაინტერესებულ პირებს (მათ შორის, ინვესტორებს), სწრაფად მოიპოვონ ინფორმაცია. მცირდება სხვადასხვა პროექტის განხორციელების მიმართ ინტერესი, აგრეთვე, მიმდინარე პროექტების ეფექტურად განვითარების შესაძლებლობა.

მოცემული ვალდებულების ფარგლებში ენერგეტიკის სამინისტრო შექმნის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ სივრცეს, სადაც განთავსდება პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია სივრცითი მონაცემების შესახებ. პორტალის მეშვეობით, დაინტერესებული პირი დისტანციურად (როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთიდან) მიიღებს საჭირო ინფორმაციას ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ინვესტორებს, შეაფასონ სასურველი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა, როგორც საწყის, ისე ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე.

ვალდებულება ემსახურება საჯარო მმართველობის ეფექტიანობის, ინოვაციისა და ტექნოლოგიის პრინციპების განმტკიცებას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური / საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუჯერესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
4. ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიუ-ლი) მონაცემების ვებპორტა-ლის შექმნა			✔		✔			✔		✔				✔				✔			
														✔							

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს მოქალაქეებს მთავრობის ენერგეტიკული პროექტების შესახებ, მათ შორის, მათი ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების თაობაზე, მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. ამის საპასუხოდ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, შეექმნა საჯაროდ ხელმისაწვდომი ონლაინპორტალი, რომელზედაც აღნიშნული მონაცემები განთავსდებოდა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან ახალი ენერგოპორტალი არ გაშვებულა. ენერგეტიკის სამინისტრომ შექმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შესაბამისი საჯარო უწყებები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოკომპანიები შევიდნენ, და მიაღწია შეთანხმებას იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო პორტალზე. ამასთანავე, სამინისტრომ მოახდინა მისდამი დაქვემდებარებული იმ ენერგოკომპანიების იდენტიფიცირება, რომელთაც პორტალისთვის მონაცემების მიწოდება ევალებოდათ. კომპანიებმა დაიწყეს ზოგიერთი საკუთარი მონაცემის გაზიარება, სამინისტრო კი ამ მონაცემებს აანალიზებდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.

საბოლოო: შეზღუდული

2017 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მსგავსად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროც გაუქმდა და მისი ფუნქციები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა.[1] საქართველოს მთავრობის რეორგანიზაციამ და რესტრუქტურიზაციამ ხელი შეუშალა ვალდებულების თანამიმდევრულად და სწრაფად, 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თარიღების მიხედვით შესრულებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გეგმავს, ახალი ენერგოპორტალი თავის ვებგვერდზე ახლო მომავალში გაუშვას, თუმცა მისმა

წარმომადგენლებმა ზუსტი თარიღი ვერ დაასახელეს. ახალ პორტალზე სხვა ინფორმაციასთან ერთად განთავსდება მონაცემები ჰიდროელექტროსადგურებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების, აგრეთვე ენერგოობიექტების საექსპლუატაციოდ შერჩევის მეთოდოლოგიის შესახებ.[2] საბოლოო შეფასების დროს ენერგეტიკასთან დაკავშირებული მონაცემები, კერძოდ, გაზსადენების პროექტები[3] და ჰიდრო- და თბოელექტროსადგურებისა და საქართველოში ნავთობის მოპოვებაზე მომუშავე კომპანიების რუკები[4], საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის არსებულ პორტალსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ძველ და განუახლებელ პორტალზე იყო გაბნეული.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვლილა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მთავრობას ერთიანი და განახლებული ენერგოპორტალი საჯარო მოხმარებისთვის ჯერ კიდევ არ გაუშვია. არსებული პორტალები შეიცავს მწირ და ზოგჯერ ძველ ინფორმაციას, კერძოდ, მხოლოდ ენერგოობიექტების სახელებსა და მოკლე აღწერილობას (ენერგიის გამომმუშავებელი და გამანაწილებელი დაწესებულებები) და მათთან დაკავშირებულ პროექტებს. თუმცა ფართო საზოგადოებამ ამ პორტალების არსებობის შესახებ არ იცის. შესაბამისად, ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის დონე ვალდებულების დაწყებიდან დღემდე არ შეცვლილა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. საქართველოს მთავრობისადმი დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, ენერგოობიექტების საექსპლუატაციოდ შერჩევის მეთოდოლოგიის გარდა, გამოქვეყნდეს აგრეთვე საინვესტიციო პროექტების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია (ხელშეკრულების პირობები, მემორანდუმები, ადგილობრივ კლიმატზე, გარემოსა და მოსახლეობაზე პროექტის გავლენის დეტალური შეფასებები და სხვა). ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეუძლია ენერგორესურსების ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეები საწყის ეტაპზევე ჩართოს.

---

[1] საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2017 წლის 7 დეკემბერი, მუხლი 2: https://bit.ly/2xUs0fw

[2] თამარ საბელაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 27 სექტემბერი.

[3] საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, https://bit.ly/2R3VOz3

[4] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, https://bit.ly/2ImC1GV

5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ინოვაციების ეკოსისტემის შექმნის ვალდებულებას საფუძვლად უდევს მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული კვლევა.

ინოვაციების ეკოსისტემის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ორკომპონენტიანი ვალდებულებით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (შემდგომში - ინოვაციების სააგენტო) მიზნად ისახავს მოქალაქეებს გაუმარტივოს თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ დანადგარებზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა. ეს განავითარებს საზოგადოების კომპიუტერულ წიგნიერებასა და საქმიანობის კომერციალიზაციისთვის საჭირო უნარებს.

***კომპონენტი I** - ინოვაციების სააგენტო გეგმავს დედაქალაქში არსებული ინოვაციების ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკი) განვითარებას, ხოლო საქართველოს რეგიონების მასშტაბით ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნას მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.*

ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს: 1. დედაქალაქში ინოვაციების არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებას; 2. დიდ ქალაქებში რეგიონალური ინოვაციების ჰაბების შექმნას; 3. ინოვაციების ცენტრების (ინოვაციების ცენტრები შეიქმნება არსებული ინფრასტრუქტურის (ბიბლიოთეკები, საგანმანათლებლო დაწესებულებების) ბაზაზე მუნიციპალიტეტის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი უშუალო მონაწილეობით) შექმნას შემოგარენ სოფლებში; 4. რეგიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული შედეგების გასაზომად შემუშავდება ბენეფიციარების აღრიცხვის სისტემა.

რეგიონული ინოვაციების ჰაბი (ცენტრი) წარმოადგენს მინიტექნოპარკს. რეგიონის დიდ ქალაქში შეიქმნება ერთი რეგიონული ჰაბი, რომელსაც სამი რაიონული ინოვაციების ცენტრი დაუკავშირდება. ინოვაციების ცენტრების ლოკაცია წინასწარი კვლევების საფუძველზე შეირჩევა. აღნიშნულ ჰაბებში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სპექტრის სატრენინგო სერვისების მიწოდება. ონოვაციების ცენტრების მეშვეობით სპეციალური უნარების საჭიროებების კვლევის საფუძველზე ჩატარდება ტრენინგები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტული ლოკაციის საჭიროებებს. გარდა საგანმანათლებლო მიზნებისა, ინოვაციების ცენტრები უზრუნველყოფილი იქნება შეხვედრების ოთახებით, სადაც სხვადასხვა თემებზე იქნება შესაძლებელი შეხვედრების, პრეზენტაციების, მენტორინგის ჩატარება. სერვისების მიწოდება განხორციელდება თავისუფალი დასწრების პრინციპით. ინოვაციების ცენტრების მართვას განახორციელებს სპეციალური კომპანია, ხოლო შემდგომ ცენტრები ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცემა სამართავად.

***კომპონენტი II** გულისხმობს მოსახლეობის ინოვაციურ მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფას ისეთი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებით, როგორიცაა ტრენინგები, ოლიმპიადები, დისტანციური სწავლება, საკონსულტაციო*

სერვისები, ფიზიკური პირებისა და მეწარმეებისთვის კომპიუტერული წიგნიერების დონისა და საჭირო უნარ-ჩვევების ამაღლება.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო - კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, მსოფლიო ბანკი

დაწყების თარიღი: ივნისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
5. ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა			✔		გაურკვეველი						✔			✔				✔			
														✔							

ვალდებულების მიზანი:

საქართველოში სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის განგრძობადი განათლებისა და ტრენინგრესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის შრომით ბაზარზე კვალიფიციური კანდიდატების სიმცირეს და წარმოების დაბალ დონეს განაპირობებდა. ამის საპასუხოდ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მიზნად დაისახა, ხელი შეეწყო მეწარმეობისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებით, კერძოდ, ტექნოპარკებითა და ინოვაციების ცენტრებით, რომლებიც მოქალაქეებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების და უნარების გასაუმჯობესებელი ტრენინგების თავისუფალ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდნენ. უფრო კონკრეტულად, ვალდებულების მიზანი იყო:

- საქართველოს დედაქალაქში – თბილისში ინოვაციის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დიდ ქალაქებში ინოვაციების რეგიონული ცენტრების გახსნა;
- სოფლებში ინოვაციების ცენტრების გახსნა;
- რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- ინოვაციის სერვისების საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდა დაინტერესებული მოქალაქეებისა და მეწარმეებისთვის უნარების გასაუმჯობესებელი ტრენინგების ჩატარებით.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული
შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, დაგეგმილი 2 ტექნოპარკისა და 13 ინოვაციების ცენტრის ნაცვლად, 1 ტექნოპარკი და 3 ინოვაციების ცენტრი გახსნა. ვალდებულების შესრულება ძირითადად ფინანსების ნაკლებობისა და ცენტრებისთვის გამოყოფილი ძველი შენობების ცუდი მდგომარეობის გამო გადავადდა.

საბოლოო: შეზღუდული
შუალედური შეფასების შემდეგ ვალდებულების შესრულების სტატუსი არ შეცვლილა. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ახალი ტექნოპარკი და ინოვაციების ცენტრი არ გაუხსნია. სააგენტო 2018 წლის ბოლოსთვის 1 ტექნოპარკის თელავში გახსნას და 2 ინოვაციების ცენტრის ახმეტასა და რუხში გახსნას გეგმავდა.[1]

გახსნა ამან მთავრობა?
არაფერი შეცვლილა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები საზოგადოებას მაღალტექნოლოგიური პროექტების, სამუშაო სივრცისა და სხვადასხვა ინოვაციური პროექტის გრანტების უფასო ხელმისაწვდომობას სთავაზობს, ამჟამინდელი ფორმით ისინი მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობას არ ითვალისწინებს. სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, პერიოდულად ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები მასპინძლობენ საინფორმაციო საჯარო შეხვედრებს, რომლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. შეხვედრების ძირითადი თემებია: ახალგაზრდობის საკითხები, ინოვაციები, ონლაინტექნოლოგიები, კომპიუტერული უნარები, მეწარმეობასთან დაკავშირებული საკითხები.[2] თუმცა ცენტრები არ გამოიყენება, როგორც პლატფორმა მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მათ მიერ არჩეულ თანამდებობის პირებთან პირდაპირ წამოსაჭრელად და ამ საკითხებზე პოლიტიკის შესამუშავებლად. ამასთანავე, ცენტრები არ ატარებენ კვლევებს მიწოდებული სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესაფასებლად და სერვისების გაუმჯობესებისთვის მათი კომენტარების მისაღებად. შესაბამისად, ვალდებულებამ OGP-ის კონტექსტში ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა ვერ გაზარდა.

გაგრძელდა სამომავლოდ?
ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა, თუმცა მთავრობა გეგმავს, ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები OGP-ის პროცესის მიღმა გახსნას.

---

[1] მარიამ ლაშხი, დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, და ანა გუგუშვილი, დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი (პირველი კატეგორია), საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 23 აგვისტო.

[2] ანა გუგუშვილი, დონორებთან ურთიერთობისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი (პირველი კატეგორია), საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 22 აგვისტო.

6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ქონების სააგენტო) ორიენტირებულია მომხმარებელს შესთავაზოს სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურება, მათ შორის, დისტანციური მომსახურებები მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა საზოგადოებას შეუქმნას კომფორტი სახლიდან გაუსვლელად მიიღოს სააგენტოსგან ინფორმაცია და მომსახურება.

სამოქმედო გეგმით ქონების სააგენტო იღებს ვალდებულებას შექმნას სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული. მომხმარებლის მოდულის შექმნა ემსახურება არა მხოლოდ მომსახურების გაწევის ელექტრონულ სივრცეში დანერგვას, არამედ პროცესების მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოებას.

მომხმარებლის მოდული შესაძლებლობას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ქონების, საპრივატიზებო ობიექტების, გამოცხადებული აუქციონების შესახებ. აღნიშნული გაზრდის კონკურენციას და გაუმარტივებს მომხმარებლებს იმ ქონების და მომსახურების (პრივატიზება/იჯარა) იდენტიფიცირებას, რომლისთვისაც შეუძლიათ სააგენტოს მიმართონ.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: აპრილი, 2016

დასრულების თარიღი: ივლისი, 2016

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა																			
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის																

6. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონუ-ლი პორტალი – მომხმარებ-ლის მოდული			✔		✔			✔		✔				✔				✔				
														✔								

ვალდებულების მიზანი:

კორუფციის რისკების შემსუბუქებისა და საკანცელარიო სამუშაოს შემცირების მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) მიზნად დაისახა, შეექმნა ელექტრონული პორტალი – „მომხმარებლის მოდული“, რომელიც მოქალაქეებს მათ საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ქონების რეგისტრაციისა და საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის საშუალებას მისცემდა. ამასთანავე, პორტალზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების, საპრივატიზაციო ობიექტებისა და გამოცხადებული აუქციონების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდებოდა. აუქციონის მონაწილეებისა და მათი განაცხადების შესახებ ინფორმაცია, კომერციული საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის წესებიდან გამომდინარე, ვებგვერდზე არ განთავსდებოდა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. 2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სააგენტო ახდენდა „მომხმარებლის მოდულის“ სარეზერვო სისტემის ტესტირებას, რომლის გაშვებაც 2018 წლის სექტემბრისთვის იგეგმებოდა. ამასთანავე, გადაწყდა, რომ, პირველადი გეგმისგან განსხვავებით, რომელიც მოდულის სააგენტოს ვებგვერდზე დამატებას ითვალისწინებდა, ტექნიკური პრობლემების გამო მოდული პლატფორმა my.gov.ge-ზე განთავსდებოდა, ხოლო სახელმწიფო ობიექტების ონლაინრუკები და მათი საკუთრების სტატუსის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდებოდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შეზღუდული

შუალედური შეფასების შემდეგ ვალდებულების შესრულების სტატუსი არ შეცვლილა. „მომხმარებლის მოდულის“ შექმნა მმართველ გუნდში საკადრო ცვლილებების გამო დაყოვნდა. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის შეთანხმებას ელოდა (რადგანაც მოდული იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით უნდა შექმნილიყო). სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, პლატფორმა my.gov.ge-ზე 2 მეორეხარისხოვანი სერვისი უკვე ამოქმედებულია, თუმცა ისინი არ მოიცავს სააგენტოს მიერ აღებული ვალდებულებით გათვალისწინებულ ძირითად სერვისებს – პრივატიზაციასა და სახელმწიფო ქონების მონიტორინგს.[2]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვლილა.

იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულება არ შესრულებულა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა. თუმცა სააგენტომ აიღო ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულება (ვალდებულება №15), რომელიც სახელმწიფო საწარმოების (იგულისხმება 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით დაარსებული საწარმოები) გამჭვირვალობას ისახავს მიზნად. ვალდებულება საწარმოს შესახებ ძირითადი ინფორმაციის სტანდარტის შემოღებას და საწარმოს დირექტორზე, პროექტებზე, კაპიტალსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის nasp.gov.ge-ზე განთავსებას ითვალისწინებს. ამასთანავე, ვალდებულების მიზანია სახელმწიფო საწარმოებისთვის კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება.

---

[1] „დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017," http://bit.ly/30LHBvp

[2] მაკა მიქაბერიძე, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის უფროსი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 12 ოქტომბერი.

7. ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ეტაპობრივად ხორციელდება.

ღია მმართველობა საქართველოს პირველი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებით შესაძლებელი გახდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება. ამ რეფორმით საქართველო 7 ფინალისტ ქვეყანას შორის მოხვდა ლონდონში OGP-ის გლობალურ სამიტზე გამართულ კონკურსზე - „Bright Spots". კონკურსის მიზანი იმ წარმატებული რეფორმების ჩვენება იყო, რომლებიც მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

მოგვიანებით ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში მთავრობამ კიდევ უფრო მასშტაბური პროექტი - ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავება დაიწყო. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია: (1) ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც ძირითადი პრობლემური საკითხები განსაზღვრეს; (2) მომზადდა პირველადი პროექტი ძირითადი სავარაუდო ცვლილებებით, რომელიც განსახილველად ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა; (3) გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან (მოსამართლეები, ჟურნალისტები, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები); (4) სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს წარედგინა; (5) კანონპროექტმა გაიარა პირველადი საერთაშორისო ექსპერტიზა.

ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის ყველა სამთავრობო უწყებასთან შეთანხმებას იუსტიციის სამინისტრო წინამდებარე გეგმის ფარგლებში დაასრულებს. წარმოდგენილი კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის შემდეგ სამინისტრო ფართო კონსულტაციების კიდევ ერთ რაუნდს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში ჩაატარებს, რომლის დროსაც დაინტერესებულ საჯარო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან შეთანხმდება კანონის საბოლოო ტექსტი. ამის შემდეგ კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარედგინება.

წამყვანი დაწესებულებები: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ანტიკორუფციული საბჭო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს პარლამენტი, „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო", ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

დაწყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
7. ინფორმაციის თავისუფლე-ბის კანონის შემუშავება				✔	✔		✔					✔		✔ ✔				✔			

ვალდებულების მიზანი:

ამ უკვე არსებული ვალდებულებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიზნად დაისახა, ინფორმაციის თავისუფლების ცალკე კანონის პროექტი დაესრულებინა, საქართველოს მთავრობასთან განეხილა და საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან განახლებული კანონპროექტი საქართველოს მთავრობას დამოწმებული და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი არ ჰქონდა. ეს პროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს შეიცავდა: დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს შექმნა – ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის თანამდებობის შემოღება, რომელსაც ინფორმაციის თავისუფლების კანონის დარღვევისთვის უწყებებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლებამოსილება ექნებოდა; საჯარო ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის ერთიანი რეესტრის შექმნა და მისი სწრაფი და მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; იმ უწყებების სიის გაფართოება, რომელთაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევალებათ, მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებით; მზა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადის 10 სამუშაო დღიდან 3 სამუშაო დღემდე შემცირება; საჯარო უწყებების დავალდებულება, საკუთარი მონაცემები ღია მონაცემთა ერთიან პორტალზე – data.gov.ge-ზე გამოაქვეყნონ, აგრეთვე განმარტონ ზიანი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებას გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნებით მიადგება, და გამოაქვეყნონ მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი საიდუმლო ინფორმაცია.

იუსტიციის სამინისტრომ თავდაპირველი კანონპროექტი ორ წელზე მეტ ხანს გააჩერა. მან განახლებული კანონპროექტი ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ანტიკორუფციულ საბჭოს და სამუშაო ჯგუფისა და OGP-ის ფორუმის წევრებს, მხოლოდ

2017 წლის მაისში მიაწოდა. ახალი პროექტი მნიშვნელოვნად ემყარებოდა წინა პროექტს და ზემოთ აღნიშნულ ყველა ძირითად დებულებას შეიცავდა. იუსტიციის სამინისტრომ ამ კანონპროექტზე მრავალი კომენტარი მიიღო და მათზე პასუხებს ამზადებდა. ამასთანავე, სამინისტრომ წარმოდგენილი სიახლეების სხვადასხვა საჯარო უწყებისთვის განმარტების მიზნით ორმხრივი შეხვედრები გამართა. იგი გეგმავდა, ახალი კანონპროექტი საქართველოს მთავრობისთვის 2017 წლის ბოლომდე წარედგინა.

საბოლოო: შეზღუდული
შუალედური შეფასების შემდეგ ვალდებულების შესრულების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი არ ყოფილა. იუსტიციის სამინისტრო ყველა შესაბამის საჯარო უწყებასთან კონსულტაციებს აწარმოებდა, რადგან მათ მრავალი დათქმა ჰქონდათ კანონპროექტით წარმოდგენილ სიახლეებთან, განსაკუთრებით – ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით. სამართალდამცავი უწყებები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ამ საზედამხედველო მექანიზმისა და საჯარო ინტერესის ტესტის შესრულების მიმართ, რომელიც საჯარო უწყებებს ავალდებულებს, განმარტონ ზიანი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოებას გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოქვეყნებით მიადგება, აგრეთვე გამოაქვეყნონ მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი საიდუმლო ინფორმაცია, განსაკუთრებით – სახელმწიფო საიდუმლოების კანონმდებლობით დაცული ინფორმაცია.[1] ახალი კანონპროექტის კომპლექსურობისა და დელიკატურობის გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტრომ საჯარო უწყებებთან კონსულტაციები გამართა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მას საკუთარი კომენტარები წარუდგინეს, თუმცა ამ კომენტარებზე პასუხი არ მიუღიათ, რითაც გაწბილებული დარჩნენ.

გახსნა ამან მთავრობა?
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვლილა.

იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის თავისუფლების კანონის არსებული პროექტი საქართველოს მთავრობას დამოწმებული და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი არ ჰქონდა, 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების კუთხით მთავრობის პრაქტიკაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

გაგრძელდა სამომავლოდ?
ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საქართველოს მთავრობას საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი რეკომენდაციები წარუდგინეს:

- ინფორმაციის თავისუფლების კანონის არსებული პროექტი სწრაფად უნდა იქნეს მიღებული ზემოთ აღნიშნული ყველა ძირითადი დებულების გათვალისწინებით. ეს დებულებები უნდა გავრცელდეს აგრეთვე იმ კომპანიებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ან რომლებშიც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტი ან მეტია, და ინდივიდუალურ მეწარმეებზე, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს საჯარო ფუნქციების შესასრულებლად.
- მთავრობამ უნდა გააფართოოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სია, მათ შორის, საჯარო მოხელეების ინდივიდუალური ხელფასების, დანამატებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ დეტალური მონაცემებით.

- მთავრობამ უფრო ნათლად უნდა განმარტოს, რა სახის ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოვდეს და რა მიზეზებით. მან აგრეთვე უნდა გამოაქვეყნოს მაღალი საჯარო ინტერესის გამომწვევი პერსონალური ინფორმაცია, თუ მისი გამოქვეყნებით მიღებული სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე საიდუმლოდ დატოვებისა.

[1] ზურაბ სანიკიძე, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, და ქეთევან ცანავა, OGP-ის ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 30 აგვისტო.

8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიან ჩარჩოს შეიმუშავებს. აღნიშნული სისტემის მეშვეობით, როგორც ex-ante, ასევე ex-post შეფასების საფუძველზე შესაძლებელი იქნება მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გამოწვევების დროულად განსაზღვრა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რაც პოლიტიკის პროცესის წარმართვას უფრო ეფექტურს გახდის. გარდა ამისა, ex ante შეფასების საფუძველზე შესაძლებელი გახდება კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული საკანონმდებლო აქტების შემუშავება ან/და პოლიტიკის დაგეგმვა. საზოგადოების ჩართულობის მიზნით გაძლიერდება პლატფორმა დიალოგისათვის, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობას შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია, მეორე მხრივ კი, საზოგადოება შეძლებს გამოიყენოს ეს სივრცე საკუთარი რეკომენდაციების მთავრობისთვის მისაწოდებლად; კერძოდ, მოქალაქეებს წვდომა ექნებათ სისტემასთან და ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ იდეები წერილობით, ელექტრონული სახით.

მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შედგება მონიტორინგის ანგარიში, რაც მთავრობას საზოგადოების წინაშე კიდევ უფრო გამჭვირვალესა და ანგარიშვალდებულს გახდის. გრძელვადიანი და მოკლევადიანი დოკუმენტების (მაგ.: ქვეყნის მასშტაბის დოკუმენტები ან სექტორული სტრატეგიები) შესრულების შედეგად განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვება უნდა მოხდეს ყოველწლიურად. მოკლევადიანი დოკუმენტების (წლიური სამუშაო გეგმა, სამოქმედო გეგმა) მონიტორინგი უნდა განხორციელდეს კვარტალურად ან წელიწადში ორჯერ. შიდა დოკუმენტების (სამინისტროს გეგმა, განყოფილებების გეგმები და ინდივიდუალური გეგმები) მონიტორინგი და ანგარიშგება კი ყოველთვიურად უნდა განხორციელდეს. სტრატეგიის განხორციელების პროცესში უნდა განისაზღვროს თითოეული დაგეგმვის დოკუმენტის ანგარიშგებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავრობის საქმიანობის უკეთ წარმართვისა და მონიტორინგის მიზნით, 2017 წელს დაინერგება ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს: (1) მთავრობის წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში უწყებების მიერ სხვადასხვა სფეროში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ელექტრონული ანგარიშგების წარმოებას, (2) შესრულების მონიტორინგსა და ანალიზს. მასში ასევე ინტეგრირებული იქნება სხვადასხვა სექტორული და მულტისექტორული სამოქმედო გეგმები. პლატფორმა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას მისცემს მოცემული ინფორმაცია დაყოს სექტორებისა თუ მიმართულებების მიხედვით.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დამხმარე დაწესებულება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არავერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
8. სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებ-ლო აქტების მონიტორინ-გისა და შეფასების სისტემის შემუშავება			✔		✔						✔			✔				✔			
														✔							

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიზნად დაისახა, შეემუშავებინა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების წინა (ex-ante) და შემდგომი (ex-post) შეფასების ერთიანი სისტემა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე მოქალაქეთა მონაწილეობით მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის შექმნა და მათთვის საკუთარი იდეებისა და რეკომენდაციების მიწოდების შესაძლებლობის მიცემა. უფრო კონკრეტულად, ვალდებულების მიზანი იყო:

- ახალი ელექტრონული სისტემის ამოქმედება, რომელიც სხვადასხვა საჯარო უწყების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შესახებ ანგარიშებს, აგრეთვე მათი განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და ანალიზის ანგარიშებს შეიცავდა;
- მთავრობის ეროვნული სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების კვარტალური და ექვსთვიანი მონიტორინგის ანგარიშების მომზადება;
- შიდა დაგეგმვის დოკუმენტების შესრულების ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადება;
- მოქალაქეებისთვის ახალი სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა მათ მთავრობისთვის საკუთარი იდეების ელექტრონულად წარდგენა და ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის სფეროსა და მიმართულების მიხედვით ორგანიზება შესძლებოდათ.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული
შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელმაც ყველა საჯარო უწყება დაავალდებულა, საკუთარი პოლიტიკის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ჩაეტარებინა. ამ დადგენილების მიხედვით მთავრობის ადმინისტრაციამ შეარჩია 5 საპილოტე სამინისტრო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), რომელთაც კონკრეტული სტრატეგიები უნდა შეემუშავებინათ და მონიტორინგი უნდა განეხორციელებინათ. შემდეგი ეტაპისთვის მთავრობის ადმინისტრაცია სისტემისთვის კიდევ 7 საპილოტე სამინისტროს, უფრო მოგვიანებით კი – ყველა სხვა სამინისტროს დამატებას გეგმავდა. თუმცა ზოგიერთი სამინისტროს პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო შესაძლებლობების ნაკლებობამ სისტემის ყველა სამთავრობო უწყებაში ფუნქციონირებას ხელი შეუშალა.

საბოლოო: შეზღუდული
საბოლოო შეფასების დროს ვალდებულების შესრულების სტატუსი იგივე („შეზღუდული“) დარჩა. ხუთმა საპილოტე სამინისტრომ საკუთარი პოლიტიკის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები შეიმუშავა. თუმცა ვალდებულების ტექსტით გათვალისწინებული ახალი, ერთიანი ელექტრონული სისტემა ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული. საბოლოო შეფასების პერიოდში მთავრობის ადმინისტრაცია შესაბამის სამინისტროებსა და დონორებთან ახალი სისტემის კონცეფციაზე კონსულტაციებს აწარმოებდა. დისკუსიის მნიშვნელოვანი თემა იყო ის, თუ სისტემის რა ნაწილი უნდა გამხდარიყო საჯარო – სხვადასხვა უწყების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შესახებ ელექტრონული ანგარიშები თუ მათი განხორციელების პროცესის მონიტორინგისა და ანალიზის ანგარიშები.[1]

გახსნა ამან მთავრობა?
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვლილა.

მთავრობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების ახალი სისტემა სამოქმედო გეგმითა და ამ შეფასებით გათვალისწინებულ პერიოდში არ ამოქმედებულა. შესაბამისად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით მთავრობის პრაქტიკაში არანაირი ცვლილება არ მომხდარა.

გაგრძელდა სამომავლოდ?
ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა, თუმცა მთავრობა გეგმავს, აღნიშნული პროექტი OGP-ის პროცესის მიღმა გააგრძელოს. სამოქალაქო საზოგადოების აზრით, ახალი სისტემა მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხს მხოლოდ მაშინ გააუმჯობესებს, თუ ის ღიაობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის ელემენტებს შეიცავს. მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს: ყველა პოლიტიკის დოკუმენტისა და საკანონმდებლო აქტის განმარტებითი ბარათი და ბიუჯეტზე გავლენის შესახებ ინფორმაცია; შემოთავაზებული ცვლილების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამარტივებული ანალიზი;

კონსულტაციების მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა სახელები და რაოდენობა, აგრეთვე კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში და მთავრობის პასუხები. გარდა ამისა, მთავრობამ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისთვის ონლაინმექანიზმი უნდა შექმნას, რათა ყველამ შეძლოს ინდივიდუალური კომენტარების მიწოდება.

[1] მარიამ დანელია, პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მრჩეველი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 31 აგვისტო.

✪9. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის დასაწყისიდან საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, დამოუკიდებელი კომისიის მიერ, ცხადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული, ასევე, ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იდენტიფიცირებული დეკლარაციების მიმართ. საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებამდე აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა. არ არსებობდა რეალური ზემოქმედების ბერკეტები თანამდებობის პირის მიერ გაცხადებული ეკონომიკური ინტერესისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გასაჯაროებული მონაცემების აუდიტისათვის. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის მიზანია ხელი შეუწყოს თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას და მოახდინოს კორუფციულ სამართალდარღვევათა პრევენცია.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულებები: საქართველოს მთავრობა; ანტიკორუფციული საბჭო; სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
✪ 9. თანამდებო-ბის პირთა ქონებრივი მდგომარეო-ბის დეკლარაციე-			✔				✔					✔			✔ ✔					✔	

სარედაქციო შენიშვნა: როგორც აღნიშნულია, ეს ვალდებულება ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად არის შესრულებული. შესაბამისად, იგი „ვარსკვლავური ვალდებულების“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ვალდებულების მიზანი:

ეს უკვე არსებული ვალდებულება (იგი 2014 წლის მეორე სამოქმედო გეგმიდან იყო გადმოტანილი) თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების ფორმალური მექანიზმის შექმნას ისახავდა მიზნად. მანამდე საჯარო მოხელეები თავიანთ დეკლარაციებში საკუთარი ქონების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვისკენ ან არასწორი მონაცემების მითითებისკენ იყვნენ მიდრეკილი, ხოლო დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმების ოფიციალური მექანიზმი არ არსებობდა.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული. 2016 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო მონიტორინგის ახალი სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. ამ ცვლილებებით საჯარო სამსახურის ბიურომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი დაიწყო. მონიტორინგისადმი დაქვემდებარებული დეკლარაციები ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ან წარდგენილ დეკლარაციაში დარღვევის არსებობის წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე შეირჩეოდა. თუმცა საჯარო სამსახურის ბიურომ ვერ შექმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევისთვის სპეციალურ მეთოდოლოგიას გამოიყენებდა. ამის მიზეზი კომისიის წევრობის თაობაზე არასაკმარისი განაცხადების მიღება იყო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.

საბოლოო: არსებითი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო სამსახურის ბიურომ ვერ შექმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან უნდა შემდგარიყო. ამის მიზეზი აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მიერ კომისიის წევრობის თაობაზე არასაკმარისი განაცხადების წარდგენა იყო. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ის დებულება გააკრიტიკეს, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს ანიჭებს უფლებამოსილებას, უარი თქვას მონიტორინგისთვის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შერჩევისთვის პასუხისმგებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნაზე, თუ კომისიის წევრობაზე არასაკმარის განაცხადებს მიიღებს. მათი აზრით, აკადემიური წრეების წარმომადგენელთა ვაკანტური ადგილების შესავსებად განაცხადების წარდგენის საშუალება სამოქალაქო ჯგუფებსა და ჟურნალისტებს უნდა მიეცეთ. ამასთანავე, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საჯარო სამსახურის ბიურო განაცხადების მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის

გასავრცელებლად სხვადასხვა ონლაინწყაროს და სხვა წყაროების არასაკმარისი პროაქტიული გამოყენებისთვის გააკრიტიკეს. დამოუკიდებელი კომისიის შექმნა ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რადგან კომისიას დამოუკიდებლად უნდა შეერჩია მონიტორინგისადმი დაქვემდებარებული დეკლარაციები საჯარო სამსახურში კორუფციასთან საბრძოლველად გამოყენებული სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, საბოლოო შეფასების დროს ვალდებულების შესრულების სტატუსი იგივე („შეუსრულებელი“) დარჩა.

გახსნა ამან მთავრობა?

ანგარიშვალდებულება: მნიშვნელოვანი

ამ ვალდებულებამდე თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების ფორმალური მექანიზმი არ არსებობდა. საბოლოო შეფასების პერიოდში საჯარო სამსახურის ბიურომ მონიტორინგისთვის თავისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითობის პრინციპის დაცვით 284 დეკლარაცია შეარჩია. გარდა ამისა, მან გარეშე დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსგან“, მიიღო 3 შეტყობინება იმ საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის განსახორციელებლად, რომლებიც საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სასამართლოებსა და პარლამენტში მუშაობდნენ. ბიურომ ხარვეზები და არასრული ინფორმაცია ამ დეკლარაციებიდან 224-ში აღმოაჩინა და, შესაბამისად, მათი წარმდგენები დააჯარიმა ან პროკურატურასთან გადაამისამართა.[1] შესაბამის კანონში შეტანილი უახლესი ცვლილებებით ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესის დარღვევისთვის დაწესდა ახალი სანქციები, რომლებიც მცირე ტექნიკური დარღვევისთვის გაფრთხილებას, ხოლო დეკლარაციაში არასრული ან არასწორი ინფორმაციის შეტანისთვის – ხელფასის 20 პროცენტის (არანაკლებ 500 ლარისა) დაქვითვას ითვალისწინებს. ამასთანავე, ძალაში დარჩა თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციის დროულად წარუდგენლობისთვის დაწესებული 1000-ლარიანი ჯარიმა, ხოლო დეკლარაციის განმეორებით წარუდგენლობისთვის – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[2] და ბოლოს, 2017 წლის დეკემბერში ბიურომ გამოაქვეყნა თავისი პირველი ანგარიში, რომელშიც ზემოთ აღწერილი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები შეაჯამა.[3]

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შესრულებული ზემოაღნიშნული სამუშაო თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლაში მთავრობის ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბიურომ საეჭვო დეკლარაციების მონიტორინგის შესახებ გარეშე დაინტერესებული მხარეების თხოვნების დაკმაყოფილების ნება გამოხატა. თუმცა ეს სამუშაო შეზღუდული იყო, რადგან ბიურომ ვერ შექმნა სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან შემდგარი დამოუკიდებელი კომისია, რომელსაც დეკლარაციების მონიტორინგისთვის შესარჩევად უფრო მყარი კრიტერიუმები უნდა გამოეყენებინა. მისი შექმნა თანამდებობის პირთა კორუფციული ქმედებების პრევენციის საქმეში უფრო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) აღიარეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის პრაქტიკაში მომხდარი მნიშვნელოვანი

ცვლილება. ორივე ორგანიზაციამ განსაკუთრებით პოზიტიურად შეაფასა ბიუროს მზადყოფნა, განახორციელოს იმ დეკლარაციების მონიტორინგი, რომელთა შესახებ შეტყობინებას გარეშე დაინტერესებული მხარეებისგან მიიღებს. მათ ასევე მოიწონეს სანქციების მცირე და დიდი დარღვევების მიხედვით კლასიფიკაცია. ბიუროს რომ დამოუკიდებელი კომისია შეექმნა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვალდებულებას შეაფასებდნენ, როგორც „გამორჩეულს“.[4,5]

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. თუმცა იგი ქვეყანაში მნიშვნელოვან, ანტიკორუფციულ სფეროს ეხება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციაა, საქართველოს მთავრობამ ზუსტად განსაზღვროს, თითოეული უწყებიდან რამდენი თანამდებობის პირის დეკლარაცია გადამოწმდება და ვის აქვს გასაიდუმლოებული დეკლარაციის შევსების უფლება. მათ ასევე სჯერათ, რომ საჯარო სამსახურის ბიურომ დამოუკიდებელი კომისიის შექმნაზე უარი არ უნდა თქვას, თუ კომისიის წევრობის თაობაზე არასაკმარის განაცხადებს მიიღებს, და ამ კუთხით შესაბამის კანონში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, დროებითი კომისიის შექმნა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მიერ წარდგენილი განაცხადების რაოდენობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. კომისიის წევრობის კვოტის შესავსებად განაცხადების წარდგენა უნდა შეეძლოთ სხვა დაინტერესებულ მხარეებსაც, მათ შორის, სამოქალაქო ჯგუფებსა და ჟურნალისტებს.[6] ამასთან დაკავშირებული რეკომენდაციაა, კომისიის წევრობის თაობაზე განაცხადების წარდგენის შესახებ განცხადება, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის გარდა, სხვა ელექტრონული და არაელექტრონული საშუალებებით, მათ შორის, სოციალური მედიის ქსელებით, გავრცელდეს. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავრობა დამოუკიდებელი კომისიის შექმნას და კომისიის წევრობაზე განაცხადების მიღების პროცესის პროაქტიულად რეკლამირებას გეგმავს.

და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების აზრით, საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო, რომელსაც მაღალი რანგის პოლიტიკოსებისა და მთავრობის თანამდებობის პირთა კორუფციული საქმეების გამოძიების უფლებამოსილება ექნება. არსებულ მექანიზმს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილ ანტიკორუფციულ საბჭოს, რომელიც მთავრობისა და მცირე რაოდენობის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შედგება, მაღალი რანგის პოლიტიკოსების მონაწილეობასთან დაკავშირებული კორუფციული საქმეების გამოძიების მანდატი არ აქვს. ამ ფაქტს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დიდი ხანია აკრიტიკებენ. ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ისეთ საქმეებს, რომლებშიც მმართველი პარტიის წევრები ან სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები არიან ჩართული, ნაკლები ენთუზიაზმით იძიებს. ამის საპასუხოდ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მთავრობას სთავაზობენ, შექმნას სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ე. წ. „ელიტური კორუფციის“ საქმეების გამოძიების უფლებამოსილება ექნება. მათ სჯერათ, რომ ეს საქართველოს მმართველობის ყველა დონეზე კორუფციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან პლაცდარმს შეუქმნის.

---

[1] საჯარო სამსახურის ბიურო, 2017 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, 2017 წლის 29 დეკემბერი: https://bit.ly/2QqBUgB

[2] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2018 წლის 4 მაისი, მუხლი 20: https://bit.ly/2VPBuTe

[3] საჯარო სამსახურის ბიურო, 2017 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, 2017 წლის 29 დეკემბერი: https://bit.ly/2QqBUgB

[4] გიორგი ნასრაშვილი და ლაშა სენაშვილი, უფროსი ანალიტიკოსები, და გიგი ჩიხლაძე, უფროსი იურისტი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 23 აგვისტო.

[5] ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, და საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 22 აგვისტო.

[6] ნასრაშვილი და სენაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 23 აგვისტო.

10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა

ვალდებულების ტექსტი:

სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა ემსახურება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ვალდებულების მიზანია სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდება პროექტი სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესების ძირითადი მიმართულებების და პრინციპების დადგენის შესახებ. აღნიშნული პროექტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება.

შემუშავებული ერთიანი წესის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებები გამოქვეყნება სასამართლოს ვებგვერდზე.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დაწესებულებები: საერთო სასამართლოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დაწყების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
10. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებ-ის ერთიანი წესის დადგენა			✔		✔						✔			✔				✔			

ვალდებულების მიზანი:

ამ ვალდებულებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიზნად დაისახა, შეემუშავებინა ძირითადი მიმართულებები და ერთიანი სტანდარტები სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინსივრცეში იმგვარად გამოსაქვეყნებლად, რომ ეს მონაცემები ადვილი გამოსაყენებელი ყოფილიყო. მანამდე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი არ არსებობდა და მოქალაქეებს ონლაინსივრცეში მათი მოძებნა ხშირად უჭირდათ.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. 2016 წლის ივლისში უზენაესმა სასამართლომ შექმნა ძირითადი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც უზენაესი, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების წარმომადგენლები, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაციების (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ადვოკატთა ასოციაცია, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“) წარმომადგენლები შევიდნენ. ამ სამუშაო ჯგუფმა საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სტანდარტების მიხედვით შეიმუშავა ერთიანი რეგულაციები, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. 2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ეს რეგულაციები დაამტკიცა და თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინსივრცეში გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ტექნიკური პროცედურების დახვეწის სირთულისა და ვებგვერდის დიზაინისთვის აუცილებელი ძვირადღირებული კომპიუტერული პროგრამის შესაძენად საჭირო თანხების ნაკლებობის გამო უზენაესმა სასამართლომ ვერ გაუშვა ერთიანი პორტალი, რომელზედაც ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ახალი რეგულაციების მიხედვით გამოქვეყნდებოდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.

საბოლოო: შეზღუდული

საბოლოო შეფასების დროს ვალდებულების შესრულების სტატუსი იგივე („შეზღუდული“) დარჩა, რადგან ერთიანი ონლაინპორტალი არ გაშვებულა. უზენაესი სასამართლო პორტალის გაშვებას 2018 წლის ბოლოსთვის გეგმავს. პორტალი მომხმარებლებს მათი სასამართლო საქმეების, სასამართლო სხდომების, ამ სხდომების განრიგისა და ოქმების შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებას მისცემს და ისინი ყველა ამ დოკუმენტის PDF ფორმატში ჩამოტვირთვას შეძლებენ. ამასთანავე, სასამართლო დაინტერესებულ მხარეებს სასამართლო მონაცემების საკუთარ სისტემებთან ინტეგრირებისთვის აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისს (API) მიაწვდის.[1]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: არაფერი შეცვლილა.

იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ გაუშვა ერთიანი ონლაინპორტალი, რომელიც მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელ ფორმატში გამოქვეყნებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს შეიცავდა, სასამართლოს ღიაობის პრაქტიკაში არაფერი შეცვლილა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში შევიდა. ახალი სამოქმედო გეგმა შეიცავს უზენაესი სასამართლოს ვალდებულებას (ვალდებულება №9), რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებების http://info.court.ge-ს ერთიან მონაცემთა ბაზაში პროაქტიულად გამოქვეყნებასა და საძიებო სისტემის შექმნას ისახავს მიზნად. ეს განახლებული პორტალი მიიჩნევა ერთიან რეესტრად სამივე დონის სასამართლოს (უზენაესი, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოები) გადაწყვეტილებების გამოსაქვეყნებლად. პორტალის ახალი საძიებო სისტემა შეიცავს: საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებების სიას, მათ შორის, ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც გარკვეული ნაწილები და სახელები დაშტრიხულია; საჯარო შეტყობინებებს; ცალკე სექციას მომჩივნებისთვის; დანიშნული სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაციას.[2]

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციაა, გამოქვეყნდეს თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია და სასამართლო დავებში მონაწილე ორგანიზაციების პერსონალური მონაცემები.

---

[1] გიორგი ასანიძე, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 7 სექტემბერი.

[2] საქართველოს 2018-2019 წლების OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი, ვალდებულება №8, *სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან მონაცემთა ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა,* 2018 წლის აგვისტო.

11. რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში - ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ყოველწლიურად დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრებს განკარგავს. შესაბამისად, მიზანშეწონილია გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტის დახვეწა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს სტრატეგიული დოკუმენტის - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში მოცემული სტანდარტების დანერგვა კი, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სამინისტროს ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)

დაწყების თარიღი: 2016-2017

დასრულების თარიღი: მარტი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციურ-ი შედეგი				შეს-რულება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	მიმდინარეობს	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი	გამორჩეული

11. რეგიონული განვითარე-ბის და ინფრა-სტრუქტუ-რის დარგში გამჭვირვა-ლობის და კეთილსინ-დისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება			✔		✔						✔					✔				✔	
																✔					

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომ – სამინისტრო) სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების[1] გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელო დოკუმენტის – გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ვალდებულება აიღო.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება სრულად იყო შესრულებული. სამინისტრომ 2017 წლის აპრილში დაამტკიცა გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1) გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, 2) ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაძლიერება, 3) ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება, 4) დაგეგმვის, მონიტორინგისა და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გამართვა.[2]

სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა შემდეგ საკითხებს მოიცავს: ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, მამხილებელთა დაცვა, პოლიტიკის დოკუმენტებზე მოქალაქეთა მოსაზრებების მიღება. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებისას სამინისტრომ კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიარა. მიუხედავად ამისა, კონსულტაციების ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გათვალისწინებული არ იქნა. მაგალითად ისინი ასახელებენ შესყიდვების საკითხს, რომელიც, სამინისტროს საქმიანობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სამინისტროს განცხადებით, შესყიდვების პოლიტიკას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შეიმუშავებს, სამინისტროს ვალდებულება კი მხოლოდ ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესრულებაა.

შუალედური შეფასების პერიოდში სამინისტრომ 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაიწყო. მაგალითად, მან სამშენებლო პროექტების შესახებ ინფორმაცია ვებპორტალზე – www.build.gov.ge-ზე გამოაქვეყნა. მამხილებელთა დასაცავად სამინისტრომ თავის ვებგვერდზე განათავსა მხილების განცხადების ფორმის ბმული, რომელიც მომხმარებელს ვებგვერდზე – www.mkhileba.gov.ge-ზე გადაამისამართებს (ამ ვებგვერდს საჯარო სამსახურის ბიურო მართავს). შუალედური შეფასების დროს სამინისტროს ვალდებულებით

გათვალისწინებული ტრენინგების ნაწილი თანამშრომლებისთვის უკვე ჩატარებული ჰქონდა და მსგავსი ღონისძიებების მომავალში განხორციელებასაც გეგმავდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[3]

საბოლოო: დასრულებული
შუალედური შეფასების შემდეგ სამინისტრომ განაგრძო პროექტების შესახებ ინფორმაციის პლატფორმა build.gov.ge-ზე განთავსება და ინფორმაციის გამოქვეყნების, თანამშრომლების შეფასების, პროექტების მართვისა და სხვა საკითხებზე თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება.[4]

გახსნა ამან მთავრობა?
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ეს დოკუმენტი პირველი სექტორული ანტიკორუფციული გზამკვლევია, განსაკუთრებით – ისეთ რისკის შემცველ სექტორში, როგორიცაა ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ნაბიჯი სამინისტროს მიერ ანტიკორუფციული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმისთვის მზადყოფნის მაჩვენებელია. ვებგვერდი – build.gov.ge, რომელზედაც სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, ამჟამინდელი სახით 2017 წლის პირველ კვარტალში იქნა გაშვებული. სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ამ პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაცია მის გაშვებამდე სამინისტროს სხვადასხვა ვებგვერდზე იყო გაბნეული. ახალმა პლატფორმამ აღნიშნულ ინფორმაციას თავი მოუყარა და მისი მოძიება გაამარტივა.[5]

პლატფორმა build.gov.ge თავს უყრის პროექტების შესახებ ძირითად ინფორმაციას და მოქალაქეს 2017–2020 წლებში განხორციელებული პროექტების (იგულისხმება დაგეგმილი, განხორციელებული და ამჟამად განხორციელების ეტაპზე მყოფი პროექტები) მარტივად პოვნის საშუალებას აძლევს. ვებგვერდზე განთავსებულია მწირი ინფორმაცია, კერძოდ, პროექტის დასახელება, ადგილმდებარეობა, განხორციელების პერიოდი და კატეგორია (მაგალითად, გზების შეკეთება). ამასთანავე, პლატფორმაზე მოცემულია შესყიდვების ვებგვერდის ბმული, რომელიც პროექტის სატენდერო განაცხადისა და სხვა დამხმარე დოკუმენტების (პროექტის აღწერა და სხვა) სახით უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იძლევა. თუმცა ეს ინფორმაცია შესყიდვების ვებგვერდზე build.gov.ge-ს გაშვებამდეც არსებობდა. Build.gov.ge-სა და მამხილებელთა დაცვის ვებგვერდის ბმულები სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა უწყების ვებგვერდებზე განთავსდა.

USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“, რომელიც სამინისტროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ეხმარებოდა, აღნიშნავს, რომ დოკუმენტების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო თანამონაწილეობა, რომელიც სტრატეგიის დამტკიცებასაც ახასიათებდა და მის განხორციელებასაც. მომავალში GGI სამინისტროსთან პლატფორმა build.gov.ge-ს გასაუმჯობესებლად ითანამშრომლებს.[6]

გაგრძელდა სამომავლოდ?
ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა. მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის

შესრულება. ამავდროულად, გამარტივებული შესყიდვებისა და ელექტრონული ტენდერების გამჭვირვალობის გასაზრდელად სამინისტრომ მონაცემები პროაქტიულად, მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელ ფორმატში, გადაწყვეტილებების დეტალური განმარტებებით, დამხმარე სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად უნდა გამოაქვეყნოს.

---

[1] სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

[2] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2017-2020 წწ.): https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/anticorruption/Order_1.pdf

[3] „დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017,“ http://bit.ly/30LHBvp

[4] ეკა სეფაშვილი, მინისტრის მრჩეველი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 29 აგვისტო.

[5] ეკა სეფაშვილი, მინისტრის მრჩეველი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 10 ოქტომბერი.

[6] მიხეილ დარჩიაშვილი, მმართველობის პროგრამის მენეჯერი, და ლევან სამადაშვილი, ხელმძღვანელი, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 17 ოქტომბერი.

12. მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე

ვალდებულების ტექსტი:

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 2017 წლისათვის გააუმჯობესებს არსებულს ან შექმნის მსჯავრდებულთა მონაცემთა ახალ ბაზას. დღეისათვის არსებული მონაცემთა ბაზა ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავება/დახარისხებას სათანადო დონეზე; ბაზაში არ არის ასახული სრულყოფილი მონაცემები და ვერ ხდება მათი სათანადო ფილტრაცია.

განახლებული ბაზის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე განხორციელდება არსებული სისტემის ნაკლოვანებათა დადგენა. სამინისტრო შეისწავლის სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკასა და ამ სფეროში წარმატებულ სისტემებს. შემდგომ ეტაპზე, შემუშავდება სამომავლოდ დასანერგი სისტემის მოდელი და მოხდება მისი პილოტირება.

განახლებული ბაზა უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლას. ამავდროულად, შესაძლებელი იქნება სტატისტიკური მონაცემების უკეთესად დამუშავება, ანალიზი და პერსონალურ მონაცემთა უკეთესად დაცვა.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულება: ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი

დაწყების თარიღი: აპრილი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არავერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
12. მსჯავრდე-ბულთა				✔	გაურკვეველი					✔				✔				✔			

მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციუ-რი დეპარტამენ-ტის სრულად გადასვლა ელექტრო-ნულ საქმისწარმო-ებაზე													✔							

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს მოქალაქეებს სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. პატიმრებისა და მათი მდგომარეობის თაობაზე ოფიციალური მონაცემების მოპოვება სპეციალიზებულ ორგანიზაციებსაც კი უჭირდათ. ამის საპასუხოდ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, შეესწავლა არსებული მონაცემთა ბაზების ნაკლოვანებები, აგრეთვე მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნისა და მართვისთვის საჭირო საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები და ამ სტანდარტებზე დაყრდნობით განეახლებინა აღნიშნული ბაზები ან ახალი ბაზა შეექმნა.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული. მონაცემთა ბაზების გასაუმჯობესებლად სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამასთან“ თანამშრომლობდა. სასჯელაღსრულების სისტემის შიგნით ჩატარებული შეფასებით დადგინდა, რომ აუცილებელი იყო მსჯავრდებულთა შესახებ სხვადასხვა მონაცემთა ბაზის ჰარმონიზება და ახალი, ერთიანი ბაზის შექმნა, რომელიც საჭირო ინფორმაციის გენერირებას ავტომატურად მოახდენდა. თუმცა ახალი ბაზა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. სასჯელაღსრულების სისტემის შიგნითაც ბაზის ხელმისაწვდომობის სხვადასხვა დონე იარსებებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულად ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა.

საბოლოო: შეზღუდული

საბოლოო შეფასების დროს ვალდებულების შესრულების სტატუსი იგივე („შეზღუდული“) დარჩა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემთა ბაზების განახლებისთვის ვალდებულების მთავარ დონორთან – ევროკავშირი-საქართველოს „მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერის პროგრამასთან“ თანამშრომლობა გააგრძელა. ამ პროცესის დასრულება 2019 წლის მაისისთვის იგეგმება.[1] აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფუნქციები, კერძოდ, სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებული ფუნქციები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გადაეცა.[2]

გახსნა ამან მთავრობა?

არაფერი შეცვლილა.

როგორც აღინიშნა, ვალდებულების OGP-ისთან კავშირი გაურკვეველია იქიდან გამომდინარე, რომ ახალი მონაცემთა ბაზა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. პრაქტიკაში ვალდებულებამ სასჯელაღსრულების სისტემის კუთხით მთავრობის ღიაობა ვერ უზრუნველყო, რადგან მსჯავრდებულთა სფეროში მთავრობის საქმიანობისა და ხარჯების შესახებ ახალი მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა.

---

[1] ელენა ბერაძე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 22 აგვისტო.

[2] საქართველოს კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2018 წლის 5 ივლისი: https://bit.ly/2QpbADg

13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით

ვალდებულების ტექსტი:

წინამდებარე ვალდებულება მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციით ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული მიყურადების შესახებ სასამართლოს სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება დაიწყო. ამით საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფში მოხვდა, სადაც ასეთი მონაცემები საჯაროდ ქვეყნდება. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმმა (Independent Reporting Mechanism – IRM) აღნიშნული ვალდებულება მეორე სამოქმედო გეგმის ე.წ. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებად დაასახელა.

ამასთან, IRM-ის ანგარიშში აღინიშნა, რომ რეკომენდირებულია მონაცემების იმგვარად გამოქვეყნება, რომ შესაძლებელი იყოს მათი დახარისხება დანაშაულის დიფერენცირებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. რეკომენდაციას უშუალოდ უპასუხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ სასამართლო აღნიშნულს ახალ ვალდებულებად ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღებდა.

შესაბამისად, სასამართლომ გეგმავს ახალი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შემოღებას, რაც შესაძლებელს გახდის სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შესახებ დაწვრილებითი მონაცემების მიღებას და გამოქვეყნებას, ასევე მონაცემთა დამუშავებას დანაშაულის დიფერენცირებისა და სასამართლოების მიხედვით. მონაცემები Excel-ის ცხრილების სახით გამოქვეყნდება ვებგვერდზე: www.supremecourt.ge OGP-ის სექციის ქვეშ, სიახლეების ბლოკსა და სტატისტიკის ბმულზე.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: ივლისი, 2016

დასრულების თარიღი: იანვარი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
13. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადე-ბის მონაცემების გამოქვეყნება				✔	✔					✔						✔			✔		
																✔					

ვალდებულების მიზანი:

2015 წლის წინსვლის ანგარიშში მოცემული IRM-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიზნად დაისახა, გამოექვეყნებინა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემები, დახარისხებული დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ ეჭვმიტანილთა ტელეფონების ფარული მიყურადების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ პირობა დადო, ეს მონაცემები თავის ვებგვერდზე Excel-ის ცხრილების სახით გამოექვეყნებინა.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება სრულად იყო შესრულებული. უზენაესმა სასამართლომ ახალი მონაცემების გამოქვეყნება 2017 წლის იანვრიდან დაიწყო. ეს ინფორმაცია PDF ფორმატში იყო გამოქვეყნებული და შეიცავდა 6 თვის სტატისტიკურ მონაცემებს, დახარისხებულს დანაშაულის ტიპის მიხედვით, რომლისთვისაც სასამართლომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობები დააკმაყოფილა. მონაცემები შეიცავდა აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს, რომელთა მიხედვითაც ეჭვმიტანილებს ბრალდება წარედგინათ, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ პროკურატურის მოთხოვნების რაოდენობას და იმ შუამდგომლობათა რაოდენობას, რომლებიც დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ან არ დაკმაყოფილდა. ცალკე PDF ფაილში უზენაესი სასამართლო წარმოადგენდა რაიონული და საქალაქო სასამართლოების გეოგრაფიულ განაწილებას, ამ სასამართლოების მიერ განხილული შუამდგომლობების რაოდენობას და იმ შუამდგომლობათა რაოდენობას, რომლებიც მათ დააკმაყოფილეს, ნაწილობრივ დააკმაყოფილეს ან არ დააკმაყოფილეს.

საბოლოო: შესრულებული

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება უკვე შესრულებული იყო, უზენაესმა სასამართლომ თავდაპირველი პირობა შეასრულა და ზემოაღნიშნული მონაცემების Excel-ის ცხრილების სახით გამოქვეყნება დაიწყო.[1] ეს გაუმჯობესების მაჩვენებელია, რადგან

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება აქვთ, მითითებული მონაცემები საკუთარი მიზნებისთვის უკეთ გამოიყენონ.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულება წინა სამოქმედო გეგმებიდან იყო გადმოტანილი და სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების უფრო დეტალურად გამოქვეყნებას გულისხმობდა, მან სასამართლო სისტემის ღიაობის გაზრდის კუთხით მხოლოდ მცირედი ცვლილება მოახდინა. მანამდე ფარული მიყურადების მონაცემები დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით დახარისხებული არ იყო. ისინი შეიცავდა მხოლოდ იმ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობების რაოდენობას, რომლებითაც პროკურატურა სასამართლოებს მიმართავდა, აგრეთვე იმ შუამდგომლობების რაოდენობას, რომლებსაც სასამართლოები აკმაყოფილებდნენ. ეს მონაცემები ახლა Excel-ის ცხრილების სახით ქვეყნდება, მანამდე კი PDF ფორმატში იყო გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, ამ მონაცემებს ძირითადად ისეთი მეთვალყურე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იყენებენ, როგორიცაა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). სხვა ორგანიზაციები და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები ან არ არიან ინფორმირებული, ან არ მიაჩნიათ, რომ ეს მონაცემები სასარგებლოა, რადგან სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის დათქმით მათში მრავალი დეტალია დაფარული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) აზრით, გამოქვეყნებული მონაცემები მაინც ძალიან ზოგადია და სფეროში მთავრობის საქმიანობის საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას არ იძლევა. მაგალითად, არსებული მონაცემები არ არის დახარისხებული იმ პირთა კატეგორიების მიხედვით, რომელთა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების შუამდგომლობებსაც სასამართლოები აკმაყოფილებენ. ამასთანავე, არ არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენი სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების ჩანაწერი გაანადგურა პროკურატურამ საგამოძიებო საქმიანობის დასრულების შემდეგ.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლო, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემები, https://bit.ly/2O2kIkA

✪ 14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით გეგმავს გააძლიეროს საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი მათ ნდობას აამაღლებს.

პირველ ეტაპზე, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით, შეიქმნება სტრატეგია. სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სტრატეგიაში მოცემული იქნება მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა კონსტრუქციულ მონაწილეობას აუდიტის სრული ციკლის პროცესში, მათ შორის, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ეტაპზე.

გარდა ამისა, ინოვაციური ICT მექანიზმის, ვებპლატფორმის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. ვებპლათფორმაზე ინფორმაციის მარტივად აღსაქმელად გამოყენებული იქნება ვიზუალიზაციის სხვადასხვა მეთოდი.

ვებპლატფორმა შექმნის ორმხრივი კომუნიკაციის არხს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და მოქალაქეებს შორის. ერთი მხრივ, მოქალაქეები გაეცნობიან აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მეორე მხრივ, საშუალება ექნებათ სამსახურს აცნობონ მათ მიერ იდენტიფიცირებული როგორც კონკრეტული გადაცდომების ასევე, სახელმწიფო მომსახურებების ნაკლოვანების შესახებ. ამასთან, მოქალაქეები შეძლებენ წარმოადგინონ პროფესიულ კვლევებზე დაფუძნებული წინადადებები აღმოჩენილი ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაცია გაანალიზებული და მიზანშეწონილობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება აუდიტის გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესებში.

საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა აამაღლებს მოქალაქეთა ცნობიერებას საბიუჯეტო პროცესების შესახებ, რაც გაზრდის მათ მოთხოვნას საჯარო რესურსების გამჭვირვალედ მართვის შესახებ; სრულყოფილი ინფორმაცია კი გააუმჯობესებს მოქალაქეთა ზედამხედველობის ხარისხს მმართველობით პროცესებზე.

განხორციელების ეტაპები:
საჯარო კონსულტაციების წარმართვა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან
საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით
საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადება
საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის დასრულება და დამტკიცება
ვებპლატფორმის ძირითადი კონცეფციის განსაზღვრა და შეთანხმება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან

ვებპლატფორმის ტექნიკური განვითარება და საზოგადოებისათვის წარდგენა
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მინიმუმ 15 სამუშაო შეხვედრის ორგანიზება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებსა და მედიასთან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით მათი უფლებებისა და ვებპლატფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით
ვებპლატფორმის შესახებ მოკლემეტრაჟიანი ვიდეო რგოლის მომზადება და სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელება.

წამყვანი დაწესებულება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დამხმარე დაწესებულებები: სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით ფორმირებული საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფი

დაწყების თარიღი: აგვისტო, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
✪ 14. საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა				✔	✔	✔	✔	✔								✔				✔	

სარედაქციო შენიშვნა: როგორც აღნიშნულია, ეს ვალდებულება ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად არის შესრულებული. შესაბამისად, იგი „ვარსკვლავური ვალდებულების“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ვალდებულების მიზანი:

საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (შემდგომ – აუდიტის სამსახური) ვებპლატფორმა budgetmonitor.ge-ს შექმნის ვალდებულება აიღო. პლატფორმა მიზნად ისახავდა, მოქალაქეებისთვის სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტები და აუდიტის დასკვნები მარტივად, გასაგებ ენაზე მიეწოდებინა. ამასთანავე, პლატფორმა მოქალაქეებს მათთვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრისა და აუდიტის სამსახურისთვის სახელმწიფო უწყებების მიერ ჩადენილი შესაძლო დარღვევებისა და კორუფციული რისკების შესახებ ანონიმური და კონფიდენციალური განცხადებების მიწოდების საშუალებას მისცემდა.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ვალდებულება სრულად 2017 წლის სექტემბერში შესრულდა. აუდიტის სამსახურმა სხვადასხვა ორგანიზაციის მონაწილეობით საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი შექმნა, მომხმარებელთა მოსაზრებების გასაგებად ფოკუსჯგუფებთან 14 შეხვედრა გამართა და პლატფორმა 2017 წლის მარტში გაუშვა. Budgetmonitor.ge მოქალაქეებს სხვადასხვა მოდულს („სახელმწიფო ბიუჯეტი“, „მუნიციპალური ბიუჯეტი“, „აუდიტები“, „მოქალაქის გვერდი“ და სხვა) სთავაზობს. პორტალის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად აუდიტის სამსახურმა ქვეყნის მასშტაბით ვალდებულების ტექსტში მითითებული 15 შეხვედრიდან 13 გამართა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შესრულებული

შუალედური შეფასების შემდეგ აუდიტის სამსახურმა პლატფორმის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მრავალი შეხვედრა გამართა, მათ შორის, შეხვდა პარლამენტის წევრებს, მაჟორიტარ პარლამენტის წევრთა ბიუროების, მედიის წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და სხვა მომხმარებლებს. საერთო ჯამში, პლატფორმის პოპულარიზაციის მიზნით 11 შეხვედრა შედგა.[2] ამასთანავე, budgetmonitor.ge-ს მომხმარებლებისგან უკუკავშირის მისაღებად აუდიტის სამსახურმა USAID-ის დახმარებით კვლევა ჩაატარა. აუდიტის სამსახურმა დამატებით, სიტუაციის შესასწავლად და საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის დაიქირავა გარეშე კონსულტანტი, რომლის მიზანიც პლატფორმის პოპულარიზაცია იყო.[3]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება
ანგარიშვალდებულება: მცირედი ცვლილება

აუდიტის სამსახურის დაანგარიშებით, პლატფორმას დაარსებიდან ჰყავს 15 000 უნიკალური მომხმარებელი, რაც ყოველთვიურად საშუალოდ 400-500 უნიკალურ მომხმარებელს უდრის. აუდიტის სამსახური ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად მუშაობას აგრძელებს. პლატფორმა მომხმარებელს სხვადასხვა ფუნქციას (ინფორმაციული მოდულები, კორუფციის შესახებ განაცხადის შევსების მოდული, აუდიტის დაგეგმვის მოდული) სთავაზობს. პლატფორმის მომხმარებლის თქმით, budgetmonitor.ge სახელმწიფო ბიუჯეტის, მუნიციპალური ბიუჯეტებისა და საჯარო

სამართლის იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას აუმჯობესებს.[4] არასამთავრობო ორგანიზაციებიც დადებითად აფასებენ გამოქვეყნებულ მონაცემებს და აღნიშნავენ, რომ პლატფორმა ადვილი გამოსაყენებელია.[5]

პლატფორმაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ძირითადი ნაწილი (მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტი, მუნიციპალური ბიუჯეტები და აუდიტის დასკვნები) პლატფორმის გაშვებამდეც საჯარო იყო. თუმცა ეს ინფორმაცია ბიუჯეტის კანონის და აუდიტის ანგარიშების სახით არსებობდა, რაც დოკუმენტების აღქმას ართულებდა, განსაკუთრებით – მუნიციპალური ბიუჯეტის შემთხვევაში. პლატფორმა: 1) ამარტივებს ინფორმაციას ადვილად აღსაქმელი თვალსაჩინოებების მეშვეობით, 2) ერთად უყრის თავს სხვადასხვა ინფორმაციას და მომხმარებელს მარტივ საძიებო სისტემას სთავაზობს (მაგალითად, მოქალაქეს აღარ სჭირდება სხვადასხვა მუნიციპალური ვებგვერდის მოძიება, რომელთაგან ზოგიერთი ზოგჯერ არც ფუნქციონირებს).

„მოქალაქის გვერდი“ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს აუდიტის წლიური გეგმის შედგენაში, კერძოდ, მიუთითოს ბიუჯეტის პრიორიტეტული სფეროები და მისთვის სასურველი საბიუჯეტო ორგანო. ორივე ფუნქცია მოქალაქეთა ჩართულობას უწყობს ხელს. პლატფორმის მეშვეობით მოქალაქეს აუდიტის დაგეგმვასა და კორუფციის მხილებაში პირდაპირი გზით მონაწილეობა შეუძლია, თუმცა, მონაცემების მიხედვით, მოქალაქეთა ჩართულობა ჯერ კიდევ დაბალია.

მოდული „ებრძოლე კორუფციას“ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, დააფიქსიროს შესაძლო კორუფციის შემთხვევა, რომელსაც შემდეგ კონკრეტული აუდიტორი განიხილავს, რაც შესაძლებელს ხდის მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, პლატფორმის არსებობა თავისთავად მიუთითებს ანგარიშვალდებულების გაზრდის პოლიტიკურ ნებაზე.[6] აუდიტის სამსახურის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მოქალაქე წლიური აუდიტის დაგეგმვასთან, პრიორიტეტულ სექტორებთან ან კორუფციის მხილებასთან დაკავშირებით განაცხადს გამოაგზავნის, მიღებული განაცხადები პირველად სკრინინგს გადის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ბევრი განაცხადი იქნა მიღებული, მათგან აუდიტის სამსახურის კომპეტენციას მხოლოდ 25 განეკუთვნებოდა.[7] ამ 25 განაცხადიდან შესაძლო კორუფციის შემთხვევებს 7 ეხებოდა. საერთო ჯამში, აუდიტის გეგმაში 9 შეთავაზება იქნა გათვალისწინებული. იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტის გეგმა წლის ბოლოს დგება, წლის განმავლობაში წინადადებების გათვალისწინება შესაძლებელია. სირთულეს ქმნის აუდიტის გეგმის დამტკიცების შემდეგ შემოსული წინადადებები, თუმცა ზოგჯერ მათი გათვალისწინებაც ხერხდება.[8] 2018 წლის სექტემბრის მონაცემებით, აუდიტის სამსახურმა პროკურატურას გამოსაძიებლად 29 განაცხადი გადასცა.

ISET-ის მკვლევრის თქმით, პლატფორმის შექმნა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მისი პოპულარიზაცია ჯერ კიდევ პრობლემაა.[9] არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პლატფორმის პოპულარულობის გასაზრდელად აუდიტის სამსახურის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს დადებითად აფასებენ და აღნიშნავენ, რომ მის მიერ გამართული შეხვედრები სასარგებლო იყო. პლატფორმის რეკლამა ხშირად გადიოდა ფეისბუკზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსის განცხადებით, სოციალური მედიის აქტიურად გამოყენება budgetmonitor.ge-ს პოპულარულობის გაზრდას შეუწყობს ხელს.[10]

გაგრძელდა სამომავლოდ?

IRM-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, აუდიტის სამსახურმა 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში აიღო ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულება (ვალდებულება №11), რომლის ძირითადი მიზანია აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა. აუდიტის სამსახური გეგმავს, მოქალაქეებისგან უკუკავშირის მისაღებად budgetmonitor.ge-ზე დანერგოს მექანიზმი, რომელიც მათ შეტყობინებებზე (აუდიტის დაგეგმვის წინადადებები და კორუფციის მხილება) პასუხების გაცემის ეფექტიანობას გაზრდის და პლატფორმის მიმართ მოქალაქეთა ნდობას აამაღლებს. პლატფორმის ცნობადობის გასაზრდელად აუდიტის სამსახური 5 სამუშაო შეხვედრის გამართვას გეგმავს.

---

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] ცოტნე ქარქაშაძე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 15 ოქტომბერი.

[3] ცოტნე ქარქაშაძე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 10 ოქტომბერი.

[4] ლაშა სენაშვილი, უფროსი ანალიტიკოსი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 26 დეკემბერი.

[5] ირაკლი ბარბაქაძე, მკვლევარი, ISET, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 26 დეკემბერი.

[6] სენაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 26 დეკემბერი.

[7] მოქალაქეები სხვადასხვა სამთავრობო უწყების უფლებამოსილებებს არასათანადოდ იცნობენ. შესაბამისად, აუდიტის სამსახური ბევრ ისეთ განაცხადს იღებს, რომელიც მის კომპეტენციას არ განეკუთვნება (მაგალითად, არაერთი განაცხადი ეხება საგადასახადო უწყებებს). აუდიტის სამსახური მიღებულ განაცხადებს ახარისხებს და შესაბამის უწყებებთან ამისამართებს. აუდიტის სამსახურის მიერ შემოსული წინადადებების დახარისხების მონიტორინგი ამ ეტაპზე არ ხდება. ზოგადად, აუდიტის სამსახურსა და მის ინიციატივას, შეექმნა პლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორი“, არასამთავრობო ორგანიზაციები დადებითად აფასებენ და ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით მიღწეულ პროგრესს აღნიშნავენ.

[8] ქარქაშაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 15 ოქტომბერი.

[9] ბარბაქაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 26 დეკემბერი.

[10] სენაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 26 დეკემბერი.

15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

ვალდებულების ტექსტი:

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალედ განხორციელება და ამ პროცესში ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება, გეოგრაფიული ბარიერების აღმოფხვრა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა საქართველოს მთავრობის მუდმივი პრიორიტეტია. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს შემდეგი ინოვაციური პროექტების დანერგვას:

კომპონენტი 1 - ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაცია: *2010 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო შესყიდვებზე ტენდერები მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (www.procurement.gov.ge) მეშვეობით ტარდება. ამ სისტემის გამოყენებით ყოველწლიურად 36000-მდე ტენდერი ცხადდება და ეს რიცხვი, ისევე როგორც სხვა მრავალი მონაცემი ჩატარებული ტენდერების შესახებ, იზრდება. აღნიშნული ზრდა ართულებს დაინტერესებული პირების მიერ კონკრეტული ტენდერის თუ შესყიდვის ობიექტის შესახებ ინფორმაციის თავმოყრასა და ანალიზს.*

ტენდერების შესახებ მონაცემების ერთ სივრცეში თავმოყრით (აგრეგირებით) მარტივად ხელმისაწვდომი იქნება:
- მონაცემები შესყიდვის ობიექტების, ტენდერის ტიპების, პრეტენდენტთა რაოდენობის, ტენდერის სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულების, გამარჯვებული მიმწოდებლების, დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტთა რაოდენობის და სხვათა შესახებ;
- წლიური მონაცემები (მონაცემები განთავსდება მანქანით წაკითხვად ფორმატში (CSV, JSON, XML)).

ტენდერებზე განახლებულ ფორმატში აგრეგირებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს შემსყიდველ ორგანიზაციებს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ და აგრეთვე დამწყებ ბიზნესმენებს და მცირე ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს სრულად გაანალიზონ ბაზარზე არსებული მდგომარეობა და გააკეთონ ბიზნეს პროგნოზები.

კომპონენტი 2 - სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ გაერთიანებული ინფორმაცია: *სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის e-Plan მოდულში არეგისტრირებს. დაინტერესებული პირებისთვის კი წლიური გეგმის შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. ელექტრონულ მოდულში დაგეგმილი ცვლილება მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს დეტალური ინფორმაცია თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის წლიურ შესყიდვებზე, ასევე, უზრუნველყოს დაგეგმილ სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაციის გაერთიანება რეგიონების და ფასის მიხედვით. შედეგად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მიეცემათ უნიკალური საშუალება, CPV კოდის მითითებით მიიღონ ინფორმაცია, თუ e-Procurement-ის სისტემაში რეგისტრირებული 4469 შემსყიდველი ორგანიზაციიდან რომელი გეგმავს ამა თუ იმ შესყიდვის ობიექტის შეძენას, რა ფასად და რომელ რეგიონში. დამატებით იგეგმება*

სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებგვერდზე სახელმწიფო შესყიდვებში დაგეგმილი ტოპ პროდუქტების სიისა და მათი შესყიდვისთვის გათვალისწინებული ჯამური თანხის გამოქვეყნება. ეს სიახლეები ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, უკეთ შეაფასონ ბაზარზე არსებული მოთხოვნა და უკეთ დაგეგმონ მომავალი საქმიანობა.

კომპონენტი 3 - შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგი (e-Market): *შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენას წინ უსწრებს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის კვლევა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ტენდერის ობიექტურად ჩატარებისათვის, ისე წლიური გეგმის შემუშავების პროცესში შესყიდვების წლიური ბიუჯეტის სწორად განსაზღვრისთვის.*

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შესყიდვების ძირითადი პროდუქტების ელექტრონული კატალოგის შექმნა, რომელიც:
- ობიექტურად ასახავს ბაზარზე არსებულ ფასებს;
- თავს მოუყრის სხვადასხვა პროდუქტის ფასს მომწოდებლების მიხედვით;
- ასახავს ინფორმაციას პოტენციურ მიმწოდებლებზე როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე რეგიონების მასშტაბით და ა.შ.

სიახლე შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპზე უფრო ეფექტურად დაგეგმონ შესყიდვები და მაქსიმალურად მოკლე დროში მიიღონ ინფორმაცია ბაზარზე არსებული ფასების, მიმწოდებლების და პირობების შესახებ. მონაცემთა მაქსიმალური ღიაობა დაეხმარება შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრაში, რაც შემსყიდველების მხრიდან მაღალი ფასების დაწესებას, კორუფციულ რისკებს და ჩავარდნილი ტენდერების რაოდენობას შეამცირებს.

მოცემული სამი კომპონენტით გათვალისწინებული სიახლეების დანერგვა უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო შესყიდვების პროცესში სახელმწიფო ფინანსების მართვის გამჭირვალობას, გეოგრაფიული უთანასწორობის აღმოფხვრას, ანტიკორუფციული ძალისხმევის და კონტროლის გაძლიერებასა და ბიზნესის მხარდაჭერას.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

დამხმარე დაწესებულება: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაწყების თარიღი: ივნისი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება	შუალედური / საბოლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
15. ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის				✔	✔						✔			✔						✔	
															✔						

ვალდებულების მიზანი:

ღია კონტრაქტების მოთხოვნების შესრულებისა და არსებული შესყიდვების მონაცემების უფრო სიღრმისეული ანალიზის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ტენდერების, შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვების წლიური გეგმებისა და მიმწოდებლების მიერ მიწოდებული თითოეული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების შესახებ აგრეგირებული მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნების ვალდებულება აიღო. ვალდებულების კონკრეტული მიზანი იყო:

- შესყიდვის ობიექტის, ტენდერის ტიპის, მიმწოდებლების რაოდენობის, სატენდერო ხელშეკრულების სავარაუდო და ფაქტობრივი ღირებულებების, გამარჯვებული და დისკვალიფიცირებული მიმწოდებლების შესახებ მონაცემების გამოქვეყნება;
- ზემოაღნიშნული მონაცემების CSV, JSON და XML ფორმატებში ყოველწლიურად გამოქვეყნება;
- თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების წლიური გეგმის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება და ამ ინფორმაციის რეგიონისა და ფასის მიხედვით დახარისხება;
- ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტების სიისა და მთლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პროდუქტების სავარაუდო საბაზრო ღირებულებისა და მიმწოდებლების შესახებ ინფორმაციის) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების ოფიციალურ პლატფორმაზე გამოქვეყნება.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება შეზღუდულად იყო შესრულებული, რადგან ტენდერებისა (კომპონენტი 1) და საჯარო უწყებების შესყიდვების წლიური გეგმების (კომპონენტი 2) შესახებ აგრეგირებული მონაცემები ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებული არ იყო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის შესახებ კვლევა

ჩაატარა და სამუშაო შეხვედრა გამართა, შემდეგ კი მათ სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს და მის შესრულებაზედაც იმუშავეს.

ვალდებულების მესამე კომპონენტი, e-Market მოდული, 2016 წლის შემოდგომაზე ამოქმედდა. მოდული შეიცავდა მიმწოდებლების, მათი პროდუქტების, ამ პროდუქტების ღირებულების, საგარანტიო პირობებისა და მიწოდების ადგილის შესახებ ინფორმაციას. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ამ ახალი მოდულის საკუთარ ფეისბუკგვერდზე, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დროს რეკლამირებას გეგმავდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.

საბოლოო: არსებითი

საბოლოო შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული. 2017 წლის აგვისტოში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გაუშვა ცალკე ვებგვერდი, რომელიც ტენდერების შესახებ JSON ფორმატში გამოქვეყნებულ აგრეგირებულ მონაცემებს შეიცავდა. 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ეს ვებგვერდი 248 154 ტენდერის შესახებ შემდეგ ინფორმაციას მოიცავდა: ტენდერების რაოდენობა, შესყიდვის ტიპი და თარიღი, ტენდერის შესრულების სტატუსი, ტენდერის სავარაუდო ღირებულება, გამარჯვებული მიმწოდებლებისა და შემსყიდველი უწყებების სახელები და საიდენტიფიკაციო კოდები.[1] თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არ განუახლებია e-Plan მოდული, რომელიც შემსყიდველი უწყებების შესყიდვების ყოველწლიურ გეგმებს შეიცავს და რომელიც სააგენტოს ახალ, ღია მონაცემთა ფორმატის ვებგვერდთან უნდა ყოფილიყო ინტეგრირებული და საზოგადოებისთვის უფრო ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, e-Plan მოდული კვლავ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე იყო განთავსებული. იგი შეიცავდა შემსყიდველი უწყებების შესყიდვების ყოველწლიური გეგმების შესახებ 23 734 მონაცემს, კერძოდ, ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, ტენდერის ტიპისა და სავარაუდო ღირებულების, დაფინანსების წყაროებისა და მონაცემის მიწოდებისთვის პასუხისმგებელი პირის შესახებ.[2] და ბოლოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გააგრძელა არსებული e-Market მოდულის იმ ინფორმაციით განახლება, რომელიც მიმწოდებლებს, მათ პროდუქტებს, ამ პროდუქტების ფასს, საგარანტიო პირობებსა და მიწოდების ადგილს შეეხებოდა.[3]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

მთავრობა საკუთარი შესყიდვებისთვის ტენდერებს აქვეყნებს ერთიან ელექტრონულ პორტალზე – procurement.gov.ge-ზე, რომელიც ტენდერების (და არა მარტო მათ) შესახებ ბევრ მონაცემს შეიცავს და საჭირო მონაცემის საპოვნელად მრავალი გვერდის გახსნას მოითხოვს. ახალი პორტალის გაშვებით, რომელიც ერთ გვერდზე ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებული ტენდერების შესახებ აგრეგირებულ და უფრო დეტალურ მონაცემებს შეიცავს, მთავრობამ მოქალაქეებისთვის ტენდერების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ღია კონტრაქტების მოთხოვნების შესრულების ნება გამოავლინა. 2017 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მომხმარებლებისთვის თავისი ახალი ვებპორტალის – www.opendata.spa.ge-ს შესახებ ინფორმაციის სოციალური მედიის, საინფორმაციო ბიულეტენებისა და ყოველწლიური ანგარიშების, აგრეთვე სხვადასხვა უწყების მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და ღონისძიებების მეშვეობით გაზიარება დაიწყო. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კრიტიკულად განეწყვნენ იმ ფაქტის მიმართ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ღია მონაცემთა პორტალები ფართო

საზოგადოებისთვის არ გაუცვნია და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის პროცესში აქტიურად ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ იცის. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციების აზრით, ტენდერების შესახებ აგრეგირებული მონაცემები ცოტა ფილტრს შეიცავს, რაც წარმოდგენილი მონაცემების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას არ იძლევა. ეს მონაცემები სხვა მონაცემთა ბაზებს არ უკავშირდება და ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი (მაგალითად, ქვეკონტრაქტორების შესახებ ინფორმაცია) მოწოდებული არ არის. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მონაცემები JSON ფორმატშია გამოქვეყნებული, ჩვეულებრივი მომხმარებლებისთვის ისინი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გარეშე ხელმისაწვდომი არ არის. ამის საპასუხოდ, დაინტერესებული მხარეები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ამ მონაცემების CSV ფორმატში გამოქვეყნებას სთავაზობენ. და ბოლოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დაინტერესებულ ორგანიზაციებს აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისს (API) არ აწვდის, რაც მათ სააგენტოს ახალი ვებგვერდის მონაცემების სამოქალაქო პორტალთან – tendermonitor.ge-სთან ინტეგრირებაში ხელს უშლის.[4] ზემოაღნიშნულ მიგნებებზე დაყრდნობით, IRM-ის მკვლევარმა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით ვალდებულების გავლენა შეაფასა, როგორც მცირედი.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში შევიდა. ახალი სამოქმედო გეგმის ვალდებულების (ვალდებულება №13) მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო e-Plan მოდულისა და შემსყიდველი უწყებების შესყიდვების ყოველწლიური გეგმების აგრეგირებული სატენდერო მონაცემების ახალ ბაზასთან, http://opendata.spa.ge/#/, ინტეგრირებას და ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებას გეგმავს. ამ მონაცემების უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ტენდერების შესახებ უფრო მეტი დეტალის გამოქვეყნების, მონაცემებისთვის მეტი ფილტრის დამატების და მათი რეგულარული განახლების ვალდებულებაც აიღო. და ბოლოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აპირებს, თავის ახალ ღია მონაცემთა პორტალზე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი (API) მიაწოდოს და ღია კონტრაქტების მონაცემთა სტანდარტის მოთხოვნების უკეთ გასათვალისწინებლად პორტალი განაახლოს.[5] თავის მხრივ, საქართველოს მთავრობისადმი დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, შეზღუდოს ელექტრონული შესყიდვების სისტემიდან გამონაკლისების რაოდენობა და დააწესოს იმ ტენდერების ღირებულების ზღვარი, რომლებიც გამარტივებული შესყიდვის წესების მიხედვით უნდა ჩატარდეს, აგრეთვე დააწესოს დამატებითი რეგულაციები იმ ტენდერებისთვის, რომელთა ღირებულება აღნიშნულ ზღვარს აღემატება. ეს კორუფციის პრევენციას და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

---

[1] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები ღია ფორმატში, https://bit.ly/2zS3E8i

[2] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, e-Plan მოდული, https://bit.ly/1JBkNSe

[3] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, e-Market მოდული: https://bit.ly/2O80VAj

[4] სანდრო ქევხიშვილი, ანალიტიკოსი/რედაქტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 21 აგვისტო.

[5] საქართველოს 2018-2019 წლების OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი, ვალდებულება №12, *ელექტრონული ინოვაციები სახელმწიფო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტურობისთვის,* 2018 წლის აგვისტო.

✪16. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება

ვალდებულების ტექსტი:

ვალდებულება გულისხმობს გარემოსდაცვითი კოდექსის მიღებას, რომელიც გაითვალისწინებს გარემოსდაცვით საკითხებში „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას, კერძოდ:

- *ბუნებრივ გარემოს მდგომარეობაზე, ასევე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მაღალი რისკების შემცველი საქმიანობების გარემოსდაცვითი შეფასების რეგულირების ქვეშ მოქცევა, „ზოგიერთი გეგმისა და პროგრამის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ ევროკავშირის 2011/92/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად;*
- *ბუნებრივ გარემოს მდგომარეობაზე, ასევე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების გამომწვევი საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების (სტრატეგიული დოკუმენტები) შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში საზოგადოების ჩართულობა, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საწყის ეტაპზე ინფორმაციის ბეჭდვითი ორგანოებისა და მართვის ელექტრონული საშუალებებით გავრცელება, აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის საჯარო განხილვებში ჩართვა;*
- *გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების შესაბამისად დაინტერესებული საზოგადოების ჩართვა წარმოების საწყის ეტაპზე. ინფორმაციის დაგეგმილი საქმიანობის ადგილზე, ასევე, მართვის ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის საშუალებებით გამოქვეყნება, საჯარო განხილვების დაგეგმილი საქმიანობის ადგილზე ჩატარება, დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და წინადადებების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას;*
- *ბუნებრივ გარემოზე ტრანსასაზღვრო ზემოქმედების გამომწვევ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისი ქვეყნის ჩართვის მიზნით, ტრანსასაზღვრო პროცედურების დანერგვა.*

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: ფინანსური მხარდაჭერა - ევროკავშირი, პროგრამა ,,მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში" - EaP GREEN; პროგრამის განმახორციელებელი - გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია - UNECE

დაწყების თარიღი: 2016-2017

დასრულების თარიღი: აგვისტო, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა				OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა				პოტენციუ-რი შედეგი				შესრუ-ლება		შუალე-დური / საბო-ლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არაერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
✪16. გარემოსდაც-ვითი შეფასების კოდექსის მიღება				✔	✔	✔						✔			✔ ✔				✔		

სარედაქციო შენიშვნა: როგორც აღნიშნულია, ეს ვალდებულება ნათლად უპასუხებს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვს და არსებითად არის შესრულებული. შესაბამისად, იგი „ვარსკვლავური ვალდებულების“ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ (შემდგომ – სამინისტრო)[1] აიღო ვალდებულება, მიღებული ყოფილიყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების მომხდენი ყველა საქმიანობის სამინისტროს რეგულირების სფეროში მოქცევას, პროექტების დამტკიცებისას გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინებას და ნებართვების გაცემის პროცესში მოქალაქეთა ინფორმირებასა და ჩართულობას ისახავდა მიზნად.[2] ვალდებულება რამდენიმე ძირითად ღონისძიებას მოიცავდა: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღებას, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და მათ პროფესიულ გადამზადებას ახალი რეგულაციების შესაბამისად, კოდექსით განსაზღვრულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირებას და პროფესიული და სამეცნიერო წრეების გადამზადებას განახლებული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად შეფასებების მომზადებაში.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი 2017 წლის ივნისში იქნა მიღებული და 2018 წლის იანვარში ამოქმედდა. კოდექსმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი მოქალაქეებისთვის გახსნა და სამინისტროს შემდეგი ვალდებულებები დააკისრა:

- მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით საპროექტო განაცხადების თაობაზე ინფორმაციის სამინისტროს ვებგვერდზე, გაზეთებსა და სამინისტროს შენობაში განთავსება;

- მოქალაქეებისგან უკუკავშირის წერილობით და საჯარო განხილვების მეშვეობით მოთხოვნა;
- მოქალაქეებისთვის მათ წინადადებებზე უკუკავშირის მიწოდება, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ რომელი წინადადებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შუალედური შეფასების დროს ვალდებულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები (სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დაკომპლექტება, კოდექსით განსაზღვრულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირება და პროფესიული და სამეცნიერო წრეების გადამზადება განახლებული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად შეფასებების მომზადებაში) სამინისტროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა განხორციელებული.

სექტორში მომუშავე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებით, კანონმდებლობაში არის რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით. წიაღით სარგებლობის პროექტების ლიცენზირება ევალება გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ნებართვებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარებამდე გასცემს. არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ პროცესი არათანამიმდევრულია და შეფასების პროცედურაზე დაინტერესებული მხარეების ზეწოლის რისკს ქმნის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[3]

საბოლოო: არსებითი
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობამ სამინისტროების სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები განახორციელა. კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაერთიანდა და შეიქმნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ აზრით, სამინისტროების სტრუქტურის შეცვლის შედეგად შეიცვალნენ ვალდებულების შესრულებისთვის პასუხისმგებელი პირები, რამაც მისი შესრულება შეაფერხა. კერძოდ, დადგა გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელებისთვის პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის საკითხი. ამან გავლენა მოახდინა აგრეთვე პროექტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ხარისხზე. შესაბამისად, ვალდებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება შეფერხდა. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ სამინისტროების სტრუქტურის შეცვლასთან ერთად მათი ვებგვერდებიც გაერთიანდა, ხშირად გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული სიახლეები სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სიახლეებში იკარგება.[4]

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, 2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოს დაცვის სტრატეგიული დაგეგმვის თემაზე 2 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგები ჩაუტარდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროების 56 თანამშრომელს, მათ შორის, განმახორციელებელი კომპანიებისა და დაგეგმვის დეპარტამენტების თანამშრომლებს. ამასთანავე, სამინისტრო პასუხისმგებელ უწყებებში რამდენიმე სპეციალისტი დაამატა, რითაც მათი რესურსი გაზარდა.[5]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება

ვალდებულების მიზანი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს სკრინინგისა და სკოპინგის პროცესებში მოქალაქეთა ჩართვა იყო. ეს პროცესები სამოქალაქო სექტორისთვის 2000-იანი წლების შუა პერიოდში დაიხურა.

2018 წლის ოქტომბერში სამინისტრომ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში მოქალაქეთა ჩართულობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. სამინისტროს განცხადებით, 2018 წლის 1 იანვრიდან, როდესაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ამოქმედდა, სამინისტროს მიერ მიღებული ყველა განაცხადი მის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მათ შორის იყო: სკრინინგის მოთხოვნა (127 განაცხადი), სკოპინგის მოთხოვნა (61 განაცხადი), შესაბამისი გადაწყვეტილებები (სკრინინგის თაობაზე – 75, სკოპინგის თაობაზე – 37), საჯარო განხილვების თაობაზე განცხადება (55 განცხადება).[6] სამინისტრო მოქალაქეთა ჩართულობის სტატისტიკას არ აწარმოებს, თუმცა აგროვებს მოქალაქეთა მიერ წერილობით და ზეპირად წარმოდგენილ მოსაზრებებს და მათ შეხვედრების ოქმებში აფიქსირებს.[7]

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სამინისტროს მიერ წარდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის მიღებას და საპროექტო განაცხადების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მოქალაქეთა ჩართვას დადებითად აფასებენ, მათი განცხადებით, კანონმდებლობაშიც და პრაქტიკაშიც ხარვეზები შეინიშნება. „მწვანე ალტერნატივის“ მიერ გამოქვეყნებული შეფასების მიხედვით, კანონმდებლობაში 2 ძირითადი ხარვეზია. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მონაწილეობა სამივე სტადიაზე შეუძლიათ, სამინისტროსა და პროექტის ავტორს მონაწილეობითი პროცესის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების ინიციირების უფლება აქვთ. ცვლილების ინიციირების შემთხვევაში ეს პროცესი, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის ნაცვლად, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას ითვალისწინებს, იმართება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას არ გულისხმობს. ამასთანავე, კოდექსს აქვს 2 დანართი, რომლებშიც მოცემულია იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც გარემოსდაცვითი შეფასება აუცილებელია. დანართ 1-ში მოცემული საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ავტომატურად ექვემდებარება, ხოლო დანართ 2-ში მოცემული საქმიანობები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში საჭიროებს, თუ ამას სამინისტრო გადაწყვეტს. დანართის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას გარემოზე ზემოქმედების შეფასება მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი, თუ ზედაპირის ფართობი 25 ჰექტარს აღემატება, ხოლო ტორფის მოპოვებისას – 150 ჰექტარს. ექსპერტების მოსაზრებით, როგორც 25, ისე 150 ჰექტარი ძალიან მაღალი ზედა ზღვარია და ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს სათანადო დაცვას ხელს უშლის.[8] ამასთანავე, როგორც IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშში იყო აღნიშნული, კოდექსი სრულად ვერ არეგულირებს მეტყევეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.[9]

სპეციალისტების თქმით, ხარვეზები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის განხორციელებისას პრაქტიკაშიც ხვდებათ. მაგალითად, საპროექტო განაცხადების შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გამოქვეყნებით და საჯარო განხილვების

თარიღების დაინტერესებული პირების ინფორმირების გარეშე შეცვლით სამინისტრო პროცედურულ ნორმებს არღვევს. სპეციალისტების განცხადებით, ასეთი შეცდომები შეიძლება სამინისტროს თანამშრომლების კომპეტენციის ნაკლებობის გამო ხდებოდეს, თუმცა გამორიცხული არ არის, სამინისტრო პროცედურულ ნორმებს გამიზნულად არღვევდეს. იქიდან გამომდინარე, რომ კოდექსის მიღებიდან პირველი ორი წელი გამართული პრაქტიკის დანერგვისთვის უმნიშვნელოვანესია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს საპარლამენტო მოსმენის გამართვის მოთხოვნით მიმართეს. პარლამენტი მათ ამ განხილვის დაგეგმვას დაჰპირდა, თუმცა, 2018 წლის მდგომარეობით, შეხვედრა არ გამართულა.[10] ამასთანავე, სფეროში მომუშავე ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ, კოდექსით გათვალისწინებული ცვლილებების თანახმად, სამინისტროში შემავალ შესაბამის უწყებებს ადამიანური და ფინანსური რესურსები უნდა გაეზარდოთ.[11]

რაც შეეხება ვალდებულების შეფასებას, სექტორში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მოქალაქეთა წინადადებების გავლენის შეფასება ჯერ ადრეა.[12]

გაგრძელდა სამომავლოდ?

2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებამ, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, აიღო ახალი ვალდებულება (ვალდებულება №5), რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ეფექტიანობის გაზრდას ისახავს მიზნად. ვალდებულება ითვალისწინებს ვებპლატფორმის შემუშავებას, რომელზედაც შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია განთავსდება, რაც, თავის მხრივ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მოქალაქეთა ჩართულობას გაზრდის.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლების თქმით, ვებპლატფორმის შექმნა მოქალაქეებისთვის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას გაუმჯობესებს და მათ ჩართულობას გაამარტივებს. ამასთანავე, პლატფორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მიზნითაც, კერძოდ, მთავრობის სტრატეგიებისა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესაფასებლად.[13]

---

[1] ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ამჟამად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

[2] ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა: http://bit.ly/2qwqU9d

[3] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[4] ქეთი გუჯარაიძე, ანალიტიკოსი, და ირაკლი მაჭარაშვილი, ბიომრავალფეროვნების პროგრამის დირექტორი, „მწვანე ალტერნატივა“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 22 აგვისტო.

[5] სალომე დვალი, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველოს მეორე კატეგორიის სპეციალისტი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 19 ოქტომბერი.

[6] დვალი, ინტერვიუ, 2018 წლის 19 ოქტომბერი.

[7] დვალი, ინტერვიუ, 2018 წლის 19 ოქტომბერი.

[8] „მწვანე ალტერნატივა“, „ერთი წელი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან: გამოვლენილი ნაკლოვანებები“, დეკემბერი, 2018, http://bit.ly/2X7FO1J

[9] რეზო გეთიაშვილი, გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 28 დეკემბერი.

[10] ქეთი გუჯარაიძე, ანალიტიკოსი, „მწვანე ალტერნატივა“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 26 დეკემბერი.

[11] გეთიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 28 დეკემბერი.

[12] ანა ინასარიძე, გარემოსდაცვითი რესურსების მართვის სპეციალისტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 29 დეკემბერი.
[13] გუჯარაიძე და მაჭარაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 22 აგვისტო.

17. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“-ს მისიაა - შეამციროს გადაუდებელი დახმარების მიღების დრო. გადაუდებელი დახმარების შესახებ მიღებული შეტყობინების უმოკლეს დროში დამუშავების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინიციატორის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას. რთულდება შეტყობინების ინიციატორის ლოკაციის დადგენა, როცა ის დაუმისამართებელ ადგილას იმყოფება ან ვერ ახერხებს ადგილმდებარეობის ზუსტ იდენტიფიცირებას. გარდა აღნიშნულისა, არის შემთხვევები, როდესაც სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინიციატორი ვერ ახერხებს ოპერატორთან სატელეფონო საუბარს.

ლოკაციის დაუყოვნებლივ განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული საკომუნიკაციო არხის, მობილური აპლიკაციის დანერგვა. შესაბამისად გაიწერა გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა წარმოადგენს.

პროექტის ყველაზე დიდი უპირატესობაა: ა) ინიციატორს და 112-ის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარება, და ბ) ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესში მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

წამყვანი დაწესებულება: შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური / საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული

17. „112“-თან დაკავშირე-ბის ალტერნატიული არხის – მობილური აპლიკაციის დანერგვა			✔		გაურკვეველი		✔					✔		✔	✔			

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა გადაუდებელი დახმარების ცენტრმა, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – „112“-მა, აიღო ვალდებულება, გაეშვა მობილური აპლიკაცია, რომელიც GPS სიგნალის მეშვეობით მოქალაქის მოთხოვნაზე რეაგირების დროს შეამცირებდა. აპლიკაციას ექნებოდა SOS ღილაკი, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც ადამიანს ტელეფონზე საუბარი არ შეუძლია.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს მობილური აპლიკაცია შექმნილი იყო და 2017 წლის თებერვალში უნდა გაშვებულიყო. სისტემის ტესტირებისა და ხარვეზების გამოვლენის მიზნით „112“ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტებთან თანამშრომლობდა. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება 2018 წლის თებერვლისთვის იგეგმებოდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შესრულებული

აპლიკაციის დასრულებული ვერსია 2018 წლის თებერვალში იქნა გაშვებული. „112“-ის მონაცემებით, აპლიკაციას ჰყავს 15 000 მომხმარებელი, რომელთაც ის გადმოწერეს და ტელეფონიდან არ წაუშლიათ.[2] აპლიკაცია მომხმარებელს 3 სახის სერვისს სთავაზობს: 1) „112“-ში დარეკვას და გადაუდებელი დახმარების მოთხოვნას, 2) დახმარების ონლაინჩატით მოთხოვნას, 3) დახმარების SOS ღილაკით გამოძახებას განსაკუთრებულ, კრიტიკულ მდგომარეობაში (ოჯახური ძალადობის, გატაცების ან სხვა შემთხვევაში), როდესაც მომხმარებელს გადაუდებელ ცენტრთან საუბარი არ შეუძლია. „112“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის თებერვლიდან ოქტომბრის ჩათვლით ცენტრმა SOS ღილაკით 312 გამოძახება მიიღო, ხოლო ონლაინჩატით 687 გამოძახება დაფიქსირდა (აპლიკაციიდან მიღებული ზარი ჩვეულებრივ ზარად აღიქმება და აღნიშნული მონაცემი ამ სტატისტიკაში წარმოდგენილი არ არის).[3]

აპლიკაციის ტესტირებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით „112“-მა სტუდენტებთან (ქართველი და უცხოელი სტუდენტები) რამდენიმე შეხვედრა გამართა.[4] „112“-ის წარმომადგენლის თქმით, მიღებულ რეკომენდაციათაგან რამდენიმე აპლიკაციის რეგისტრაციის სექციაში მომხმარებლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, მისი სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაციის, დამატებას ეხებოდა. ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა – აღნიშნული ინფორმაცია აპლიკაციას მალე დაემატება. ამასთანავე, „112“-მა 2018 წლის ბოლომდე აპლიკაციის უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მომხმარებლებისთვის ადაპტირება მოახდინა.[5]

„112“-მა გაითვალისწინა IRM-ის რეკომენდაციები აპლიკაციის მოქალაქეთა ინფორმირებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აპლიკაციას დაემატა ინფორმაცია სხვადასხვა სახიფათო სიტუაციაში მოქცევის წესების თაობაზე. ამასთანავე, IRM-ის შუალედური შეფასების შემდეგ პასუხისმგებელი უწყება UNDP-ისთან თანამშრომლობით ჩაერთო ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიაში და ძალადობის მსხვერპლთათვის განათავსა ინფორმაცია იმ რეგიონული ორგანიზაციებისა და დახმარების ცენტრების შესახებ, რომლებიც ასეთი ძალადობის მსხვერპლთ დახმარებას უწევენ.[6] ამასთანავე, „112“-მა დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად აპლიკაციას თამბაქოს კონტროლზე, თამბაქოს გვერდით მოვლენებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაცია დაამატა.

გახსნა ამან მთავრობა?

არაფერი შეცვლილა.

ვალდებულება მობილური აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქეებისთვის გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. აპლიკაცია ამცირებს დახმარების მოთხოვნაზე რეაგირების დროს და ამარტივებს მოქალაქეებისთვის, მათ შორის, ტურისტებისა და უცხოურ ენაზე მოსაუბრე სხვა ადამიანებისთვის, სერვისის მიწოდებას. მიუხედავად ამისა, ვალდებულება არ შეესაბამება OGP-ის ღირებულებებს, რადგან იგი არ უზრუნველყოფს ისეთი ინფორმაციის საჯაროობას, რომელიც მანამდე მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა.

---

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] ნათია ფირიაშვილი, ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 9 ოქტომბერი.

[3] ფირიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 9 ოქტომბერი.

[4] ფირიაშვილი, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 9 ოქტომბერი.

[5] ფირიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 9 ოქტომბერი.

[6] ფირიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 9 ოქტომბერი.

18. დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების განვითარება

ვალდებულების ტექსტი:

2016 წლიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო პროექტ „ადგილობრივი საბჭო“-ს განხორციელება, რომლის მიზანია შესაბამის უწყებებს შორის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინაცია და ახალი ღონისძიებების ინიცირება. მოცემულ ეტაპზე დანაშაულის პრევენციით რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა დაკავებული. მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინაციის გაზრდა, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა უწყების მიერ ერთი და იმავე შინაარსის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

პროექტის ძირითადი მიზანია რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ინიციატივების შემუშავება და სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა. პროექტი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებში მოქმედი მოდელის მიხედვით და წარმოადგენს რეგიონალურ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს. საბჭოს მუდმივი წევრები არიან სამართალდამცავი ორგანოების (პროკურატურა, შსს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო), მუნიციპალიტეტების, ადვოკატთა კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს შესაძლოა ჰყავდეს დროებითი წევრებიც საზოგადოების ნებისმიერი წევრი სახით.

ადგილობრივი საბჭოების განხორციელება პილოტურად დაიწყო აჭარის რეგიონში. ვალდებულების ფარგლებში, უახლოეს მომავალში ადგილობრივი საბჭოები ქვემო ქართლში, სამეგრელოში და მოგვიანებით კი საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიქმნება.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს მთავარი პროკურატურა

დამხმარე დაწესებულებები: მუნიციპალიტეტების ორგანოები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; შინაგან საქმეთა სამინისტრო

დაწყების თარიღი: მარტი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არავერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
18. დანაშაულის პრევენციისა-თვის შექმნილი ადგილობრი-ვი საბჭოების განვითარება			✔		✔	✔					✔					✔			✔		

ვალდებულების მიზანი:

2016 წლის მარტში საქართველოს პროკურატურამ დაიწყო პროექტი „ადგილობრივი საბჭო“, რომლის მიზანია, დაინტერესებულ პირებს რეგიონებში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვის საშუალება მიეცეთ, აგრეთვე დანაშაულის პრევენციისთვის კოორდინირებულად დაიგეგმოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, გაიზარდოს არსებული კანონების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა და გაძლიერდეს პროკურატურისადმი ნდობა.[1,2]

2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, არსებობდა სხვადასხვა სამთავრობო უწყების მიერ მსგავსი ინიციატივების გამეორების საშიშროება. შესაბამისად, ვალდებულება ადგილობრივი საბჭოების სხდომების მეშვეობით დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების ერთმანეთთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. იგი ადგილობრივი საბჭოების საქართველოს 6 რეგიონში ჩამოყალიბებას და მათ მიერ არანაკლებ 10 სხდომის გამართვას ითვალისწინებდა.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

ვალდებულება 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ვადაში სრულად შესრულდა. შუალედური შეფასების მიხედვით, პროკურატურამ ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის პრევენციისთვის 12 საბჭო შექმნა, მათ შორის, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, ხელვაჩაურსა და თელავში. თითოეულმა საბჭომ სულ მცირე 1 სხდომა გამართა. ეს სხდომები ადგილობრივი მედიასაშუალებებით, მათ შორის, სატელევიზიო არხებზე და გაზეთებში, გაშუქდა. შუალედური შეფასების პერიოდში განხორციელდა „ადგილობრივი საბჭოს“ ფარგლებში შეთავაზებული რამდენიმე პროექტი, მათ შორის, ადვოკატირების კამპანიები საგზაო უსაფრთხოებისთვის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.[3]

საბოლოო: შესრულებული

IRM-ის შეფასებით, ვალდებულება სრულად შესრულდა, რადგან მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელმა დაწესებულებამ გასული 2 წლის განმავლობაში 22 ადგილობრივი საბჭო

შექმნა და 36 სხდომა გამართა. IRM-ის შუალედური შეფასების შემდეგ პროკურატურამ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 22 სხდომას გაუწია ორგანიზება.[4,5] 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ვადაში სხდომები თბილისსა და სიღნაღში პირველად შედგა, 16 ადგილობრივი საბჭო კი მეორედ შეიკრიბა. თბილისში გამართული სხდომების მონაწილეებმა ნარკოდანაშაულის პრევენციის გზები განიხილეს, რეგიონებში კი დღის წესრიგში უმთავრესად ოჯახური ძალადობის საკითხი იყო.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება

ადგილობრივი საბჭოების დაარსებით შეიქმნა სივრცე, სადაც შესაძლებელია კრიმინოგენური ვითარების შესახებ ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების გაცვლა, აგრეთვე საქართველოს შესაბამის რეგიონებში პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული კვლევების გაცნობა. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსა და მოსახლეობას მნიშვნელოვან საკითხებზე (მაგალითად, ქვემო ქართლში ოჯახურ ძალადობაზე) თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მიეცათ.[6] სხდომებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით დაგეგმა ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე საქართველოს 8 ქალაქში, კერძოდ, თელავში, რუსთავში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, მცხეთაში, სამტრედიასა და ქუთაისში.[7]

ადგილობრივი საბჭოების სხდომებს მათი მონიტორინგისა და კოორდინირების მიზნით, როგორც წესი, ცენტრალურ დონეზე საქართველოს მთავარი პროკურორის ადმინისტრაცია გეგმავს. პროკურატურა საბჭოს ადგილობრივ დონეზე განსახილველ შესაძლო თემებს სთავაზობს, იმის გათვალისწინებით, თუ კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ როგორი სტატისტიკური მონაცემებია შესაბამის რეგიონში. საბჭოს სხდომის ბოლოს არსებობს ე. წ. „თავისუფალი სივრცე", სადაც მონაწილეებს შეუძლიათ დამსწრეებს გააცნონ და დააყენონ მათთვის საინტერესო საკითხები. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებს საშუალება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია კრიმინოგენური სიტუაციისა და მისი გამოსწორების შესაძლო გზების შესახებ, აგრეთვე მიაწოდონ უკუკავშირი და ჩაერთონ დიალოგში. როგორც წესი, დანაშაულის შესახებ მონაცემებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია აგრეთვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ვებგვერდზე, რომელზედაც რეგიონების მიხედვით სამართალდარღვევების თაობაზე ყოველთვიური ანგარიშებია განთავსებული.[8] მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები საჯაროა (შესაბამის ვებგვერდებზეა გამოქვეყნებული), საბჭოების მეშვეობით გაიზარდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა რეგიონებში, განსაკუთრებით – იმ ტერიტორიებზე, სადაც ინტერნეტის მოხმარების სიხშირე მაღალი არ არის.

ადგილობრივი საბჭოების სხდომათა ოქმები იგზავნება პროკურატურაში, რომელიც შესაბამის ინფორმაციას აანალიზებს და „საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშში" აქვეყნებს. ამასთანავე, არსებობს ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში, თუმცა დოკუმენტი საჯარო არ არის და, IRM-ის მკვლევრის მცდელობის მიუხედავად, მისი პროკურატურისგან გამოთხოვა ვერ მოხერხდა.

პროკურატურის ხელმძღვანელობით შეიქმნა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგილობრივი საბჭოს ფუნქციებს, ვალდებულებებსა და სამუშაოს მოცულობას

განსაზღვრავს და რომელზე მუშაობაც 2018 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო.[9] საბჭო შედგება მუდმივი და დროებითი წევრებისგან, რომელთა შორის არიან სამართალდამცავი ორგანოების (საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მუნიციპალიტეტების, ადვოკატთა კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.[10] მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, საბჭოების შექმნამდე არ არსებობდა ფორმალური მექანიზმი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისა და მოსახლეობის მიერ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისთვის ან პროკურატურისთვის რეკომენდაციების მიცემის პროცესს დაარეგულირებდა. საბჭოების შექმნის შემდეგ კი ეს პროცესი ფორმალურ ჩარჩოებში მოექცა.

პროკურატურის მონაცემებით, ადგილობრივი საბჭოების შექმნის შედეგად გასული რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა დანაშაულის მსხვერპლთა მიმართვებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობა[11][12], თუმცა მიზეზშედეგობრივი კავშირის მტკიცებულების გარეშე აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების საბჭოებისთვის მიწერა ძნელია.

მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორიოსო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენლის განცხადებით, აშკარაა მოსახლეობასთან კომუნიკაციის ნაკლებობა და ადგილობრივი საბჭოების დაბალი საზოგადოებრივი ცნობადობა. მისი თქმით, ბათუმში გამართულ 2 სხდომას, რომლებზედაც ადგილობრივი კრიმინოგენური სიტუაცია და პრევენციული მექანიზმები განიხილებოდა, კონკრეტული ინიციატივები არ მოჰყოლია.[13]

ახალციხეში, ოზურგეთსა და ზუგდიდში ფოკუსჯგუფებთან გამართული შეხვედრების მონაწილეებს ადგილობრივი საბჭოების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ[14], რაც იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ საკომუნიკაციო ღონისძიებები უფრო ინტენსიური უნდა გახდეს, რათა მოსახლეობა და სამოქალაქო სექტორი უკეთ მოიცვას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოების სხდომებს ადგილობრივი მედია აშუქებდა, ცნობადობისთვის მხოლოდ მედიით (მათ შორის, ტელევიზიით) გაშუქება შეიძლება საკმარისი არ იყოს. გაშუქებული სხდომების უმეტესობაში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, თუმცა მოქალაქეთა დასწრება თვალსაჩინო არ იყო.[15,16,17]

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. თუმცა „საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები)“ საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი საბჭოების ქსელის გაფართოებას ითვალისწინებს.[18] ინიციატივის მდგრადობისთვის IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის ფარგლებში პროკურატურას მიეცა რეკომენდაცია, ადგილობრივი საბჭოებისთვის შეიქმნას ფორმალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს მათ მუშაობაში მონაწილეობის პირობებს, სხდომების რეგულარულად გამართვასა და სხვა პროცედურულ დეტალებს. საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად აგრეთვე მიზანშეწონილია, გამოქვეყნდეს მათი სხდომების ოქმები და მუნიციპალიტეტების დონეზე საბჭოების უკეთესი კოორდინირებისთვის რეგულარულად მოხდეს მათ მუდმივ წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია.

---

[1] საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა: http://bit.ly/2t2eFxU

[2] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წელი: https://bit.ly/2PuAali
[3] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: https://bit.ly/2NIr097
[4] ნათია მუხიაშვილი, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს პროკურორი, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 16 ოქტომბერი.
[5] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წელი: https://bit.ly/2PuAali
[6] გაზეთი „ბოლნისი", „ბოლნისის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით მუდმივმოქმედი საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა": https://bit.ly/2qR4LzV
[7] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წელი: https://bit.ly/2PuAali
[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „სამართალდარღვევების სტატისტიკა": https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/131/samartaldarghvevebis-statistika
[9] მუხიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 16 ოქტომბერი.
[10] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp
[11] მუხიაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 16 ოქტომბერი.
[12] საქართველოს პროკურატურა, „ოჯახური დანაშაულის საქმეებს ზედამხედველობას სპეციალიზებული პროკურორები გაუწევენ", 2018 წლის 7 მარტი: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1555
[13] მალხაზ ჭკადუა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" რეგიონული ოფისის მენეჯერი, ელექტრონული მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 31 ოქტომბერი.
[14] IRM-ის მკვლევრის მიერ ფოკუსჯგუფებთან გამართული შეხვედრები: ახალციხეში – 2018 წლის 19 ოქტომბერს, ოზურგეთში – 22 ოქტომბერს, ზუგდიდში – 23 ოქტომბერს.
[15] „კვირა", „ბოლნისში პროექტ „ადგილობრივი საბჭოს" ფარგლებში, მუდმივმოქმედი საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა", 2018 წლის 29 ივნისი: http://kvira.ge/407472
[16] ProfNews, „სამტრედიის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით ადგილობრივი საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა", 2017 წლის 4 აგვისტო: https://bit.ly/2CPtsUm
[17] Zari News, „პროკურატურის მიერ ადგილობრივი საბჭო დაფუძვნდა" (ვიდეო), 2017 წლის 8 აგვისტო: https://bit.ly/2Q83H5s
[18] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები): http://pog.gov.ge/res/docs/saqartvelosprokuratuirsstrategia.pdf

19. ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება

ვალდებულების ტექსტი:

ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც მხოლოდ კონკურენციის კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია კონკურენციის კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. ამასთან, საზოგადოება არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს შესახებ.

აუცილებელია, არსებობდეს კომუნიკაცია მაკონტროლებელ ორგანოსა და შესაბამის ბიზნეს სუბიექტს შორის, რათა ეკონომიკური აგენტი ინფორმირებული იყოს იმ ვალდებულებების შესახებ, რომელსაც მას კონკურენციის კანონმდებლობა აკისრებს. შედეგად, უფრო ეფექტური გახდება სააგენტოს მუშაობა, სუბიექტები კი, თავის მხრივ, მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ თავისუფალი კონკურენტული ბაზრის ხელისშემშლელი ქმედებები.

ვალდებულება ემსახურება საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპების გაუმჯობესებას. კონკურენციის სააგენტო შეიმუშავებს გზამკვლევებს/ბროშურებს, რომელთა ძირთადი თემატიკა კონკურენციის კანონის პრობლემატური და აქტუალური საკითხები და სააგენტოს ძირითადი სამოქმედო პრინციპები იქნება. გზამკვლევი გავრცელდება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, კონკურენციის საკითხებზე ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

წამყვანი დაწესებულება: სსიპ - კონკურენციის სააგენტო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციურ-ი შედეგი				შესრულება		შუალედური საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არაერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არაერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
19. გზამკვლევი ეკონომიკურ-ი			✔		✔					✔					✔				✔		

ვალდებულების მიზანი:

2014 წლის მაისში მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. რეგულაციების დარღვევის პრევენციისა და, აქედან გამომდინარე, ბაზრის მოთამაშეებს შორის კონკურენციის შენარჩუნების მიზნით კონკურენციის სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევის შემუშავების ვალდებულება აიღო. ვალდებულება გზამკვლევის შექმნასა და პოპულარიზაციას ითვალისწინებდა. გზამკვლევი კერძო სექტორის წარმომადგენლებს არსებული ნორმების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა. ის ამ დებულებებს უფრო გასაგებ ენაზე განმარტავდა, რათა მათი საქმიანობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი გამხდარიყო.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული. სააგენტომ ეკონომიკური აგენტებისთვის გზამკვლევი 2017 წლის მაისში დაამტკიცა. გზამკვლევი განმარტავს „ეკონომიკური აგენტის“ მნიშვნელობას და ყველა ისეთ სცენარს განიხილავს, სადაც ბაზრის მოთამაშე შესაძლოა არღვევდეს კონკურენციის სტანდარტებს, როგორიცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება: მტაცებლური ფასის დაწესება, ფასისმიერი დისკრიმინაცია და მიწოდებაზე უარი. განმარტებებს თან ახლავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკურენციის სტანდარტების პრეცედენტია.

IRM-ის შუალედური შეფასებისას გზამკვლევის პოპულარიზაციისთვის დაგეგმილი ღონისძიებები ჯერ კიდევ არ იყო განხორციელებული. წამყვანი დაწესებულების განცხადებით, ის 2017 წლის შემოდგომისთვის გეგმავდა ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, ბიზნესსაზოგადოებისთვის კონფერენციის გამართვას, რომელზედაც გზამკვლევი იქნებოდა წარდგენილი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შესრულებული

IRM-ის შუალედური შეფასების შემდეგ სააგენტომ გზამკვლევის პოპულარიზაციისთვის დაინტერესებულ პირებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა, მათ შორის: შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან (სულ 25 მონაწილე) 2017 წლის ზაფხულში, შეხვედრა ბიზნესის წარმომადგენლებთან 2017 წლის შემოდგომაზე, კერძოდ, საერთაშორისო კონფერენცია კონკურენციის თემაზე და მსოფლიო კონკურენციის დღე. ამასთანავე, სააგენტომ სამივე ინსტანციის სასამართლოს 30 მოსამართლეს ჩაუტარა ტრენინგი. გზამკვლევის ბეჭდური ვერსიები აღნიშნულ შეხვედრებზე დარიგდა, ხოლო ელექტრონული ვერსიები სფეროში მომუშავე სპეციალისტებს დაეგზავნათ.[2] ჟურნალისტებთან შეხვედრის გამართვა 2018 წლის დეკემბრისთვის იგეგმებოდა.[3]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება

ვალდებულების ტექსტის მიხედვით, გზამკვლევი ეკონომიკური აგენტებისთვის შემუშავდა და დაინტერესებულ პირებს დაურიგდა. გზამკვლევი განმარტავს „ეკონომიკური აგენტის“ მნიშვნელობას და ყველა ისეთ სცენარს განიხილავს, სადაც ბაზრის მოთამაშე შესაძლოა არღვევდეს კონკურენციის სტანდარტებს, როგორიცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება: მტაცებლური ფასის დაწესება, ფასისმიერი დისკრიმინაცია და მიწოდებაზე უარი. განმარტებებს თან ახლავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკურენციის სტანდარტების პრეცედენტია.

ინფორმაციის ხელმისაწვდომის კუთხით მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება. იმ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის თქმით, რომელიც სააგენტოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს, იურიდიული განათლების არმქონე პირებისთვის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციების განმარტება რთულია, გზამკვლევმა კი მას კლიენტებთან მუშაობა გაუმარტივა. მისივე განცხადებით, გზამკვლევს მის სფეროში მომუშავე ყველა სადაზღვევო კომპანია იყენებს.[4] მსგავსი შეფასება გააკეთა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარემ. მისი თქმით, გზამკვლევი მას იურისტებისთვის ტრენინგმოდულების შემუშავებაში დაეხმარა. მიუხედავად იმისა, რომ იურისტებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ინტერპრეტირება არ გასჭირვებიათ, გზამკვლევის განმარტებები და თვალსაჩინოებები ტრენინგის დიზაინის ძირითადი ნაწილი იყო.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა.

---

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] მარი ნიქაბიძე, კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 28 დეკემბერი.

[3] სოფო მომცელიძე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კონკურენციის სააგენტო, 2018 წლის 10 ოქტომბერი.

[4] ვახტანგ შურღაია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, სადაზღვევო კომპანია „უნისონი“; აღმასრულებელი მდივანი, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 26 დეკემბერი.

20. კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას.

კომისიამ 2016 წლის 25 ივლისის N13 დადგენილებით დაამტკიცა „მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“, რომლის მიზანია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების, წყალმომარაგების ლიცენზიატებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლების (შემდგომში - საწარმო) მიერ მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება.

მომსახურების კომერციული ხარისხი მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, რადგან შეიცავს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის განაწილებისა და წყალმომარაგების სფეროში მომხმარებელთათვის მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ძირითად სტანდარტებს, რაც, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხია. მაგალითად, ჯერ კიდევ 2011 წლის მდგომარეობით Doing Business პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ საერთო რეიტინგში საქართველოს მე-17 ადგილი ეკავა, თუმცა, კვლევის ერთ-ერთ კრიტერიუმში, როგორიცაა ელექტროენერგიის მიღება (ქსელზე მიერთება), საქართველო მხოლოდ 91-ე ადგილით შემოიფარგლა. მას შემდეგ, რაც კომისიის მიერ მიღებული და დანერგილი იქნა რეგულაცია, რომლის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მიღების/ქსელზე მიერთების მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა, აღნიშნულ კრიტერიუმში საქართველოს მაჩვენებელმა 91-დან 50-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ამჟამად კომისიის უმთავრესი გამოწვევა კომერციული მომსახურების ხარისხის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება და მისი რეგულირებაა. აღნიშნულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მომხმარებელთა ინფორმირება როგორც მათი, ისე საწარმოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საწარმოთა ანგარიშვალდებულების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების შეუფერხებელ განხორციელებას.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: იანვარი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა		პოტენციური შედეგი	შესრულება	შუალედური	გახსნა ამან მთავრობა?

					OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა																
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
20. კომერციული მომსახურე-ბის ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა				✓	გაურკვეველი						✓				✓			✓			
																✓					

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) აიღო ვალდებულება, შეექმნა შიდა ხარისხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ლიცენზიატი კომპანიების მიერ გაწეულ მომსახურებას „მომსახურების კომერციული ხარისხის წესებში“ მოცემული 9 სტანდარტის მიხედვით შეაფასებდა. ვალდებულება კომპანიების მიერ სერვისის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას და მათ მიერ სტანდარტების დარღვევის შემთხვევების აღრიცხვისა და მონიტორინგის მეშვეობით მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვას ითვალისწინებდა.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული. ხარისხის კონტროლის პროგრამა 2017 წლის თებერვალში ამოქმედდა. პროგრამა შედგება 9 სტანდარტისგან, რომელთა მეშვეობითაც სერვისის მიწოდების ხარისხი ფასდება. თუმცა ზოგიერთი კომპონენტის ამოქმედება რთული იყო. მაგალითად, ერთ-ერთი კომპონენტის მიხედვით, თუ კომპანია სერვისის მიწოდებას დავალიანების გადაუხდელობის გამო წყვეტს, მისი დაფარვის შემთხვევაში სერვისის მიწოდება 5 საათის განმავლობაში უნდა აღდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია მომხმარებელს კომპენსაციის სახით 5 ლარი გადაუხადოს. 2017 წლის აგვისტოში პროგრამა ცხრავე სტანდარტის მიხედვით ამოქმედებული არ იყო. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შესრულებული

2017 წლის 1 იანვრიდან პროგრამა (კომპენსაციის მექანიზმის ჩათვლით) გაეშვა, აღნიშნული მექანიზმი კი სრულად 2017 წლის ივლისში ამოქმედდა. სემეკის წარმომადგენლის თქმით, კომისია მომხმარებელთა უფლებების, ლიცენზიატების მიერ ჩადენილი დარღვევების შესახებ მონაცემებს და სხვა ინფორმაციას თავის ვებგვერდზე და

სოციალურ მედიაში რეგულარულად აქვეყნებს.[2] თუმცა ზოგჯერ ეს ინფორმაცია ვებგვერდის სიახლეების სექციაში თავსდება და, შესაბამისად, ხშირად არქივდება, რაც მის მოძიებას ართულებს.

გახსნა ამან მთავრობა?

არაფერი შეცვლილა.

სემეკმა მიზნად დაისახა, შეექმნა ხარისხის კონტროლის პროგრამა, რომელიც ლიცენზიატების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს მონიტორინგს გაუწევდა, დარღვევებს დაარეგისტრირებდა და მათზე რეაგირებას დროულად მოახდენდა. პროგრამის ცხრავე მოდული სრულად არის ამოქმედებული. პროგრამა აუცილებელია „მომსახურების კომერციული ხარისხის წესების“ შესრულებისთვის და, შესაბამისად, აუმჯობესებს მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ სემეკი მოქალაქეთა უფლებების შესახებ ინფორმაციას თავის ვებგვერდზე აქვეყნებს, ვალდებულება შიდა პროცესებისკენაა მიმართული და არც მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას აუმჯობესებს და არც მათი ჩართულობის ან ანგარიშვალდებულების გაზრდას უწყობს ხელს.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა.

---

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] თამარ ბაზღაძე, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სემეკი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 12 ოქტომბერი.

21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ვალდებულების ტექსტი:

მოცემული ვალდებულების ფარგლებში საწარმოების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას საშუალებას მისცემს, შექმნას სანდო და სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი, თვალყური ადევნოს საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლების დინამიკას, განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი და უმოკლეს დროში უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის სისტემატიზებული ინფორმაციის მიწოდება. ელექტრონული ფორმით ანგარიშის წარმოდგენის სისტემის დანერგვა აგრეთვე ხელს შეუწყობს როგორც კომპანიების, ისე კომისიის ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ვალდებულების მიზანია საწარმოების მიერ ანგარიშის წარმოდგენის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა აღნიშნული პროცესის მობილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება		შუალედური საბოლოო		გახსნა ამან მთავრობა?				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
21. კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონუ-				✔	გაურკვეველი						✔					✔		✔			

ლად წარმოდგენა და ხელმი-საწვდომობის უზრუნველ-ყოფა															✓						

ვალდებულების მიზანი:

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) აიღო ვალდებულება, მიეღო ნორმატიული აქტი, რომელიც ლიცენზიატებს ანგარიშების ელექტრონული ფორმით გაგზავნის საშუალებას მისცემდა. იქიდან გამომდინარე, რომ სემეკს ანგარიშებში მოცემული ინფორმაციის სისტემატიზაცია უჭირდა, რადგან ისინი მხოლოდ ბეჭდური სახით იყო გაგზავნილი, ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი გაამარტივებდა მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და შესაძლებელს გახდიდა მის უმოკლეს დროში დამუშავებას.

სტატუსი

შუალედური: შესრულებული

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება სრულად იყო შესრულებული. ანგარიშების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა 2017 წელს ამოქმედდა. სემეკმა ლიცენზიატებისგან ანგარიშების ელექტრონული ფორმით მიღებისთვის აუცილებელი ნორმატიული აქტები მიიღო. სემეკის წარმომადგენლების თქმით, ელექტრონული ანგარიშგების სისტემა სრულად ამუშავდა და კომპანიებს კვარტალური და წლიური ანგარიშების გაგზავნის საშუალება მიეცათ. თუმცა, მათივე განცხადებით, სანამ 2018 წლის ივლისში არ ამოქმედდებოდა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერის იურიდიულ უფლებამოსილებას ეხება, კომპანიებს ანგარიშების ბეჭდური სახით წარდგენაც უწევდათ. შესაბამისად, ისინი სემეკს ანგარიშებს აწვდიდნენ როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიში.[1]

საბოლოო: შესრულებული

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი 2018 წლის ივლისში სრულად ამოქმედდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სემეკს უკვე ლიცენზიატების ანგარიშების ელექტრონული ფორმით მიღება შეუძლია.[2]

გახსნა ამან მთავრობა?

არაფერი შეცვლილა.

სემეკმა მიიღო შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიებისგან ანგარიშების ელექტრონული ფორმით მიღებას, რაც მონაცემების უფრო ეფექტიანი სისტემატიზაციისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ვალდებულებამ კომისიის შიდა პროცესები მნიშვნელოვნად გაუმჯობესა. თუმცა იგი მთლიანად ამ პროცესებზეა ორიენტირებული და დამატებითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა.

[1] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: http://bit.ly/30LHBvp

[2] თამარ ბაზღაძე, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 12 ოქტომბერი.

22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვა

ვალდებულების ტექსტი:

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიმართულებით ორი პროექტი მუშავდება: 1) ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის www.zugdidi.gov.ge-ს მეშვეობით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენა; 2) საინფორმაციო ცენტრის „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით, მოქალაქეები მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით მიიღებენ ინფორმაციას ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროექტების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ. ამავე მეთოდით მოსახლეობა იღებს ინფორმაციას საკრებულოს სხდომების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ.

„ზუგდიდი - INFO“, როგორც მოქალაქეებთან ურთიერთობის სწრაფი და პირდაპირი საკომუნიკაციო სივრცე, ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის www.zugdidi.gov.ge-ს მეშვეობით პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ მოქალაქეებს მათი საჭიროებებისა და ინტერესების მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე წარმოჩენას გაუმარტივებს.

წამყვანი დაწესებულება: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დაწესებულებები: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

დაწყების თარიღი: მითითებული არ არის

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციუ-რი შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური / საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
22. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონუ-ლი პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დანერგვა			✔		✔	✔		✔		✔					✔				✔		
															✔						

ვალდებულების მიზანი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემდეგი ვალდებულება აიღო: 1. მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სერვისის – „ზუგდიდი-INFO“-ს ამოქმედება, რომელიც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციას მიაწვდიდა; 2. ელექტრონული პეტიციების სისტემის დანერგვა, რომელიც მოქალაქეებს ადგილობრივი პოლიტიკის შესახებ წინადადებების წარდგენის საშუალებას მისცემდა და, შესაბამისად, მათ ჩართულობას გაზრდიდა.[1] საკრებულომ მიზნად დაისახა, მოქალაქეებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნითა და სიახლეების გაცნობით გაეზარდა მათი დაინტერესება და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართულობა. ელექტრონული პეტიციების შესაქმნელი პორტალი კი მოქალაქეებისთვის მათი საჭიროებებისა და ინტერესების მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე წარმოჩენის გასამარტივებლად დაინერგა.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული, რადგან SMS-სერვისი დაინერგა და გაშვებულ იქნა, ხოლო ელექტრონული პეტიციების პორტალი შექმნის პროცესში იყო. „ზუგდიდი-INFO“-ს ფარგლებში 11 000 მოქალაქე რეგულარულად იღებდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს საკრებულოს დაგეგმილი სხდომების შესახებ (დრო, თარიღი და ადგილმდებარეობა). შეტყობინებებით მოქალაქეები ეცნობოდნენ აგრეთვე სხვა მუნიციპალურ სიახლეებს (მაგალითად, ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას), რის შედეგადაც სერვისი მულტიფუნქციური გახდა.[2]

საბოლოო: არსებითი

საბოლოო შეფასების დროს ვალდებულება დასრულებული არ იყო, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ორივე კომპონენტი ტექნიკურად შესრულდა, ერთ-ერთი მათგანი სრულად არ ფუნქციონირებდა.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სერვისი – „ზუგდიდი-INFO“: მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისმა ფუნქციონირება 2016 წლის მაისში დაიწყო და მას შემდეგ მუშაობს. შეტყობინებებს კვლავ 11 000 მოქალაქე იღებს.[3] ისინი საკრებულოს აპარატის ერთ-ერთი თანამშრომლის ტელეფონის ნომრიდან იგზავნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლის თქმით, სერვისის გამომწერები, როგორც წესი, საკრებულოს სხდომებისა და ანგარიშების პრეზენტაციების შესახებ ინფორმაციას იღებენ.[4] რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებს, რომლებიც IRM-ის მკვლევრის მიერ ორგანიზებულ ფოკუსჯგუფში მონაწილეობდნენ, ახსოვდა, რომ ასეთი შეტყობინებები მიიღო. მათ აღნიშნეს, რომ ისინი დაგეგმილ კონცერტებს, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსა და იუსტიციის სახლის სიახლეებს ეხებოდა.

ელექტრონული პეტიციების სისტემის დანერგვა: ეს სერვისი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალ ვებგვერდზეა ინტეგრირებული. თუმცა ტექნიკური გაუმართაობის გამო იგი სრულად არ ფუნქციონირებს, რის გამოც საბოლოო შეფასების პერიოდში ელექტრონული პეტიციების დარეგისტრირება შეუძლებელი იყო.[5,6]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მცირედი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: არაფერი შეცვლილა.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სერვისმა – „ზუგდიდი-INFO“-მ მოქალაქეებისთვის საკრებულოს სხდომებისა და სხვა სიახლეების შესახებ სატელეფონო შეტყობინებების გაგზავნით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას შეუწყო ხელი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სერვისი მოქალაქეთა ინფორმირებულობას ზრდის, შუალედური შეფასების შემდეგ შეტყობინებების მიმღებთა რაოდენობა არ გაზრდილა – კვლავ 11 000-ია, რაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს.[7] არ არსებობს ფორმალურად დარეგისტრირების მეთოდი, რომლითაც მსურველი ამ პროცედურის გავლას და სერვისის მიღებას შეძლებს. სურვილის შემთხვევაში მოქალაქემ მისი ტელეფონის ნომრის ბაზაში შესაყვანად საკრებულოს ფეისბუკგვერდის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით თხოვნით უნდა მიმართოს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია არსებობდეს დარეგისტრირების ალტერნატიული შესაძლებლობები, რადგან ქვეყნის მოსახლეობის 35% ინტერნეტს არ იყენებს, თანაც ეს მაჩვენებელი დედაქალაქთან (15%) შედარებით გაცილებით მაღალია რეგიონებში (61%).[8] მიუხედავად იმისა, რომ ფოკუსჯგუფის ყველა მონაწილე ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი იყო, მათ აღნიშნეს, რომ სოფლებში ინტერნეტის მოხმარების სიხშირე დაბალია.

ელექტრონული პეტიციების სისტემის სამუშაო რეჟიმში დანერგვა 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვერ მოხერხდა. ეს პორტალი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე იქნა ინტეგირირებული, თუმცა სერვისი სრულად არ ფუნქციონირებს და, შესაბამისად, მიმდინარე, შესრულებული ან უარყოფილი პეტიციების ელექტრონული ბაზა ცარიელია.[9] ბუნდოვანია საკრებულოს გეგმები სერვისის გამართვასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ახალი ვებგვერდის დანერგვას საჭიროებდეს.[10] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელმა

ხაზგასმით აღნიშნა ელექტრონული პეტიციების დასარეგისტრირებლად სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა. მოქალაქეებს შეუძლიათ ნაბეჭდი პეტიცია საკრებულოში მიიტანონ, თუმცა ასეთი პეტიციების რაოდენობაც მცირეა: 2018 წელს, 2017 წლის მსგავსად, საკრებულოში სულ 3 პეტიცია შევიდა.[11] შეტანილი წინადადებები შეეხებოდა 2 სოფელში სასმელი წყლის ავზის გამართვას, ქუჩის განათებისა და სხვა ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებას, მათ შორის, ნარჩენების მართვას, ქალაქში ნაგვის ყუთების დამატებას და უპატრონო ცხოველების თავშესაფრის დაარსებას. პირველი პეტიცია საკრებულომ სრულად დააკმაყოფილა, დანარჩენები კი ნაწილობრივ დაფინანსდა ან არ დაფინანსებულა.[12]

ფოკუსჯგუფთან გამართულმა შეხვედრამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა დაბალი აქტიურობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს პეტიციების წარდგენის ფორმალური პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რამდენად გაითვალისწინებს ის მათ ინიციატივებსა და შეთავაზებებს. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დიდი ხნის – 6 წლის განმავლობაში მუშაობდა ინიციატივაზე, რომლის მიზანი სტუდენტებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფის შემცირება იყო. საბოლოოდ, 2018 წელს ეს ტრანსპორტი უფასო გახდა. მეორე მონაწილემ სოფლების რწმუნებულებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა და ურჩია, რომ მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართვის გზები პირდაპირი კომუნიკაციით გააცნონ.

ფოკუსჯგუფის მონაწილეთა უმეტესობამ არცერთი სერვისის არსებობის შესახებ არ იცოდა. 6 მონაწილიდან 2-მა გაიხსენა, რომ მუნიციპალური სიახლეების შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიიღო. მათ კი, ვისაც ასეთი ინფორმაცია არასოდეს მიუღია, აღნიშნული სერვისით სარგებლობის სურვილი გამოთქვეს. შესაბამისად, იმისთვის, რომ „ზუგდიდი-INFO“-მ მეტი მოსახლეობა მოიცვას და მისი გავლენა გაიზარდოს, მნიშვნელოვანია, მოქალაქეები უკეთ იყვნენ ინფორმირებული სერვისის შესახებ და მის მისაღებად სხვადასხვა გზით დარეგისტრირების საშუალება ჰქონდეთ.

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში არ გაგრძელებულა, რადგან 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დასრულებამდე არსებითად შესრულდა. თუმცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აიღო ახალი ვალდებულება – მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მობილური აპლიკაცია დანერგოს.[13] მულტიფუნქციური აპლიკაციის მეშვეობით ისინი საკრებულოს დაგეგმილი სხდომებისა და ამ სხდომებზე განსახილველი თემების შესახებ ინფორმაციის გაგებას, აგრეთვე სპორტული და კულტურული ღონისძიებების კალენდრისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების თარიღების ნახვას შეძლებენ. ახალი სამოქმედო გეგმის თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შექმნის აგრეთვე ელექტრონულ პორტალს, რომლითაც მოქალაქეები თავიანთ იდეებს გაუგზავნიან ქალაქის მერს, რომელიც, თავის მხრივ, უკუკავშირის მიწოდებისთვის იქნება პასუხისმგებელი.[14]

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ მიიღონ ზომები, რათა შექმნილი სერვისები სრულად იქნეს ათვისებული და გამოყენებული. ამასთანავე, ელექტრონული სერვისების პარალელურად,

მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში ჩართვა მოსახლეობის იმ ნაწილმაც შეძლოს, რომლისთვისაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ არის:

- „ზუგდიდი-INFO“-ს სერვისის მისაღებად შეიქმნას სტანდარტული სარეგისტრაციო ფორმა, რომელშიც მოქალაქე შეძლებს მიუთითოს ინტერესის სფეროები, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღებაც სურს.
- იმისთვის, რომ აღნიშნულმა სერვისმა მეტი მოსახლეობა მოიცვას, ჩატარდეს საკომუნიკაციო კამპანიები, რომელთა დროსაც მოქალაქეები სერვისის მისაღებად ადგილზე დარეგისტრირებას შეძლებენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მცხოვრებთათვის, რომელთა თითქმის ნახევარი ინტერნეტს არ იყენებს.[15]
- სოფლების რწმუნებულებს შეუძლიათ ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის სისტემატური შეხვედრების ორგანიზებით მათ შორის მედიატორის როლი შეასრულონ.

---

[1] საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა: http://bit.ly/2t2eFxU
[2] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: https://bit.ly/2NIr097
[3] გიგა კილასონია, **ზუგდიდის საკრებულოს** საზოგადოებასთან ურთიერთობის სექციის ხელმძღვანელი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 1 ნოემბერი.
[4] არჩილ თოდუა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის რეგიონული ოფისის კოორდინატორი, ელექტრონული ფოსტით მიმოწერა IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 1 ნოემბერი.
[5] კილასონია, ინტერვიუ, 2018 წლის ოქტომბერი.
[6] კილასონია, ინტერვიუ, 2018 წლის ოქტომბერი.
[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მოსახლეობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით“, 2017: https://bit.ly/2SnTK5w
[8] CRRC-საქართველო, „ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე დასახლების ტიპის მიხედვით“: https://bit.ly/2SCa3M9
[9] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ელექტრონული პეტიციების პორტალი: http://zugdidi.mun.gov.ge/ge/petitions
[10] კილასონია, ინტერვიუ, 2018 წლის 1 ნოემბერი.
[11] კილასონია, ინტერვიუ, 2018 წლის 1 ნოემბერი.
[12] დემოკრატიის ინსტიტუტი, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პასუხი მოქალაქეების პეტიციებზე“, 2017: https://bit.ly/2DTwGrx
[13] ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა.
[14] კონსტანტინე კაკავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 1 ნოემბერი.
[15] CRRC-საქართველო, „ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე დასახლების ტიპის მიხედვით“: https://bit.ly/2SCa3M9

23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობა

ვალდებულების ტექსტი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად მუშაობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებასა და საკრებულოს საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების პირდაპირ ტრანსლირებასა და სრული ვიდეო ჩანაწერების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებას უზრუნველყოფს.

ვალდებულებით გათვალისწინებული იქნება შემდეგი ნოვაციები:
- პირდაპირი ტრანსლაციისას მოქალაქეები შეძლებენ კომენტარებისა და შეკითხვების დატოვებას, რომელთა რაოდენობა და შინაარსი საკრებულოს აპარატის მიერ საჯაროდ გამოქვეყნდება. ინტერაქციის შედეგები აისახება საკრებულოს წლიურ ანგარიშში;
- ჩამოყალიბდება ინტერესთა ჯგუფები, რომელთა თითოეულ წევრთან (სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებთან თუ კერძო პირებთან) მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების შესახებ ანკეტა-მემორანდუმები გაფორმდება. ამ ჯგუფებისთვის დაინერგება მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სისტემაც. საკრებულო ასევე მონაცემთა ბაზის შექმნაზეც იზრუნებს, რათა ინფორმაციის მიწოდებას სისტემური სახე მიეცეს;
- სხდომებისა და არსებული მომსახურებების შესახებ მოსახლეობას ელ-ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეცნობება. შეიქმნება დაინტერესებულ პირთა მონაცემთა ბაზა და მასში აღრიცხულ პირებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შეტყობინების სახით მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაეგზავნებათ;
- დაინერგება ელექტრონული გამოკითხვები; გამოკითხვის შედეგები აისახება საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნება და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით აღიჭურვება საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრები (ამჯამად მსგავსი ცენტრები ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის 5 სოფელში: კონჭკათში, მელექედურში, ლიხაურში, თხინვალსა და ბახვში).

წამყვანი დაწესებულება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დაწესებულება: არ არის

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებუ-ლების აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციუ-რი შედეგი	შეს-რუ-ლება	შუალე-დური საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არავერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არავერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
23. ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს სხდომების გამჭვირვა-ლობა				✔	✔	✔		✔			✔				✔					✔	
															✔						

ვალდებულების მიზანი

საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აიღო ვალდებულება, დაენერგა სხვადასხვა სერვისი, მათ შორის: საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია და სხდომების ელექტრონული ვიდეოარქივი; მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სისტემა, რომლის მიზანი მოქალაქეთათვის დაგეგმილი სხდომებისა და სხვა მუნიციპალური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო; ელექტრონული გამოკითხვის სისტემა; საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრების (შემდგომ – ცენტრები) გახსნა, რომლებიც მოქალაქეებს საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის ყურებისა და დისკუსიებში ჩართვის საშუალებას მისცემდა.

სტატუსი

შუალედური: არსებითი

შუალედური შეფასების დროს ვალდებულება არსებითად იყო შესრულებული, რადგან მუნიციპალიტეტმა ვალდებულების ტექსტში მითითებული ღონისძიებების უმრავლესობა განახორციელა. 2017 წლის აგვისტომდე საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია, ვიდეოარქივი, ელექტრონული გამოკითხვის სისტემა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი სრულად ამოქმედდა. მნიშვნელოვანი განსახორციელებელი ღონისძიება იყო 28 ცენტრიდან დარჩენილი 23-ის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში დაარსება: 5 ცენტრი სრულად ფუნქციონირებდა. შესაბამისად, 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დამატებით 23 ცენტრის ამოქმედება იყო საჭირო.

საბოლოო: არსებითი

„მართე სახლიდან“ – მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დანერგა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაციის სერვისი, რომელიც მის ვებგვერდზეა ინტეგრირებული და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, კომენტარები დატოვონ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს კითხვები დაუსვან. საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, სერვისით

მოსარგებლეთა ზუსტი რაოდენობა გამოქვეყნდებოდა საკრებულოს 2017 წლის წლიურ ანგარიშში, რომელიც IRM-ის საბოლოო შეფასების დროს, 2018 წლის ოქტომბერში, დასრულებული არ იყო.[1] „მართე სახლიდან“ სერვისის ამოქმედებიდან დღემდე პირდაპირი ტრანსლაციის გვერდზე მოქალაქეებმა დატოვეს 123 კომენტარი, მათ შორის, მისალმებები, კითხვები და სხვადასხვა შენიშვნა.[2] ზოგი მათგანი კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე (მაგალითად, დაზიანებულ გზებზე, ქუჩის განათების ნაკლებობაზე, სოფლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე) ამახვილებდა ყურადღებას. კომენტარები შეიცავდა აგრეთვე გადაწყვეტილების მიმღები პირების კრიტიკას ბიუჯეტის ხარჯვასთან და, ზოგადად, ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობასთან დაკავშირებით. პირდაპირი ეთერის გამოტოვების შემთხვევაში ვებგვერდზე წარმოდგენილი ვიდეოარქივი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, სხდომების ჩანაწერებს უყურონ.[3]

სხდომებისა და სხვადასხვა სიახლის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) სერვისი: ვალდებულებით გათვალისწინებული მეორე ღონისძიების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შექმნა დაინტერესებული პირების ბაზა ადგილობრივი მოქალაქეებისგან, რომლებიც საკრებულოსგან მოკლე ტექსტური შეტყობინებების მისაღებად დარეგისტრირდნენ. სერვისით სარგებლობის მსურველებმა ხელი მოაწერეს სპეციალურ ფორმას, რომელშიც მათთვის საინტერესო სხდომების თემებიც მიუთითეს.[4] SMS-სერვისს სულ 2000 გამომწერი ჰყავს, რაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 14%-ს შეადგენს.[5,6]

ელექტრონული გამოკითხვა: ეს სერვისი, რომელიც ასევე სრულად ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, მოქალაქეს საშუალებას აძლევს, მისთვის მნიშვნელოვანი 3 პრობლემა დაარეგისტრიროს.[7] საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, წინადადებები რეგისტრაციის შემდეგ ეგზავნებათ საკრებულოს შესაბამის თემატურ ჯგუფებს, რომლებიც წყვეტენ, განიხილება თუ არა ისინი საკრებულოს სხდომებზე.[8]

28 ცენტრის შექმნა: საბოლოო შეფასების დროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არ ფუნქციონირებდა 28 ცენტრი, რომლებიც 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული. 5 ცენტრი სრული დატვირთვით მუშაობს 5 სოფელში – კონჭკათის, მელექედურის, ლიხაურის, თხინვალისა და ბახვის თემებში.[9] მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილი 23 ცენტრისთვის შენობები უკვე არსებობს, ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო 2016-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა ისინი ციფრული ტექნიკით ვერ უზრუნველყო.

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება

„მართე სახლიდან“ ინიციატივის ამოქმედებით, რომელიც საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას ითვალისწინებს, მისი ამოქმედებისთვის პასუხისმგებელმა დაწესებულებამ მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – მათ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის თვალის დევნების საშუალება მისცა. ინიციატივის შედეგად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ პირდაპირ ეთერში უყურონ დისკუსიას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე, მათ შორის, ბიუჯეტის ხარჯვის, პეტიციების, ახალი ინიციატივების და სპორტული თუ სოციალურ-კულტურული

პროექტების შესახებ. ამასთანავე, მათთვის, ვინც სხდომა პირდაპირ ეთერში ვერ ნახა, ელექტრონული ვიდეოარქივია გათვალისწინებული. ამ ინიციატივის დანერგვამდე სხდომების ოქმები მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ქვეყნდებოდა, თუმცა ეს პროცესი უსისტემო იყო, მოსახლეობის დიდ ნაწილს ვერ მოიცავდა და ინტერაქციის საშუალებასაც არ იძლეოდა.[10] მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, პლატფორმამ მსურველებს სხდომის შესახებ აზრის გამოხატვისა და უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა მისცა, თანაც სხდომაზე დასწრება საჭირო არ არის და ინფორმაციაც უფრო საინტერესოდაა წარმოდგენილი. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის ბოლოს ხმამაღლა იკითხება მოქალაქეთა მიერ გაგზავნილი შეკითხვები.[11,12] ეს პროცესი, თავის მხრივ, მოქალაქეებს ხმის უფლებას აძლევს და უფრო მეტად რთავს მმართველობის შესახებ დისკუსიაში.

საკრებულოს სხდომების გამჭვირვალობის გაზრდის გარდა, სერვისის გამომწერებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ელექტრონული ფოსტით წერილების გაგზავნით ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო ახალი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, რომლებმაც მეტი მოსახლეობა მოიცვა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის, „პროგრესის სახლის“, წარმომადგენლის თქმით, სერვისი ხელსაყრელია აქტიური ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ ინფორმაცია საკრებულოს სხდომების შესახებ.[13] ადრე სხდომების შესახებ განცხადებები სოციალური მედიით ვრცელდებოდა და, შესაბამისად, ბევრი ადამიანის ყურადღების მიღმა რჩებოდა, SMS-სერვისმა და ელექტრონულმა ფოსტამ კი მეტ ადამიანთან კომუნიკაცია გახადა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებმა და ფოკუსჯგუფთან გამართულმა შეხვედრამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნაწილი თავს იკავებს, აქტიურად ჩაერთოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ინიციატივაში, ისარგებლოს SMS-სერვისით და მიიღოს ინფორმაცია, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისადმი სკეპტიკური განწყობით შეიძლება აიხსნას.[14]

საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად რეგულარულად იმართება საკომუნიკაციო კამპანიები. ამ კამპანიების ფარგლებში ოზურგეთის 28 ტერიტორიული ერთეულიდან 24-ში შედგა მოსახლეობასთან შეხვედრები, რომლებზედაც მოქალაქეებს ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ და მოკლე ტექსტური შეტყობინებების მისაღებად დარეგისტრირების საშუალება მიეცათ. ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, მათი თანხმობის შემთხვევაში მიიღონ ასეთი ინფორმაცია, და დასძინეს, რომ მუნიციპალური სიახლეების მისაღებად ელექტრონული ფოსტაც ხელსაყრელია. თუმცა ინფორმაციის მიწოდების არაელექტრონული გზებიც გასათვალისწინებელია, რადგან სოფლის მოსახლეობისთვის ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.[15] საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენლის განცხადებით, აუცილებელია, ოზურგეთის 28 ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობებში მუდმივად განახლდეს საინფორმაციო დაფები იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ინტერნეტს არ იყენებენ.[16] ამ დაფების მიზანია, ადგილობრივ მოსახლეობას გააცნოს განცხადებები და სიახლეები (მაგალითად, ინფორმაცია საკრებულოს დაგეგმილი სხდომების შესახებ). თუმცა, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენლის თქმით, დაფები რეგულარულად არ ახლდება და ხშირად მათზე ინფორმაციაც არ არის განთავსებული.

საკრებულოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების – გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრისა[17] და „პროგრესის სახლის“ წარმომადგენლების თქმით,

შეხვედრების მიუხედავად, მოსახლეობის სერვისებით დაინტერესება დაბალია. მათი განცხადებით, მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო კამპანიების ჩატარება, რომლებიც მოქალაქეებს დააინტერესებს და სერვისების ცნობადობას გაზრდის. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა აზრით, მოსახლეობის ნაკლები აქტიურობა გამოწვეულია ადგილობრივი ხელისუფლებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებით იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რამდენად გაითვალისწინებენ მისი წარმომადგენლები მოქალაქეთა ინიციატივებსა და შეთავაზებებს.[18] ეს ცხადყოფს, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ნდობის აღდგენისა და სერვისების მეტი პოპულარიზაციისთვის კარგი კომუნიკაციაა საჭირო.

ფოკუსჯგუფის 6 მონაწილიდან 3-მა აღნიშნა, რომ 2016 წლის შემოდგომაზე საკრებულოსგან მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო. თუმცა ისინი სერვისის მისაღებად არ დარეგისტრირებულან. მონაწილეებმა ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით წუხილი გამოთქვეს, რადგან არ სურდათ, მათი ტელეფონის ნომერი ვინმეს სარეკლამო მიზნებისთვის გამოეყენებინა. „პროგრესის სახლის“ წარმომადგენლის თქმით, ეს იყო 2016 წელს გამართული ერთჯერადი წინასაარჩევნო კამპანია, როდესაც მოკლე ტექსტური შეტყობინება, სურვილის მიუხედავად, ყველა მოქალაქეს გაეგზავნა, თუმცა ვალდებულებით გათვალისწინებული SMS-სერვისი გამოწერისა და რეგისტრაციის პრინციპს ეფუძნება. ზოგ მონაწილეს SMS-სერვისის შესახებ გაგებული ჰქონდა, მაგრამ ეგონა, რომ საკრებულოს სხდომების შესახებ შეტყობინებებს მხოლოდ მედიის წარმომადგენლები და ჟურნალისტები იღებდნენ, რაც საკრებულოს მიერ მიწოდებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე მიუთითებს.

2018 წლის გაზაფხულზე საკრებულომ ელექტრონული პეტიციების მექანიზმიც დანერგა, რის შემდეგაც 6 პეტიცია შემოვიდა. ნიშანდობლივია, რომ **ადგილობრივმა** მთავრობამ შეამცირა პეტიციის ხელმომწერთა რაოდენობა, რომლის მოგროვებაც მის განსახილველად არის საჭირო. ამან, თავის მხრივ, მოქალაქეებს პეტიციების წარდგენა გაუმარტივა.[19,20]

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, მიმდინარეობს მუშაობა დარჩენილი 23 ცენტრის ასამოქმედებლად ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრებისთვის შენობები არსებობს, ფინანსები ციფრული ტექნიკის შეძენას მოხმარდება. შუალედური შეფასების შემდეგ ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დარჩენილი 23 ცენტრიც სრულად ამუშავდეს.

ახალი სამოქმედო გეგმის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიასთან ერთად აიღო ვალდებულება, დანერგილი სერვისების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება შეაფასოს. ეს სერვისების დანერგვის ლოგიკური გაგრძელებაა, რადგან უნდა გამოვლინდეს ხარვეზები და შემუშავდეს საპასუხო მექანიზმები მათ აღმოსაფხვრელად, მათ შორის, კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით.

„პროგრესის სახლის“ წარმომადგენლის თქმით, SMS-სერვისის დახვეწისთვის მიზანშეწონილია, საკრებულოს სხდომის შედეგების შესახებ დამატებითი შეტყობინება გაიგზავნოს, რომელშიც დეტალური ინფორმაციის გასაცნობად მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ბმული იქნება მითითებული. IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციით, კარგი

იქნება, დაინერგოს სტანდარტიზებული პროცედურები, რომლებიც საკრებულოს დაავალდებულებს, მოქალაქეებს იმ წინადადებებზე, რომლებიც მათ ელექტრონული გამოკითხვის სისტემით დაარეგისტრირეს, უკუკავშირი მიაწოდოს.[21]

---

[1] ნანა თავდუმაძე, აპარატის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[2] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, „მართე სახლიდან“ – საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია: http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/live
[3] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ვიდეოგალერეა: http://oz.gov.ge/ge/pages/view/video
[4] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „მოსახლეობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით“, 2017: https://bit.ly/2SnTK5w
[6] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[7] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, ონლაინგამოკითხვა: https://bit.ly/2qeXlpM
[8] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[9] საქართველოს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა: http://bit.ly/2t2eFxU
[10] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[11] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[12] ლევან ხინთიბიძე, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 28 ოქტომბერი.
[13] მინდია სალუქვაძე, „პროგრესის სახლი“, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[14] სალუქვაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[15] CRRC-საქართველო, „ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე დასახლების ტიპის მიხედვით“: https://bit.ly/2SCa3M9
[16] ხინთიბიძე, ინტერვიუ, 2018 წლის 28 ოქტომბერი.
[17] თამარ ღლონტი, ახალგაზრდული რესურსცენტრი, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[18] შეხვედრა ფოკუსჯგუფის მონაწილე ადგილობრივ მოსახლეობასთან, ოზურგეთი, 2018 წლის 22 ოქტომბერი.
[19] ევროპის ფონდი, „პროგრესის სახლი გურიაში“: https://bit.ly/2DkfzQ2
[20] ღლონტი, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[21] IRM-ის 2017 წლის შუალედური ანგარიში: https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_MidTerm_Report_2016-2018_GEO_for-public-comment.pdf

24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა

ვალდებულების ტექსტი:

ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუცინიპალიტეტების შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.
ღია მმართველობა საქართველოს მესამე სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული 4 მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.

განხორციელების ეტაპები:
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენა
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმის შექმნა
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება.

წამყვანი დაწესებულებები: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია; ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დამხმარე დაწესებულებები: USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში; ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2016

დასრულების თარიღი: დეკემბერი, 2017

ვალდებულე-ბის აღწერა	კონკრეტუ-ლობა	OGP-ის ღირებულებებ-თან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრუ-ლება	შუალე-დური / საბო-ლოო	გახსნა ამან მთავრობა?

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებული	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	გაუარესა	არაფერი შეცვლილა	მცირედი ცვლილება	მნიშვნელოვანი ცვლილება	გამორჩეული
24. ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ბათუმის, ქალაქ ახალციხისა და ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტების ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონუ-ლი მექანიზმის შექმნა			✔		✔	✔		✔			✔			✔						✔	
															✔						

ვალდებულების მიზანი:

ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ოთხმა მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის მომზადებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული მექანიზმის შექმნის ვალდებულება აიღო. ვალდებულების თანახმად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 3 ძირითადი ღონისძიების განხორციელებას გეგმავდნენ: 1. პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება; 2. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“-ს დამატება; 3. ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება. სრულად შესრულების შემთხვევაში ვალდებულება ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობაზე საშუალო გავლენას მოახდენდა, რადგან მოქალაქეები ბიუჯეტის პრიორიტეტების არჩევას შეძლებდნენ.

სტატუსი

შუალედური: შეზღუდული

შუალედური შეფასების დროს, 2017 წლის აგვისტოში, ვალდებულება მცირედით იყო შესრულებული. ოთხი წამყვანი დაწესებულებიდან სამმა (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარდა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გამოაქვეყნა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში, რომელშიც ხარჯები პროგრამების მიხედვითაა აღწერილი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ პროგრამული ბიუჯეტი ვერ შეადგინა, რადგან USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ პარტნიორი არ იყო და, შესაბამისად, მხარდაჭერა, რომელიც დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტს ჰქონდა, ვერ მიიღო, ხოლო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში დამოუკიდებლად შედგენა კომპეტენციისა და გამოცდილების

ნაკლებობის გამო რთული აღმოჩნდა.[1] რაც შეეხება მოქალაქის გზამკვლევს, ის ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებმა შექმნეს, თუმცა მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტმა გამოაქვეყნა ვებგვერდზე, დანარჩენმა ორმა კი ბეჭდური სახით გაავრცელა. 2017 წლის აგვისტოში ოთხივე მუნიციპალიტეტს ჯერ ისევ უნდა დაენერგა ელექტრონული მექანიზმი „დაგეგმე ქალაქის ბიუჯეტი“ და მოეხდინა მისი საკუთარ ვებგვერდზე ინტეგრირება.

საბოლოო: არსებითი
GGI-იმ ვალდებულების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რადგან ის ეხმარება ამ პროცესში ჩართულ 3 მუნიციპალიტეტს, კერძოდ, ახალციხის, ბათუმისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებს. იქიდან გამომდინარე, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი GGI-ის ბენეფიციარი არ იყო და დაფინანსებას არ იღებდა, ვალდებულების შესრულებისადმი ერთიანი, კოორდინირებული მიდგომა არ არსებობდა.

ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება: საბოლოო შეფასების დროს პროგრამული ბიუჯეტი ოთხივე მუნიციპალიტეტს ჰქონდა გამოქვეყნებული საკუთარ ვებგვერდზე[2,3,4,5], რომელიც დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია.

ელექტრონული მექანიზმი „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“: GGI-ის ფარგლებში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) E-Governance Academy-სთან (eGA) თანამშრომლობით შექმნა ახალი ვებგვერდები ქუთაისისა (www.kutaisi.gov.ge) და ახალციხის (www.akhaltsikhe.gov.ge) მუნიციპალიტეტებისთვის. ამ ვებგვერდებზე მოხდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმის „დაგეგმე ქალაქის ბიუჯეტი“ ინტეგრირება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ვებგვერდი და მონაწილეობითი სერვისი ბათუმის მუნიციპალიტეტისთვისაც შეიქმნა, საბოლოო შეფასების დროს ის ამუშავებული არ იყო.[6] 2018 წელს მოქალაქეებს შეეძლოთ ახალციხესა და ქუთაისში ბიუჯეტის შესახებ წინადადებები დაერეგისტრირებინათ ელექტრონული პორტალის – VOLIS-ის მეშვეობით, რომელიც მონაწილეობითი ბიუჯეტირების ესტონური მოდელია.[7]

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა, ბიუჯეტის ელექტრონულად დარეგისტრირებისას მოეხდინა დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმების ინტეგრირება, რის ორგანიზებასაც მეტი დრო სჭირდება. პლატფორმის გაშვება ამის გამო გადაიდო.[8] მერიის წარმომადგენლის თქმით, „დაგეგმე ქალაქის ბიუჯეტი“ 2018 წლის ბოლოდან უნდა ამოქმედებულიყო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სერვისი 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვერ დანერგა. თუმცა იგი გეგმავს ე. წ. „პრობლემების რუკის“ შემუშავებას, რომელიც მოქალაქეებს მათ თემებში არსებული პრობლემების ელექტრონულ რუკაზე მითითების საშუალებას მისცემს. საბოლოო შეფასების დროს ეს სერვისი, ისევე, როგორც მოქალაქის გზამკვლევი, დამუშავების პროცესში იყო. იგი, სავარაუდოდ, 2018 წლის ბოლოს დასრულდებოდა.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი: ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი სამმა მუნიციპალიტეტმა (ბათუმის, ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები) შექმნა, თუმცა ვებგვერდზე მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტმა განათავსა. ახალციხისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებს გზამკვლევის ელექტრონული ვერსიები საჯაროდ არ გამოუქვეყნებიათ. მიუხედავად ამისა, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ საინფორმაციო ბროშურები დაბეჭდა და

გზამკვლევის პრეზენტაცია გამართა. ამ ანგარიშის წერისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დოკუმენტზე მუშაობას განაგრძობდა.[9]

გახსნა ამან მთავრობა?

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: მნიშვნელოვანი ცვლილება
მოქალაქეთა ჩართულობა: მცირედი ცვლილება

2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის შესახებ მოსახლეობის შეზღუდული ცოდნა პრობლემური საკითხი იყო. პროგრამული ბიუჯეტის გამოქვეყნების შემდეგ მოქალაქეებს 4 მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის უფრო დეტალურად გაცნობის საშუალება მიეცათ. პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი წინამორბედი დოკუმენტებისგან იმით განსხვავდება, რომ ხარჯებს აღწერს პროგრამების (და არა შემსრულებელი უწყებების) მიხედვით, უფრო დეტალურია და ინვესტირებულ ფინანსურ რესურსებსა და შედეგებს შორის კავშირს უფრო თვალნათლივ ასახავს.[10] ამასთანავე, ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ბიუჯეტირების პროცესს უფრო მარტივად გასაგებს ხდის. თუმცა, როგორც ახალციხესა და ოზურგეთში ფოკუსჯგუფებთან გამართულმა შეხვედრებმა ცხადყო, მოსახლეობის ნაწილს არსებული რესურსების შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ პრობლემად გადაწყვეტილების მიმღები პირებისადმი უნდობლობა დაასახელა და აღნიშნა, რომ მოსახლეობის აზრი ხშირად გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ნდობის გასაძლიერებლად და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან სისტემატური კომუნიკაცია.

„დაგეგმე ქალაქის ბიუჯეტი“ არის ახლებური მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ბიუჯეტთან დაკავშირებით თავიანთი პრიორიტეტები დააფიქსირონ. მექანიზმის დანერგვიდან (2018 წლის დასაწყისი) დღემდე ახალციხის მუნიციპალიტეტში 78 განაცხადი შევიდა, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტში – 28, რაც მოქალაქეთა დაინტერესებასა და აქტიურობაზე მიუთითებს. ორივე მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შესულ განაცხადებს აფასებენ. თუმცა მათი საქმიანობის პროცედურები და მიდგომები განსხვავდება: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალშექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები არიან ხელისუფლების, მედიის, სამოქალაქო და კერძო სექტორების წარმომადგენლები, აგრეთვე დამოუკიდებელი მოქალაქეები, ახალციხის მუნიციპალიტეტში კი სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი მთავრობის წევრებით არის დაკომპლექტებული.[11] ახალციხის მუნიციპალიტეტი საჯარო კენჭისყრისთვის გამოსაქვეყნებელი წინადადებების რაოდენობას არ ზღუდავს, ქუთაისის მუნიციპალიტეტი კი მხოლოდ 3 წინადადებას აქვეყნებს, რაც მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა პროექტის გაცნობისა და მათთვის ხმის მიცემის შესაძლებლობას ამცირებს. სამუშაო ჯგუფი იმ წინადადებების ავტორებს, რომელთა პროექტებიც არ გამოქვეყნდა, არგუმენტირებულ უკუკავშირს აწვდის.[12] შემდეგ წარმატებული პროექტები ხმის მიცემის რეჟიმში ვებგვერდზე თავსდება.[13] ახალციხეში პირველი სამი წინადადება, რომლებმაც კენჭისყრით ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, ქალაქში გამწვანების, კორპუსების შეღებვისა და სოფელ აწყურის კეთილმოწყობის საკითხებს შეეხებოდა. სხვა საკითხებს შორის იყო საბავშვო რეკრეაციული გასართობი ზონის შექმნა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება და გზების შეკეთება. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის ბიუჯეტიდან უკვე გამოყო ფინანსური რესურსი იმ წინადადებისთვის, რომელსაც ხმა ყველაზე მეტმა მოქალაქემ მისცა და რომელიც გამწვანებას ეხებოდა. ქუთაისის მუნიციპალიტეტში შესული წინადადებები კი კვლავ შეფასების პროცესშია.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის გასაზრდელად GGI-ის ექსპერტები გეგმავენ სამუშაო ვიზიტით ქუთაისსა და ახალციხეში ჩასვლას, სადაც საკომუნიკაციო კამპანიები შემუშავდება.[14] იმის გამო, რომ ბათუმისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღნიშნული სერვისი არ დაუნერგავთ, მასში მოქალაქეებიც არ ყოფილან ჩართული. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ ცნობიერების ასამაღლებლად კამპანიები და ახალგაზრდებთან შეხვედრები ჩაატარა, თუმცა, მერიის წარმომადგენლის თქმით, მოქალაქეთა დასწრება მაღალი არ იყო, რაც შესაძლოა კამპანიების შეუფერებელ დროს, ზაფხულის პერიოდში, ჩატარების შედეგი ყოფილიყო.[15]

გაგრძელდა სამომავლოდ?

ვალდებულება 2018-2019 წლების ახალ სამოქმედო გეგმაში არ შესულა. თუმცა GGI-ის დახმარებით ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ აიღო მსგავსი ვალდებულება – გააძლიეროს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა და დანერგოს შესაბამისი მექანიზმები. ვალდებულება ითვალისწინებს ამ მექანიზმების პოპულარიზაციისთვის საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას, რომელიც მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესს დაარეგულირებს.

ხანგრძლივ პერსპექტივაში, IRM-ის მკვლევრის რჩევაა, მოქალაქეთა მიერ დარეგისტრირებული ბიუჯეტის შესახებ წინადადებების განხილვისა და საჯარო კენჭისყრისთვის მოხდეს ინსტიტუციური პროცედურების სტანდარტიზება, აგრეთვე შემუშავდეს ვებგვერდებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმების ერთიანი სისტემა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ნაბიჯები 2017 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამაც გადადგა.[16] იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტებმა შეიძლება ასეთი მექანიზმების შექმნის სურვილი გამოთქვან, ხელსაყრელი იქნება, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ ინიციატივებს მხარი დაუჭიროს, კოორდინაცია გაუწიოს და ერთიან ხედვასა და მიდგომაზე შეთანხმდეს. პასუხისმგებელი უწყებები შეიძლება იყვნენ: იუსტიციის სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაშიაა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (SDA)[17], ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომლის სერვისებს შორისაა თანამედროვე ტექნოლოგიები და სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა[18], და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელიც კოორდინაციას უწევს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციურ შესაძლებლობათა გაძლიერებისა და სერვისების განვითარებისთვის.[19] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლის თქმით, ორგანიზაციას შეუძლია ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიოს იმ მუნიციპალიტეტებს, რომელთაც ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მსგავსი ახალი ვებგვერდებისა და მონაწილეობითი ტექნოლოგიების ამოქმედება სურთ.[20]

---

[1] ნანა თავდუმაძე, აპარატის უფროსი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 3 აგვისტო (იხ. „დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში – 2016-2017," http://bit.ly/30LHBvp).

[2] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ": https://bit.ly/2AtTL0M

[3] ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №21 დადგენილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ": https://bit.ly/2Ri8UI2

[4] ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“: https://bit.ly/2CL0S6v
[5] ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“: https://bit.ly/2PnoipA
[6] მიხეილ დარჩიაშვილი, მმართველობის პროგრამის მენეჯერი, და ლევან სამადაშვილი, ხელმძღვანელი, Tetra Tech ARD, ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2017 წლის 19 ოქტომბერი.
[7] VOLIS, https://bit.ly/2yILd54
[8] ედნარ ნატარიძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 28 ოქტომბერი.
[9] თავდუმაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 25 ოქტომბერი.
[10] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „როდის იქცევა კანონად ქვეყნის პროგრამული ბიუჯეტი“, 2013 წლის 7 ნოემბერი: https://bit.ly/2P29W9B (დოკუმენტი ნანახია 2018 წლის 23 ნოემბერს)
[11] ნინო თვალთვაძე, მერის მოადგილე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 29 ოქტომბერი.
[12] გურამ მელიქიძე, მერის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, სატელეფონო ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 29 ოქტომბერი.
[13] VOLIS, ადგილობრივი საკრებულოების საინფორმაციო სისტემები: https://bit.ly/2Q60HGT
[14] დარჩიაშვილი და სამადაშვილი, ინტერვიუ, 2018 წლის 19 ოქტომბერი.
[15] თვალთვაძე, ინტერვიუ, 2018 წლის 29 ოქტომბერი.
[16] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-3 ვალდებულება IRM-ის საქართველოს 2017 წლის საბოლოო ანგარიშში: https://bit.ly/2PPUsLg
[17] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო: https://sda.gov.ge/?lang=en
[18] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge/?page=services&s=59&lang=ge
[19] საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
[20] საბა ბუაძე, ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ინტერვიუ IRM-ის მკვლევართან, 2018 წლის 1 ნოემბერი.

მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის საბოლოო შესრულების ანალიზი მეორეულ კვლევას, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუებს და საქართველოს სამ ქალაქში (ახალციხე, ოზურგეთი, ზუგდიდი) ფოკუსჯგუფებთან გამართულ შეხვედრებს ეყრდნობა. IRM-ის ანგარიში მთავრობის თვითშეფასების ანგარიშისა და სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ნებისმიერი სხვა შეფასების დასკვნებს ეფუძნება.

IRM-ის 2016-2017 წლების წინსვლის ანგარიშის მსგავსად, IRM-ის მკვლევრებმა ინტერვიუები პასუხისმგებელი უწყებების, არასამთავრობო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარეს. რესპონდენტები მთავრობის ვალდებულებების შემუშავებასა და შესრულებაში მონაწილეობის ან შესაბამის სფეროში გამოცდილების მიხედვით შეირჩნენ. IRM-ის მკვლევრებმა გამოჰკითხეს დაახლოებით 20 ადამიანი სამთავრობო უწყებებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მათ შორის, დონორი ორგანიზაციებიდან. ზოგ რესპონდენტს სექტორული გამოცდილება აქვს, დანარჩენები კი ზოგად საკითხებზე მუშაობენ. მკვლევრებმა რესპონდენტები სატელეფონო საუბრისას, ელექტრონული ფოსტით მიმოწერით და პირადი შეხვედრის დროს გამოჰკითხეს.

№18, №22, №23 და №25 ვალდებულებების დამატებითი ანალიზისთვის IRM-ის მკვლევარმა ფოკუსჯგუფებთან 3 შეხვედრა გამართა. იგი ფოკუსჯგუფების მონაწილეებს დაუკავშირდა ბაზის მეშვეობით, რომელიც ადგილობრივი საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრებისგან მიიღო. ფოკუსჯგუფების მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა სქესის, ასაკობრივი ჯგუფისა და პროფესიის, მათ შორის, სტუდენტები, დასაქმებულები და დაუსაქმებლები. უმეტესობამ ფოკუსჯგუფებში მონაწილეობაზე უარი თქვა, რის გამოც მათი მონაწილეების რაოდენობა მცირე იყო (ახალციხეში – 9, ოზურგეთში – 6, ზუგდიდში – 5).

ლაშა გოგიძე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისში ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებს ხელმძღვანელობს. მას აქვს 10 წელზე მეტი ხნის სამუშაო გამოცდილება დემოკრატიის, კარგი მმართველობისა და ადამიანის უფლებების სფეროში. ლაშას მიღებული აქვს ბაკალავრის დიპლომი (მაგისტრთან გათანაბრებული) საერთაშორისო სამართალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და 2 მაგისტრის დიპლომი საერთაშორისო ურთიერთობებსა და ევროკავშირის დიპლომატიაში ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან და ბრიუგეს ევროპის კოლეჯიდან. ამჟამად იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის პროგრამის დოქტორანტია.

თამარ გზირიშვილი NDI-ის საქართველოს ოფისში ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის კოორდინატორია. პროგრამის ფარგლებში იგი ადგილობრივო თვითმმართველობის ორგანოებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ მედიასთან 5 მუნიციპალიტეტში თანამშრომლობს. მანამდე თამარი მუშაობდა არასამთავრობო სექტორში ისეთ თემებზე, როგორიცაა კორუფციასთან ბრძოლა, ბიუჯეტის გამჭვირვალობა, საჯარო პოლიტიკის ანალიზი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება. მას მიღებული აქვს ბაკალავრის დიპლომი პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ფილოსოფიაში კლარკის უნივერსიტეტიდან და მაგისტრის დიპლომი საჯარო მმართველობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

მარიამ სიხარულიძე არის დამოუკიდებელი მკვლევარი, რომელიც მონიტორინგისა და შეფასების (M&E), მმართველობისა და განვითარების საკითხებზე მუშაობს. მას მიღებული აქვს 2 მაგისტრის ხარისხი, მათ შორის, მედიისა და კომუნიკაციების დარგში როტერდამის ერაზმუსის უნივერსიტეტიდან და განათლებისა და საერთაშორისო განვითარების დარგში ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯიდან (UCL). მარიამი თანამშრომლობდა გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისთან (UNFPA), აგრეთვე მუშაობდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრში (CRRC-საქართველო). მისი ინტერესის სფეროებს შორისაა მოსახლეობა და განვითარება, პოლიტიკის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლება და გამჭვირვალობა, დემოკრატიული მმართველობა, გენდერი და ახალგაზრდული საკითხები.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) აღნიშნული ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შესრულებას აფასებს და საჯარო ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგს უწყობს ხელს.

Open Government Partnership